მომხსენებელი შეეხო ისეთ საკითხებს, როგორც არის იერების ყოველმხრივი, კიდევ უფრო მკიდრო ეკონომიური და კულტურული დაახლოების პროცესი ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური შეგნებლობის მიმდინარეობის დროს. სსრ კავშირის ხალხთა კულტურების ურთიერთგამდიდრების დიდმნიშვნელოვანი წყაროა რუსული ენა, რომელიც პრაქტიკულად უკვე ჩვენს დროში ერთაშორისი ენა, ჩვენი სა-



ნ. კანდელაკი
ზ. ფალოშვილი



კ. შერაბიშვილი
მირზა-ფატილი
ახუნდოვი

რება საფუძველი მსოფლმხედველობას და ზნეობას. უფრო ადვილი და უკეთესია, შენიშნავს იგი ალგზარდო ადამიანი პატარაობიდანვე. „ფორთხვის ასაკიდან“, ვიდრე შემდეგ ხელახლა ალგზარდოთ მოზრდილი უქნაია.

ჩვენ მოვალევი ვართ ყოველი ღონისძიებით გავაძლიეროთ ახალგაზრდა თაობის იდეური აღზრდა, ვებრძოლოთ არაჯანსაღ განწყობილებებს ახალგაზრდობაში, ალგზარდოთ მედგარი და გამბედავი, იდეურად რწმენით აღსავსე ახალგაზრდობა, რომელსაც უნარი შესწევს ღირსეულად ატაროს ჩვენი დიადი კომუნისტური დროშა.

მომხსენებელმა გააშუქა შეტყეობი მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის ორგანიზაციის საკითხები. ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ჯერ კიდევ არადაამყაროვებულად წარმოებს ბრძოლა რევოლუციური გადმონათობის, ეკლესიის მსახურთა გავლენის წინააღმდეგ არ შეძილვდა ნორმალურად მივიჩნით, რომ ანტირევოლუციური პროპაგანდა მეტ წილად ურწმუნოთა შორის წარმოებს.

ამ საქმეში მთავარია გულდასმითი ინდივიდუალური მუშაობა ადამიანებთან. გულითადი საუბარია გზა ადამიანის გულისაკენ. აი რით უნდა შევიარაღდეთ.

მომხსენების მნიშვნელოვანი ნაწილი ამხ. რომანოვმა მიუძღვნა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების საკითხებს. მან დაწვრილებით ილაპარაკა პარტიისა და ხელოვნების მოვალეებთან. მოუწოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მწერლებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს, კინოსა და თეატრების მუშაკებს წმიდად დაიცვან ხელოვნების პარტიულობისა და ხალხურობის ღღინჯური პრინციპები, მტკიცედ იდგნენ სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე თავიანთ შემოქმედებაში, შექმნან ნიჭიერი, კვიკიანი ნაწარმოებები, რომლებიც მეზნებარედ ქადაგებენ კომუნისტურ მსოფლმხედველობას. მოვეწოდებენ საკმობის საქმეებისათვის მშვიდობის გასამარჯვებლად, კომუნისმის ასაშენებლად.

ჩვენ მტკიცედ ვიბრძოდით და ვიბრძოლებთ იმის ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ, რომ თავს მოგვახვიონ სოციალისტური იდეოლოგიისა და ბურჟუაზიული იდეოლოგიის მშვიდობიანი თანარსებობის იდეა.

იმპერიალიზმი უძღურია განადგურების საბჭოთა კავშირს და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნები ომის გზით. მარცხდება მისი იმედი, რომ ეკონომიურად და ასუსტოს სოციალიზმის სისტემა. აი ამიტომ ბრძოლის სიმძიმის ცენტრი იდეოლოგიის დარგში გადააქვს.

მტრებს უნდათ, რომ ჩვენ შეუიარაღებელი ვიყოთ. ამიტომ ისინი ყოველნაირად იცვენ აპოლიტიკურობას და უიდეობას. მაგრამ აპოლიტიკურობაც პოლიტიკაა, ხოლო უიდეობაც იდეოლოგიაა, ამასთან ყველაზე მაგენ პოლიტიკა და იდეოლოგია. და ჩვენ არ შეგვიძლია გულგრილად მოვეყავით იმთ, ვისაც სურს გულგრილი იყოს პოლიტიკისადმი, მონაწილეობა არ მიიღოს იდეურ ბრძოლაში.

ჩვენ ყოველთვის ვიყავით და ვიქნებით მტკიცე მეზრძოლნი ლიტერატურისა და ხელოვნებისათვის, რომლებიც აქტიურად, აუკარად და გულმოდგინედ ამკვიდრებენ კომუნისმის დიად და ნათელ იდეებს.

მშობლოს ყველა ხალხის მეორე მშობლიური ენა გახდა.

მომხსენებელი შემდეგ ამბობს, რომ იდეოლოგიური მუშაობა უნდა წარიმართოს აპოლიტიკური, უიდეო, ნიპილიზმის განწყობილებათა წინააღმდეგ, რომლებიც ჯერ კიდევ არის გავრცელებული, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში. ზოგიერთი ახალგაზრდის აპოლიტიკურობა თავს იჩენს გულგრილი დამოკიდებულებით თანამედროვეობის მწვევე სოციალური პრობლემებისადმი, მისწრაფებით ჩაიკეტოს პირად განცდათა ვიწრო სამყაროში. უგულვებელ-მყოფელი დამოკიდებულებით რევოლუციური ტრადიციებისადმი, ანტიპატრიოტიზმით, ხოლო ზოგჯერ ყოველგვარ უცხოურის წინაშე ქედმიხობით და ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინაშე კაპიტულაციით. ამის მთავარი მიზეზია იდეური უმწიფრობა და პოლიტიკური მოუზადებლობა. გარკვეულ როლს ასრულებს ესთეტიკური აღზრდის ნაკლოვანებებიც, მხოლოდ განუვითარებელი გემოვნებით, კლასიკური ხელოვნების უცოდინარობით შეიძლება აიხსნას ცალკეულ ახალგაზრდათა გატაცება ანტირეალისტული ფერწერით, მდარე ხარისხის უცხოური ლიტერატურით, „ბნედიანთა“ ცეკვებით, დოდეკაფონიური, ელექტრონული, „კონკრეტული“ მუსიკითა და სხვა ბევრითი აბაღუნებით.

ამხ. რომანოვი შეეხო მოზარდი თაობის სწორ აღზრდაში საშუალო და უმაღლესი სკოლის როლს, სადაც ყე-

მომხსენებელმა მთავარი ყურადღება მიაპყრო შიშველ ფორმათა თხვის, აბსტრაქციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს. აბსტრაქციონიზმი რეაქციული ანტისაზოგადოებრივი მოვლენაა და მას ტყუილად როდი იყენებენ ასე ფართოდ იმპერიალიზმის იდეოლოგები თავიანთი პოლიტიკური მიზნებისათვის.

აბსტრაქციონიზმის წინააღმდეგ ჩვენი პარტია იბრძვის არა ფერწერის რაიმე განყენებული კანონებისათვის, არამედ ადამიანისათვის, იდეური, ცხოვრების ერთგული, თანამედროვე ხელოვნებისათვის ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი, აღნიშნა ამა. რომანოვმა, ესწავლიდა პარტიას მუდამ წმინდად დაეცვა თავისი იდეური იარაღი. იდეოლოგიური მუშაობა, რომელსაც ახლა ახორციელებს ჩვენი პარტია, მიწმობს ურყევ ერთგულებას ლენინური მოძღვრებისადმი. ლენინის ანდერძისადმი.

ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან შეხვედრების დროს, თქვა ამა. რომანოვმა, ბევრი და სამართლიანად ილაპარაკეს იმაზე, თუ რა კეთილმოყვულ გავლენას ახდენს საზოგადოების სულიერ ცხოვრებაზე, კულტურისა და ხელოვნების განვითარებაზე სტალინის პიროვნების კულტის შედეგები ლიკვიდაციის დონისძიებანი, რომლებიც პარტიამ განახორციელა. მაგრამ პარტია ყოველთვის მკვეთრ ზღვარს ავლებდა პიროვნების კულტს და მასთან დაკავშირებულ მძიმე მოვლენებსა და სოციალიზმის მშენებლობისათვის თავის მრავალ მხრივ მოღვაწეობას შორის. ვერავითარი პიროვნების კულტი ვერ შეაჩერებდა საბჭოთა საზოგადოების ძლიერების განვითარებას, ვერ შეცვლიდა საბჭოთა საზოგადოების ძლიერების განვითარებას, ვერ შეცვლიდა საბჭოთა წყობილების ბუნებას.

სოციალიზმისა და კომუნისმის მშენებლობა, — განაცხადა დასასრულ მომხსენებელმა, — დღივად გმობრბა, რომელსაც ახორციელებდა და ახორციელებს ჩვენი ხალხი და ვერაინ ვერ შეამცირებს პარტიის ხელმძღვანელობის მნიშვნელობას, პარტიასა, რომელიც ამ გმობრბისათვის აღფრთოვანებს ხალხს.

სტენა სპეტაკოვლან „ყაჩაღები“



ბა დაუახლოვდა ცხოვრებას, გახდა უფრო კონკრეტული, მიზანსწრაფული.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების იდეურ ცხოვრებაზე იმ დონისძიებათა დადებითი გავლენის შესახებ, რომლებიც პარტიამ განახორციელა, თათბირზე ილაპარაკა სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეთურ მდივანმა ო. მ. ბაღდასარიანმა. იდეური ცხოვრება გამძლირდა, უფრო სისხლსასუვე გახდა. გაძლიერდა მშრომელთა ინტერესი მარქსისტულ-ლენინური თეორიისადმი. რესპუბლიკაში 200 ათასზე მეტი კომუნისტი და უპარტიო სწავლობს პარტიული განათლების სისტემაში. მარტო ეკონომიურ თეორიასა და კონკრეტული ეკონომიკის საკითხებს სწავლობს 60 ათასი კაცი.

გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემსწავლელთა დასახმარებლად უკანასკნელ წლებში სომხურ ენაზე გამოვიდა „სკკპ ისტორიის“ ახალი გამოცემა, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების თხზულებათა კრებულები, ვ. ი. ლენინის მეცნიერული ბიოგრაფია. დასაბეჭდად მომზადებულია „სომხეთის კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები“, მზადების

იდეოლოგიური მუშაობის ყველა საშუალებამ მოკვამხაროთ კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაჭრას

იდეოლოგიური მუშაობა თვითმიზანი კი არ არის, არამედ საზოგადოების ეკონომიური, სოციალური და კულტურული განვითარების უზენაესი საშუალებაა, კომუნისტური მშენებლობის მძლავრი მუდმივად მოქმედი ფაქტორია. თანამედროვე პირობებში მთელი იდეოლოგიური მუშაობის საფუძველია XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა, პარტიული ორგანოების საწარმოო პრინციპის მიხედვით პარტკმმამ განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები შექმნა იდეოლოგიური მუშაობისათვის. იდეოლოგიური მუშაო-



თ. აბაკელია აბესალომ და ეთერი



პროცესშია და ნაწილობრივ უკვე გამოცა შრომები, მიძღვნილი სკკპ XXII ყრილობისა და პარტიის პროგრამის ცალკეული პრობლემებისადმი.

იდეოლოგიური მუშაობა ხელს უწყობს მშრომელთა შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ამაღლებას, შეიძლება დაეაღწეოს წარმატებით შესრულებას, რესუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას. ამას ცხადყოფს ის ფაქტი, რომ სომხეთის მრეწველობამ გადაჭარბებით შესარულა პროდუქციის კარგოშვების 1962 წლისა და მიმდინარე წლის პარტეული კავრტალის გეგმა, ხოლო სოფლის მშრომელებმა გააღდიეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება.

სკკპ XXII ყრილობის შემდეგ წარმოიშვა და გავრცელდა იდეოლოგიური მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები, რომლებიც მშრომელთა პოლიტიკური აღზრდისა და კულტურული დონის ამაღლების გამოხატულებაა. სომხეთში კულტურის 91 უნივერსიტეტი, რომლებშიც 10 ათასი მსწენელია. მაგრამ ჩვენ ვერ ვილაპარაკებთ იდეოლოგიური მუშაობის მაღალ დონეზე, თუ ქარხანა ვერ ასრულებს საწარმოო დავალებას, თუ კოლმეურნეობა ჩამორჩება სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში. იდეოლოგიური მუშაობის მთავარი ნაკლი ის არის, რომ ბევრ შემთხვევაში იგი ჯერ კიდევ მოწყვეტილია საწარმოო ამოცანებს, პარტიული ორგანიზაციები ხშირად ვერ უზრუნველყოფენ იმ ამოცანას, რომ მისწვდნენ თვითუღლ ადამიანს. ლექციები იკითხება ერთი და იმავე ადამიანისათვის, პოლიტწრებში სწავლობენ ერთი და იგივე პირები.

უნდა გაუართოვდეს პოლიტიკური მუშაობის გავლენის სფერო, მან უნდა მოიცავს თვითიული მუშა და კოლმეურნი, ინჟინერი და აგრონომი, მასწავლებელი და ექიმი, პენსიონერი და დიასახლისი, რათა თვითუღლმა იგრანოს სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებების, პარტიის პროგრამის დებულებათა დრმა აზრი და მნიშვნელობა, რათა თვითუღლმა გაარკვიოს თავისი ადგილი იდეოლოგია-სახალხო ბრძოლაში კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელთა სულ უფრო მზარდი ზრუნვა წარმოების გაუმჯობესებინსათვის, მისი რეზერვების გამოყენებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი თვითიდრებულების შემკირებისათვის მკაფიო გამოხატულებას ბოლოებს იმით, რომ იზრდება კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის მონაწილეთა რიცხვი. ამ მოძრაობის რიგეში აზერბაიჯანში 300 ათსზე მეტი კაცია. შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების დანერგვას, — თქვა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ხ. ვ. გეზიროვმა, — უფრო მეტ ყურადღებას აქცევს პარტიული ორგანიზაციები საავტაციო პრობლემებისადმი მუშაობას. დიდი ყურადღება ეთმობა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მონაწილეთა გამოცდილების გავრცელებას. პარტიული. პროფკავშირული, სამეურნეო ორგანიზაციები აპროცემენ საინფორმაციო ფურცლებს, ბროშურებს ნოვატორთა

პროგრესული მეთოდებისა და მუშაობის ხერხების შესახებ. გაზუთები, რადიო, ტელევიზია ბეჭდუნ და გადასცემენ მასალას რუბრიკით „შეიძლეოს ნაბიჯები“. 117 კოლმეურნეობაში შეიქმნა მონაწილე კომიტეტების სკოლები.

პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა დიდმნიშვნელოვანი ადგილუთია აბოლდების მუშაობას მშრომელთა შორის. პარტიის ბაქოს საკლდე კომიტეტმა და რაიკომებმა ამ საქმეში ჩააბეს ხელმძღვანელი მუშაკები. ისინი დაამოდიან მოსახლეობის წინაშე. უღლისწესრიგო კრებებზე.

ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ხშირი სტუმრები გახდნენ მეცნიერები, უმაღლესი სკოლის მასწავლებლები, მწერლები, კომპოზიტორები, მხატვრები და სხვა შემოქმედებითი მუშაკები. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია კულტურის მოღვაწეთა აბოლდებმა მშრომელთა კრებებზე, რომლებიც მიეღვნა ჩვენი ქვეყნის შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრების შედეგებს.

იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა ადამიანთა შეგენებაში წარსულის გადმონათვისება დაძლევა. პარტიულმა კომიტეტებმა, სასოფლოეობრებმა ორგანიზაციებმა გააძლიერეს ბრძოლა სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების და მორალის ნორმების გამორღვებაში წინააღმდეგ, იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც ფხუვქვეშ თუღვენ ქალის უღლებებსა და ღრსებას. იზრდება კოლექტივების როლი და მასუბისმგებლობა კომუნისტური საზოგადოების ადამიანის აღზრდასთვის, მაგრამ ეს მუშაობა აჯერ კიდევ საკმაოდ არ წარმოებს. სათანადო გაქანება, ნამდვილად შემტევიით ხშირად ვერ მიიღო მეცნიერულ-აღივსურმა პრობლემადამაც.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნომერის პლენუმის შემდეგ ანერკაკასის რესპუბლიკის მშრომელთა სულ უფრო მეტად აბორციელებენ თავიანთ ღონისძიებათა კოორდინაციას მატერიალური წარმოების დარგში. იგივე ხდება ჩვენი ხალხების კულტურის ცხოვრებაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანერკაკასის ბიუროს შექმნა კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობებს უქმნის პარტიის დიად წინაწარდასახულობათა განხორციელებისათვის ერთობლივ ბრძოლას. პიროვნების კულტურის შედეგების აღმოფხვრით პარტიამ დაძლია პრატკტიკისაგან თვითონის მოწყვეტა და ამით ფართო გახდა ხალხისა ჩვენი სახლის იდეურ-სულიერი ცხოვრების ახალ მძლავრ აღმავლობას.

სასიამოლოა ის ფაქტი, რომ ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკებს, — საზვასით აღნიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. გ. სტურუამ, — განუვითარდათ მისწრაფება იდეოლოგიური მუშაობისადმი, ისინი უფრო ხშირად გამოდიან მასების წინაშე, ისწავლეს პოლიტიკურ-ადმინრდებლობითი მუშაობის აუფნა კომუნისტური მშენებლობის ამოცანების დონეზე. გაიზარდა პრობლემებისა და ავტორაციის, მთლიანი იდეოლოგიური მუშაობის ქმედითობა, რაც მიზნად ისახება სამეურნეო მშენებლობის ძირული ამო-

ცანების განხორციელებას. უნდა აღინიშნოს, მხარაძის კოლმურწიანებისა და საბჭოთა მურწიანების საწარმოო სამართლებლო შრომებითა მნიშვნელოვანი ინიციატივა, რომელმაც გადაწყვიტეს უახლოეს ორ-სამ წელწინადმი შეიარაღონ კოლმურწიანები და საბჭოთა მურწიანების მუშები დაწყებითი ეკონომიური ცოდნით. მხარაძელთა მოწოდებას რესპუბლიკის ბევრი პარტიული ორგანიზაცია გამოიხატავს. ახლა საქართველოში ეკონომიურ სწავლებაში ჩაბმულია 130 ათასზე მეტი კაცი — პოლიტიკური განათლების სისტემაში მოსწავლეთა საერთო რიცხვის მესამედზე მეტი. ვანსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ყველა სახეობის ეკონომიური სწავლება ხდება თავისებური ფორმა მშრომელთა საზოგადოებრივი კონტროლისა და მონაწილეობისა სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების, კოლმურწიანების საბჭოთა მურწიანების მართვაში.

ჩვენს დროში იდეოლოგიური მუშაობის გავლენის სფერო ისე გაფართოვდა, ამოცანები ისე რთულად და მრავალფეროვანი გახდა, რომ მისი შეტყობვანობისათვის საკმარისი აღარ არის მარტო შტატის აპარატი. ამგვარად კომუნისტურ აღზრდას პრაქტიკულად ახორციელებს ბევრი ფიქციონერული ორგანიზაცია, რომლებიც საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობენ.

მთელი ამ მუშაობის კოორდინაციისათვის საქართველოს პარტიკომში, დიდ საწარმოებში, კოლმურწიანებსა და საბჭოთა მურწიანებში შეიქმნა იდეოლოგიური კომისიები. მათი მუშაობის პირველი გამოცდილება ცხადყოფს, რომ ისინი მრავალფეროვანი არიან დიდი როლი შესასრულონ პარტიული ორგანიზაციების მთელი იდეური ცხოვრების შემდგომ აქტიურობაში.

ვანსაკუთრებულ მნიშვნელობას თანამედროვე ეტაპზე პარტია ანიჭებს მოზარდი თაობის აღზრდას. ამ საქმეში უმნიშვნელოვანესი როლი ეკუთვნის საბჭოთა სკოლას. კომუნისტურ საზოგადოებას ესპორობება ყოველმხრივ განვითარებული, დიდად განათლებული, როგორც ფიზიკურად, ისე გონებრივად მომზადებული, კომუნისტის საქმის უსაზღვროდ ერთგული ადამიანები. სწორედ ამ ამოცანის განხორციელებას ემსახურება კანონი „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“.

ჩვენ ვართ მონაწილენი და მოწმენი ისეთი სკოლის დაბადებისა, — თქვა საქართველოს კის განათლების მინისტრმა ნ. ვ. ლაშქარაშვილმა, — რომელიც პირველად სახალხო განათლების სტირიაში ზღვის ახალ ადამიანს. ისტორიკულად სკოლა, რომელიც მოამზადებს მოსწავლეს როგორც განათლების განვითარებისათვის, ისე შრომითი ცხოვრებისათვის.

პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებებში დასახულია სახალხო განათლების განვითარების ამოცანები. უზრუნველყოფილ უნდა იქნას პირობები აღზრდის შემდგომი გაუმჯობესებისა და სწავლების დონის თვისებრივი ამაღლებისათვის. არ უნდა შეფეროვდეთ იმას, რომ მოს-

წავლეთა ზოგადსაგანმანათლებლო მომზადება, მათი შრომითი აღზრდა ჯერ კიდევ არ შეესაბამება დროის, ცხოვრების მოთხოვნებს. ბევრ საწარმოში, განსაკუთრებით კოლმურწიანებში, ბავშვები ეწევიან არასაინტერესო მუშაობას, შრომითი პროცესი არ არის გააზრებული.

ჩვენი ლიტერატორები, ხელოვნების მოღვაწეები ჯერ კიდევ ცოტას ქმნიან საწარმოებში, რომლებიც გვეხმარება ადამიანისათვის კომუნისტური თვისებების ჩანერგვაში. ჩვენ გვერდება ნაწარმოებები, რომელთა მიხედვით აღზრდა ჩვენი ახალგაზრდობა, რომლებიც მასში გამოიწვევს მისწრაფებას მიზამოს ისეთ საყვარელ გმირებს, როგორც არიან პაველ კორჩაგინი, ოლეგ კოშველი და სხვები.

პარტიის დაუცხრომელმა ზრუნვამ ახალგაზრდობის იდეური აღზრდის გაუმჯობესებისათვის, ურყევი და გაბუნდული, იდეურად მტკიცე, სამშობლოს უსაზღვროდ ერთგული ახალგაზრდა პარტიკიტების აღზრდისათვის, — განაცხადა საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდიანმა ო. ე. ჩერქეზიანმა. — ხელი შეუწყოს ახალგაზრდობის შემოქმედებითი აქტიურობის აღმავლობას, გამოიწვიოს მუშაობის ახალი ფორმები. აკადემიურმა ლექციებმა და წრეებმა, სადაც ძირითადად სჯერდებოდნენ განუთვინების კითხვას, ადვილი დაუფიქრო უფრო ცოცხალ და აქტიურ ფორმებს — კითხვა-პასუხის სალაშქრობას, დისპუტებს, თეორიულ კონფერენციებს, თემატიკურ საღამოებს, ზეპირ ჟურნალებს, კინოლექტორიუმებს, ლექცია-კონცერტებს. ახლა ჩვენ გვეყავს ლექტორ-ორგანიზატორები, ლექტორი-სწავლელ-ტანტები, პროპაგანდისტ-ორგანიზატორები, პროპაგანდისტ-აღმზრდელები. კომკავშირულ-პროპაგანდისტთა რიგებს შემატდნენ პრაქტიკული გამოცდილების მქონე ადამიანები. ყოველდღე ამან პროპაგანდა კიდევ უფრო ქმედითად და კონკრეტული გახდა. გაძლიერდა ნაკლოვანებებისადმი შერეიგებლობა სპეციალისტების მხრივ, რომლებიც მონაწილეობას იღებენ რიტელობის განვითარებისათვის ბრძოლის შტაბებში, ეკონომიური ანალიზის ბიუროებში, „კომკავშირული პროექტორის“ რაზმებსა და საკუ-შაგოებში, გააქტიურდა ათასობით ახალგაზრდა მუშა, კოლმურწი. როცა ჩვენ ვლაპარაკობთ 110 ათას ტონა ჩაიზე, რაც გასულ წელს მოკრიფეს საქართველოს ახალგაზრდა მეჩაიეებმა, შევანახება, მანქანათმშენებელთა და მეტალურგთა შრომითი გამარჯვებებზე, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ეს კომკავშირული ორგანიზაციების დიდი, გულმოდგინე და ბეჯითი აღზრდელიობითი მუშაობის შედეგი იყო.

მაგარმა როცა ვლაპარაკობთ ყოველივე კარზე, რაც საქართველოს კომკავშირის აქვს აღმზრდელიობის მუშაობაში, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ნაკლოვანებებს. ისინი კი ბევრია საიდუმლოდ როდია, რომ ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილი ეწევა უსაქმურ ცხოვრებას, თავს არიდებს სასარგებლო შრომას, ექებს თბილ ადგილს, ხშირად კი ამორალურ საქციელს სჩადის.

„გამარჯვებისადმი მაღალი მისწრაფებით აღდგროვანებული მებრძოლი ვერ ამჩნევს ლაშქრობებისა და ბრძო-



მზარდოთ შრომისადმი შეგნებულ დამოკიდებულება

მარქსიზმ-ლენინიზმს მიანიჩა, რომ მატერიალური დოვლათის წარმოება მთავარია საზოგადოების ცხოვრებაში. მისი განვითარების საფუძველად საფუძველია. ამიტომ ეკონომიური პოლიტიკის, მეურნეობის უნარიანი გაძლიერების საკითხებს პარტია პირველხარისხიან ყურადღებას უთმობს. პარტია ხელმძღვანელობს გ. ი. ლენინის იმ მითითებით, რომ ეკონომიკის მართვა, სამეურნეო საქმე — ეს „ჩვენივე ყველაზე უფრო საინტერესო პოლიტიკაა“.

ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების გარკვეულ გ. ი. ლენინის ამბობდა, რომ კომუნისტური შრომის მაგალითის მიხედვით მასების სწავლება აღზრდის საუკეთესო სკოლაა.

მომავლის მზერაგები — ასე უწოდებენ საბჭოთა ადამიანები კომუნისტური შრომის დადგენილებას და ბრიკადების წევრებს, რომლებიც თავდადებით, შემოქმედებითად შრომობენ, გვიჩვენებენ შრომის მაღალ ნაყოფიერების ნიმუშებს, კვლავებს პარტიის მიერ დასახელებულ კომუნისტური მშენებლების დიდებული პროგრამის უსწრავესად შესრულების გზებს.

კომუნისტური შრომის დადებითი მაგალითის ნიმუშების მიხედვით აღზრდა საბჭოთა ადამიანის კომუნისტური მსოფლმხედველობის, მორალის და ეთიკის ჩამოყალიბების ყველაზე ქმედითი გზაა.

შრომითი წრთობა, შრომისადმი პატივისცემის დანერგვა აღზრდის საფუძველია. არა წინაშეაღწევი შევიდებითელი ქუშპარტბანა, რაც, რა თქმა უნდა, აჯობებს საბჭოთა, არამედ შრომა, მხოლოდ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა განსაზღვრავს თვითფული საბჭოთა ადამიანის შეგნებულობის დინეს და მის პირად წვლილს კომუნისტურ მშენებლობაში.

კომუნისტური შრომისათვის შეჯიბრება მის მონაწილეებს უნერგავს სწორ დამოკიდებულებას შრომისადმი. ამასთანავე იგი სერიოზულ გავლენას ახდენს ადამიანთა კომუნისტური შეგნებულობის ჩამოყალიბებაზე. შრომითი აღზრდით იგულისხმება არა მარტო კეთილსინდისიერი მონაწილეობა წარმოების პროცესში, არამედ ამასთანავე სწორი დამოკიდებულება სოციალისტური საზოგადოებრივი საკუთრებისადმი, კულტურული და ტექნიკური დონის ბეჯითად ამაღლება, მისწრაფება ეცხოვრობოდათ კომუნისტურად.

შრომითი აღზრდის, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბების, კომუნისტური საზოგადოების ადამიანის მორალური სახის საკითხებს მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები თათბირებ წარმოების მოწინავეებმა, სამრეწველო საწარმოების, საწარმოო სამმართველოების, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, პრობაგანდისტებმა.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიკომის მდივანმა ლ. ს. ხარბელიამ ოლაპარაკა იმზე, თუ როგორ მუშაობს პარტიული ორგანიზაცია მასების კომუნისტურად

ღების სიძნელეებს, რაც უნდა მიძიმე იყოს ისინი. იგი სიცოცხლეს სწირავს იღებს, რადან ყველაზე მწვავე ბრძოლის მომენტში მისთვის იღვა სიძნელეზე მაღლა, ყველაფერზე მაღლა დგება. — 6. ს. ხრუშჩოვის ეს სიტყვები ამასწინანდელ შეხვედრაზე შემოქმედებითი ინტელექციის წარმომადგენლებთან მოიყვანა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრმა. პოლიტიკური სამმართველოს უფროსმა გენერალ-პოლკოვნიკმა თ. პ. სტატიჩენომ.

ამ ბოლო დროს განსაკუთრებით ხელშემწყობია ბირობები შეიქმნა იმისათვის, რომ მეორეები აღეზარდოთ პარტიისა და საშობლოსადმი ერთგულების სულსიკვეთებით, რომ აღმოეფხვრათ ყოველგვარი შაბლონი და სტერეოტიპი და ნაწილებისა და ქვეგანაყოფების პარტიულად კომპაზირულ ორგანიზაციათა იდეურ-პოლიტიკურ და აღმშრელობითი მუშაობაში.

მნიშვნელოვან და მუშაობდა ახალწვეულთა თვისებრივი შემადგენლობა. ამაში თავი იჩინა ახალგაზრდობის შრომითი აღზრდის კურსმა, რომელიც პარტიამ აიღო. ყველა რესპუბლიკიდან და ოლქიდან ჩვენთან მოდიან ახალგაზრდები, რომელთა უმრავლესობამ ცხოვრების კარგი სკოლა გაიარა ქარხნებსა და ფაბრიკებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ბევრი მათგანი უკვე იყო ყამირ მიწებზე, ციხეში და ამიერკავკასიის სხვადასხვა მუშაობებზე, იცის, რა არის შრომა.

ოლქის ჯარებში წარმოებს ფართო მრავალფეროვანი იდეოლოგიური მუშაობა, რომელიც ემსახურება უწინარეს ყოვლისა სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებების, პარტიის პროგრამის განმარტებასა და განხორციელებას. ამ მუშაობაში დიდ დახმარებას გეოწვევენ აუზნაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

ამიერკავკასიის მეორეები გარემოსილი არიან ამიერკავკასიის რესპუბლიკათა პარტიული ორგანიზაციებისა და მშრომელების ნამდვილად მამობრივი ზრუნვით. საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის პარტიული ორგანიზაციის შემადგენლობაში არჩეულია და აქტიურად მუშაობს ასობით კომუნისტი — სამხედრო მოსამსახურე, არმიისადმი დიდი ნდობის მკავი დადასტურება ის, რომ მიზანდარწ ულის მარტში უშაბლონი და ადგილობრივი საბჭოების დებუტატებად არჩეულია მრავალი სამხედრო მოსამსახურე.

ჩვენი პარტიის იდეური იარაღის განუწყვეტელი მზარდა არსება, რომელიც კომუნისტებისათვის ჩვენი ბრძოლის წინა ხაზზე მოქმედებს, იმას ხმარდება, რომ პრობაგანდა გაუფიქროს სოციალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების დიად უპირატესობებს, ხმარდება ბრძოლას გაზრწნილი ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, საბჭოთა ადამიანების მშვიდობის, ბედნიერებისა და ნათელი მომავლის უზრუნველყოფას, მსოფლიო სოციალისტური ბანაკის ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.



აღზრდისათვის. კომუნისტურ აღზრდაში მთავარია საწარმოს კოლექტივის ბრძოლა იმისათვის, რომ მოიპოვოს კომუნისტური შრომის კოლექტივისა და ჩვენს რესპუბლიკაში კომუნისტური შრომისათვის მძღობის ინიციატივა, ავლობისათვის სააქტის ოსტატის, სოციალისტური შრომის გმირის ა. ძამაშვილის უკვე ასობით მიმდევარი ჰყავს. კომუნისტები და კომკავშირები ამ ბრძოლის ავანგარდში არიან.

ქარმის პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში დგას კადრების ეკონომიური განათლების საკითხი, რეგულარულად იწყებს თეორიული კონფერენციები წარმოების ეკონომიკის, ორგანიზაციისა და ავტეგმის საკითხებზე.

შემწლია ეკონომიური ანალიზის ბიურო. ბიუროს საქმიანობა ხელს უწყობს უფრო კონკრეტულ დამოკიდებულებას შრომის შედეგებისაში. ფარული რეზერვების უკეთ გამოვლინებასა და გამოყენებას. მეტალურგთა კოლექტივი ყოველ დონეს ხმარობს, რომ უახლოეს ხანში საწარმო რენტაბელური გახდეს. მეტალურგთა კომუნისტური შეგნეულობის ახალღების ერთ-ერთი მაგალითია მარტანის ავლობისმდღისა და სხვა საამქროების კოლექტივთა ინიციატივა — დაწესის საზოგადოებრივი კონტროლი გამოშვებულ პროდუქციის ხარისხისაში. ამან მუშაკანსა და მისკა საწარმოს გაეთავისუფლებინა ასზე მეტი კაცი ტექნიკური კონტროლის განყოფილებაში.

საწარმოს კომუნისტები აღზრდლობითი მუშაობის სხვადასხვა ფორმისა და მეთოდებს იყენებენ. საავტაციო საუბრებს აწყობენ ხელმძღვანელი პარტიული და საბუნრო მუშაკები. პროპაგანდისტული და ავტობატორები ბეგის ნოვატარული წამოწყების მოთავენი არიან, უნერგვენ მუშებს მისწრაფებას იცხოვრონ და იზრომონ კომუნისტურად.

სუთი ასახე მეტი მუშაკი სწავლობს პოლიტსკოლებში, წრებში, სემინარებზე, მუშა ახალგაზრდობის სკოლებში, ქიმურ-მეტალურგიულ ტექნიკუმში, საქართველოს ე. ო. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დასწრებულ განყოფილებაზე, ასპირანტურაში.

ორატორმა აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ სუსტად იყენებენ იდეოლოგიური მუშაობის ისეთ ფორმას, როგორც არის მუშებისა და საეკალიტების შეხვედრები მეცნიერებთან, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწეებთან, ჩვენ პარტიის ევტერანებთან.

პარტიის სუგვაითის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ნ. ა. ზალაკივიმე თვის სიტყვაში თქვა, რომ იდეოლოგიური მუშაობა ახლა სულ უფრო უკუშორდება ცხოვრებას. პარტიული ორგანიზაციები იბრძვიან იმისათვის, რომ აზერბაიჯანის ახალგაზრდა ქალაქი კომუნისტური შრომისა და ყფვის ქალაქად აქციონ. ამ მაღალი წოდებისათვის შეგებობაში ჩაებნენ ცაკეველი ბრავადები, საამქროები, საწარმოები. იდეოლოგიური მუშაობის ქმედითობა გლანდება, კერძოდ, საზოგადოებრივი საწყისების განვითარებაში. ქალაქის ქარხნებში, საარკოქტო ინსტიტუტებში შექმნილია საზოგადოებრივი საკონსტრუქტორი ბიუროე-

ბი მათი ძალებით შესრულდა საარკოქტო-საბარჯთალროცხო სამუშაოები მთელი რიგი საწარმოებისათვის.

სამხატვრო საბჭო, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა ქალაქის აღმასკომთან, ზრუნავს ქუჩებისა და შენობების გაფორმებისათვის. ქალაქში მუშაობენ საუბო კომიტეტები, ამხანაგური სასამართლოები, შექმნილია ქალთა საერთო-საქალაქო საბჭო, მართლწესრიგის დამრღვევებს ებრძვიან სახალხო რაზმეულები.

სუმჯათში მოქმედებს ექვსი სახალხო უნივერსიტეტი, რომლებიც ბევრს მუშაობენ შრომელთა კომუნისტურად აღზრდისათვის. მათი მსმენელები სწავლობენ სახალხო მეურნეობის ეკონომიკას, ფილოსოფიას, პოლიტეკონომიას, ხელოვნებას, ლიტერატურას.

შრომელთა კომუნისტურად აღზრდისათვის პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის გაძლიერებას ასახავს საწარმოთა მუშაობის ეკონომიური მამყენებელი.

გასულ სასწავლო წელს თმის „კომუნზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა“ შესწავლისას წერებისა და სემინარების მსმენელებმა 39 რაციონალიზატორული წინადადება შემოიტანეს, აქედან 35 წინადადება წარმოებაში დაინერგა და წლიურად დაახლოებით 50 ათას მანეთ ეკონომიას იძლევა. რაციონალიზატორულ წინადადებათა, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვამ უზრუნველყო საწარმოს პროექტების ავტომატიზაციისა და შექმნილების შედარებით მაღალი დონე. ამახე ილაპარაკა ბაქის სკკ XXII ყურნლობის სახელობის ნათობსარევი სამმარფეობის ტექნიკური შრომის ბრავადის ხელმძღვანელმა, სოციალისტური შრომის გმირმა ა. ა. ჯავაერემა.

ჩვენი საწარმოს მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მამყენებლები, — თქვა მან, — კარვად ორგანიზებული ეკონომიური სწავლების შედეგია უთანსწელი სამი წლის მანძილზე ძირითადი და დამხმარე პროფესიების ყველა მუშემ გაიარა დაწყებითი ეკონომიური სწავლება.

ახ. ჯავაროვმა დამსწრეთ გაუზიარა პროპაგანდისტული მუშაობის ტეოცილება. ყოველ მეცადინეობაზე პროპაგანდისტები, ისინი კი ამავე დროს უბნის, საამქროს, სარევის ხელმძღვანელები არიან, შესასწავლ თემს საწარმოო ცხოვრებას უკავშირებენ.

პროპაგანდისტები შრომელებს მოუწოდებენ გამოიჩინონ ეკონომი და მომპირნებობა, ეხმარებიან იმში, რომ აიმაღლონ კვალიფიკაცია, დაუფლონ რთულ პროფესიებს, მუშაობენ მასების ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდისათვის.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ქმედითი ფორმა უთიერთობტენზიების საღმოები. მათი მოწყობის საბაზის გახდა მენავობობა საჩავარი, რომ დამამკაყოფილებლად არ მუშაობენ დამხმარე საამქროები. პარტიკომმა გადაწყვიტა ეს საბერობოტო საკითხები თვით მუშების დასახილვად გადაეცა. პირველმა უთიერთობტენზიების საღმომ გამართლდა ჩვენი იმედი, საშუალება მოგვცა ვაგვეუწუხოტესებინა საწარმოს მუშაობა. მას შემდეგ ასეთი საღმოები ტრადიციად იქცა. საღმოები იმართება

ისეთ საკითხებზე, როგორც არის წარმოება, კულტურა და ყოვა-ცხოვრება, მუშათა და მოსამსახურეთა აღზრდა, მინდობითი საქმისათვის დიდი პასუხისმგებლობის სულს-კვეთებით, წარმოების საარსებო საკითხებისადმი მზრუნველი მიდგომა, მუშათა მეგობრობისა და ურთიერთდახმარების განხორციელება.

ეკონომიური სწავლების დიდ ეფექტურობაზე ილაპარაკა აგრეთვე ერევნის გ. ი. ლენინის სახელობის არქუმშ-საქსოვი კომბინატის კონსტრუქციული ეკონომიკის შემსწავლელი სემინარის ხელმძღვანელმა ზ. ა. აკოჟიანმა. სომხეთის მსუბუქი მრეწველობის ამ მსხვილმა საწარმომ მიმდინარე წლის სამი თვის განმავლობაში გემების გადაპარბებით დაახლოებით 100 ათასი მეტრი პროდუქცია გამოუშვა. შრომითი წარმატებანი კარგად დაყენებული იდეოლოგიური მუშაობის შედეგია.

შრომითი აღზრდის სანტრესო გამოცდილება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნოვატორთა მოწინავე გამოცდილების გავრცელების მოწყობა გაეცია დამსწრეთ აზერბაიჯანის სსრ ფიზულის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ გ. ჰ. ჰუსეინოვმა. პარტიულმა კომიტეტმა შექმნა მოწინავე გამოცდილების ორი სკოლა: მეხამბეოებისა და მეცხოველეობისა. ამ საკულმში ყოველთვიურად ეწყობა შეყვანილობა და იქ ძირითადი ყურადღება ეთმობა სოფლის მეურნეობაში ახლის, პროგრესულის სწავლებას.

მოწინავე გამოცდილების შესწავლის მიზნით კოლმეურნეობებში აგორადიზსა და „1 მაისში“ გაიმართა სამეცნიერო-ეკონომიური კონფერენციები თემაზე „თვითღირებულების შემცირების გზა“ და „მიცეთ სამშობლოს მეტი ზამბა“. ეწყობა საუბრები კოლმეურნეობათა ნოვატორებზე, ისინი ადავლობრივი გაზეთის საშუალებით უზიარებენ მშრომელებს თავიანთ გამოცდილებას. საკულმურეო რადიოკანაშები აწყობენ მათს გამოცხლებას რადიოთი.

ჩვენ ვცდილობთ, თქვა ორატორმა, რომ სოფლის მეურნეობის ყველა სპეციალისტი და ხელმძღვანელი მუშაკები მჭიდროდ იყონ დაკავშირებული იდეოლოგიურ მუშაობასთან და სისტემატურად სწავლობდნენ და ავრცელებდნენ მოწინავეთა გამოცდილებას. ამისათვის ჩვენ შევქმე-

ნით ეკონომიური და სასოფლო-სამეურნეო ცოდნის შემსწავლელი კურსებზე მეცადინეობენ სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკები და სპეციალისტები — სულ 310 კაცი.

უსტაბიანსკელთა და ინჯიუელთა მიმართების პასუხად სამმართველოს მონაწილეთა იკისრეს მაღალი ვალდებულებანი — გააღვიძონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება, ჰექტარზე მიიღონ 26 ცენტნერი ზამბა.

თათბირზე აღინშნა, რომ იდეოლოგიური მუშაობის წარმატებებს ახლა განსაზღვრავს არის მონაცემები, თუ რამდენი საუბარია და ლექცია გაიმართა, არამედ საწარმოთა, მშენებლობათა, კოლმეურნეობათა შრომითი წარმატებანი, მატრიალურ სიყვანთა წარმოების შედეგები. მთელი ძალით აღინშნა, რომ სეკც კონტრაქტის კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის გარდაქმნის შესახებ, რომლებიც თავისი მახვილით მიმართულია ადამიანებთან მუშაობაში, შაბლონისა და ფორმალისზის წინააღმდეგ, უზრუნველყოფენ ცხოვრებასთან იდეოლოგიური მუშაობის კავშირის განმტკიცების ყველაზე ხელშეწყობს პირობებს.

ჰქმნიდეთ ხალხისათვის და ხალხის საკეთილდღეოდ

აი უკვე მესუთე თვეა ჩვენს ქვეყანაში წარმოებს აზრთა დიდი ურთიერთვაზარება საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის შემდგომი განვითარების ბედისა და გზების შესახებ. კრემლში გამართულმა შეხვედრებმა, ნიკიტა სერგის-მე ბრუშკოვის დამაკურებელმა და მეზნებარე გამოსვლამ უკვე შესარულეს უდიდესი როლი მთელი საბჭოთა მხატვრული ინტელიგენციის ცხოვრებაში. ამის შედეგად საბჭოთა კულტურის თვითეული მშრომელი ცდილობს უფრო ღრმად და მწვავედ გაიზიაროს თავისი საქმიანობის ძირითადი პრინციპები და თვით მიმართულება.

კრემლის დიდ ფორუმზე გამოსვლებმა და საუბრებმა ერთნაირად დაამტკიცეს ორი ერთმანეთთან დაკავშირებული, ისტორიულად ჩამოყალიბებული ქეშპირტება: იმდენადვე, რამდენადც აბსურდული და უნაყოფო სოციალისტური და ბურჟუაზიული იდეოლოგიის თანაარსებობის იდეა, ამდენადვე მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა, სოციალისტური რეალიზმის ფილოსოფია და ესთეტიკა უზრუნველყოფენ ხელოვნების შინადა მრავალფეროვნებასა და სიმდიდრეს, წარმოადგენენ სხვადასხვა ეთნიკისა და სტილის მიმდევარ ხელოვნათა საქმიანობის საიმედო საფუძველს, მხოლოდ იმ მტკიცე პირობით, რომ მათ აუავთოვანებს კომუნისტური იდეალები, მჭიდროდ არიან დაკავშირებული ხალხის ცხოვრებასთან.

საბჭოთა ხელოვნებისათვის ეს უაღრესად დამახასიათებელი ურთიერთკავშირი, მისი იდეური საფუძველების ერთიანობა და საბჭოთა მხატვრების შემოქმედებით ინტერესების მრავალფეროვნება შორის, შესანიშნავად არის

კარლი ფილიპიან • ზელი კაცისა*





გამოხატული ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებში: „მე მოლიანად აღმწერათ მხარე ვარ, რომლებიც მიჩვენებენ ახლის ცხოველყოფელ ძალას, ახლის გამარჯვებას ძვილზე-მწერლებს, რომლებიც მტკიცედ არიან დაყრდნობილინი ცხოვრების რეალურ კონკრეტულ მოვლენას და პროცესებზე, სურთ ემსახვრონ თავიანთ ხაზებს, ისწრაფვიან შექმნან ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც იარაღად გამოადგება ჩვენი პარტიას“.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების იდეოლოგიურ მუშაოთა თათბირზე გამოსულთა და დამწრთებთა ბევრი მონაწილე იყო პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მოსკოვის შეხვედრების ჩვენი ქვეყნის ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან. და ყველა მათგანმა ერთსულვნად აღნიშნა, რომ ამ შეხვედრების დროს შეიქმნა გულახილიობის, გულწრფელობის ატმოსფერო, იყო პატიოსანი მიუკერძოებელი საუბარი საბჭოთა კულტურის განვითარების უმნიშვნელოვანეს ცხოვრებისულ თემებზე, რომელიც გამოხატავდა პარტიისა და მთავრობის დიდ, ნამდვილად მამობრივ ზრუნვას ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების ბედისათვის. მათ ილაპარაკეს იმ სერიოზულ აზრებსა და განრისხებზე, იმ დიდ და მნიშვნელოვან შემოქმედებითს გეგმებზე, რომლებმაც საჭირო გახადა ეს შეხვედრები საბჭოთა მწერლებთან, კომპოზიტორებთან, მხატვრებთან.

თათბირმა ცხადყო, რომ მის მონაწილეებს ღრმად ესმით ამოცანები, რომლებიც დღეს დგას იდეოლოგიური ფრონტის თვითეთლი მუშავის წინაშე, ერთსულვნად ესწრაფვიან იმას, რომ იყონ იმ წინაბის ღირსნი, რომელსაც ხალხი უწყეს ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს. და თუცა თათბირის ტრიბუნადან ვერცხვლით კინებმატიორაკის განვითარების გეგმზე ილაპარაკა სომხებმა კინორეჟისორმა დ. ვ. ვალარშინამ, მუსიკალური კულტურის მოღვაწეთა ამოცანებზე — კომპოზიტორთა სრ. კავშირის სახალხო არტისტმა ყ. ა. ყარაევმა, ხოლო მოთხოვნებზე, რომლებსაც ჩვენს დრამატურგებს ვუყენებთ, — სომხეთის სსრ სახალხო არტისტმა გ. ზ. ჯანსიუკიანმა, თვითოდ მათგანის აზრი თითქმის საჭიროდღის, სომხეთის, აზერბაიჯანის ლიტერატურის, კინოს, მუსიკის, თეატრის ყველა მოღვაწის ერთ აზრს გამოხატავდა. ამიერკავკასიის მომედ ლიტერატურათა მძღვარი განვითარებით ერთნაირი დაინტერესებულებით იყო დაშვებული ქართული კრიტიკოსის გ. გ. მარგველაშვილის, სომხეთის მწერალთა კავშირის მდივნის რ. კ. კუპანესიანის, აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის მდივნის ი. ა. კასუშვილის გამოსვლებში.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრა ჩვენი ქვეყნის შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, აღნიშნავდნენ ორატორები, უარვრსად დიდმნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენს სულიერი ცხოვრებაში. ფორმალისისა და აბსტრაქციონიზმის კრიტიკა ვადაიქცა პრინციპულ პარტიულ საუბარად იმის შესახებ, თუ როგორია ხელოვანის ადგილი ხალხის ცხოვრებაში, როგორია მისი ადვილი კომუნიზმის მშენებლობაში, რომ საჭიროა შეურიგებლობა იდეოლოგიურ ბრძოლაში.

ხალხის ცხოვრებასთან კავშირი, სიყვალე და სიღრმე, სინამდვილის ასახვაში, რაც მხოლოდ მოწინავე მეცნიერთა მსოფლმხედველობისათვის არის მისაწვდომი, ღრმა ობიექტურობას ანიჭებს სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებას, ეხმარება მას ჩასწვდეს თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერებებს, ვადაიქრას მხატვრული შემოქმედების ყველაზე ძნელ ამოცანებში. პარტია ყოველთვის მოითხოვდა, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები არა მარტო ასახავდნენ დღევანდელ სინამდვილეს, არამედ ასახავდნენ მას მხატვრულად, დამატებითადა, ნიჭიერად, რადგან პრიმიტიული, სქემბატური, უფრული ემოციას მოკლებული ნაწარმოებები არავითარი შემოქმედებას არ ახდენენ მკითხველთა გონებასა და გულზე. ვლადიმერ მაიაკოვსკის, ვილემ ჩაიკინის გალაკტიონ ტაბიძის, ჯავახ ჯაპარლის ნაწარმოებებმა მთელი ჩვენი ქვეყნის მკითხველთა აზრებმა დაიძახებინა იმიტომ, რომ ამ ნაწარმოებებში მაღალი იდეურობა შესამებულაა მკაფიო მხატვრულ ღირსებებთან. ხელოვნება უნდა ემსახურობდეს ადამიანს, ეხმარებოდეს მას გარდაქმნას სამყარო და უფრო მშვენიერი ხდებოდეს. თათბირზე მოიყვანეს ფაქტები, მაგალითები, რომლებიც ახასიათებენ ლიტერატურის, მუსიკალური და სახეითი ხელოვნების მიღწევებს საჭიროებებში, აზერბაიჯანში, სომხეთში.

ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობას, რომელსაც ღრმად აქვს ვადაიქმნი ფესვები საუკუნეებში, არასოდეს არ უშლიდა ხელს ენათა განსხვავება. აზერბაიჯანსა და სომხეთში გამოიღეს ქართველ პოეტთა დღესიტი. ქართულ ენაზე თარგმნება სომხებ და აზერბაიჯანელ მწერალთა ნაწარმოებები. სომხეთის მკითხველები კარგად იცნობენ მომედ ხალხების — ქართველების და აზერბაიჯანელების ლიტერატურას. მაგრამ ეს ურთიერთობა კიდევ უფრო უნდა განმტკიცდეს და გაფართოვდეს. უნდა აღვადგინოთ, — ამბობს ი. კასუშვილი, — ქართული, აზერბაიჯანული და სომხური ლიტერატურის კარგი ტრადიციული კვირვლეუნი. მაგრამ მეგობრობა და ძმობა, თქვა მან, უნდა ფართოვდებოდეს ამა მარტო შეხვედრებით. საჭიროა ერთად მუშაობაყ. ამიერკავკასიის მწერლებს ხომ აქვთ საერთო მამართოვანებელი თემები — ეს არის 26 ბაქთელი კომისარი, სერგეი მირინის-ძე კიროვის, სერგო ორჯონიკიძის, სურენ სანადარაიანის, ნარბან ნარბანოვის ცხოვრება და მოღვაწეობა, რომლებიც მაღალმხატვრულ განსაიერებას ელიან. კარგი იქნება სამი რესპუბლიკისათვის რუსულ ენაზე გამოვიტყოს ერთი საერთო საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალი.

ახალი ადამიანის — ნათელი მომავლის შეგნეული და აქტიური შემნებლის აღზრდაში დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის საბჭოთა კინოს, მაგრამ ჩვენი კინომოღვაწეები ყოველთვის სრული პასუხისმგებლობით ეკიდებიან თავიანთ საბატიო მოვალეობას ყოველთვის იყენებენ ამ ყველაზე მასობრივი სახეობის ხელოვნების მახვილს საბჭოთა ხალხის საგმირო საქმეთა მაღალმხატვრულ ასახვისათვის? ყოველთვის სრულად აფასებენ კინოხელოვნების



ლ. შარდენანი

შენებლები

ნაწარმოებთა საზოგადოებრივი, აღმზრდელი ბიზნისი, იდეურ მნიშვნელობას? სამწუხაროდ, არა. და პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხედარაზე ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან და კინემატოგრაფის მუშაკთა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის პლენუმზე, რომელიც ამას წინათ გაიმართა მოსკოვში, აღინიშნა, რომ კინოხელოვნების ახლანდელი დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება მთლიანად ხალხის სულიერ მოთხოვნილებებს, ამოცანებს, რომლებსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა უსახავს საბჭოთა ხელოვნებას.

ეს სამართლიანი კრიტიკა შეეხება ამიერკავკასიის რესპუბლიკების კინოს ოსტატთა საქმიანობასაც. კარგ ფილმებთან ერთად, რომლებსაც კმაყოფილებით ხვდებიან როგორც მასურებლები, ასევე კრიტიკაც, ჩვენს ეკრანებზე გამოდის უფერული, ზოგჯერ კი ყველასათვის უსარგებლო ფილმები. ბევრმა ჩვენმა კინოხელოვნმა, დაძლია რა წარსულის პარადღეობა და შეღამაზება, სადაც ზომიერების გრძნობა დაკარგა და საპირისპირო უკიდურესობაში ჩავარდა. იმისათვის, რომ აუცილებლად დაუპირისპიროს თავისი მორიგი ნაწარმოებები პარადღეობის ნიშუმ ფილმებს, ზოგიერთ კინორეჟისორს წინა პლანზე გამოაქვს ჩვენი ცხოვრების მხოლოდ ჩრდილოვანი, უარყოფითი

მოვლენები, ან პასიურად აღრიცხავს ფაქტებს. ამის შედეგად ჩნდება წერილმანი თემის ამსახველი ფილმები, რომლებიც საშუალებას არ გაძლევენ შევიცნოთ ცხოვრება ფართო საზოგადოებრივ ფონზე მის ძველამოსილ რევოლუციურ პროცესში. და, რასაკვირველია, მართალი იყო ლ. ვ. ვალარშინი, როცა კინემატოგრაფისტთა სახელით განაცხადა:

— ჩვენ ჯერ კიდევ დიდ ვაღში ვართ ხალხის წინაშე. ვაღში ვართ ჩვენი მამების წინაშე, რომლებმაც რევოლუცია მოახდინეს, საბჭოთა ადამიანის წინაშე, რომელმაც სოციალიზმი ააშენა, ჩვენი თანამედროვეების წინაშე, რომლებიც ახლა გმირულად აშენებენ კომუნისტურს.

სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ყ. ა. ყარაევმა აღნიშნა, რომ ამიერკავკასიის, კერძოდ, აზერბაიჯანის კომპოზიტორთა შორის აბსტრაქციონისტული მუსიკალური აზროვნების მახინჯი მოვლენები არ არის, რომ ჩვენი კომპოზიტორები პატიოსნად ემსახურებიან ხალხს, მტკიცედ დგანან სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე. მაგრამ ამასთან მან თქვა, რომ ეს საფუძველს არ გაძლევენ მიეცეთ უღარდულობასა და გულდაშვებებს. უღარდულო იწვევს უბრუნებლობას, შემოქმედებითი უბრუნებლობა კი ასუსტებს პოლიტიკურ ალღოს. ჩვენ ზოგჯერ ვაქტებ უფერულ ნაწარმოებებს, რომლებიც ხშირად, ევარებიან რა საჭირობოტო სათაურს, არსებითად ამხინჯებენ თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს თემებს. ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევები, როცა შემოქმედებითი მუშაკები ირჩევენ ადვილს, გატკეპნილ გუზებს ნაცვლად იმისა, რომ იართონ პეშმარტი შემოქმედებითი ნოვატორობის ძნელი გზით.

ამავე დროს ამხ. ყარაევის გამოსვლაში, ისევე როგორც, უნდა ითქვას, სხვა ამხანაგთა გამოსვლებშიც, საჭირო იყო მოგვესმინა ჩვენი შემოქმედებითი ორგანიზაციების უფრო მწვავე კრიტიკა, გაგვეგო, თუ რას აკეთებენ პრაქტიკულად ისინი იმისათვის, რომ აღმოფხვრან ცხოვრებას მოწყვეტილი ფორმების მოხვედრა, ორიგინალობა, უხამსობა, რაც ზოგჯერ იჭრება ხოლმე ჩვენს ხელოვნებაში, რას აკეთებენ იმისათვის, რომ ჩაუნერგონ და განუფითარონ ახალგაზრდობას მაღალი მხატვრული ეკაზონება.

შეგქნათ მკაფიო ნაწარმოებები, რომლებიც ღრმად და სიმართლით ასახავენ ჩვენს საბჭოთა სინამდვილეს შევიტანოთ მასებში კომუნისტური ნათელი იდეები. ცვსობობდეთ ხალხისათვის და გვემინდეთ ხალხისათვის — აი რით უნდა იყოს გამსჭვალული ახლა კომპოზიტორთა და მხანობათა, მწერალთა და რეჟისორთა, მრავალმხარეოვანი საბჭოთა ხელოვნების ყველა მოღვაწის შემოქმედებითი საქმეები.

მკვლევარად გავუწიოთ პროკაბანად ხალხთა ძმურ მკამოზრობას

ამიერკავკასიის რესპუბლიკათა მშრომლები უფრო თხილდებიან და განამტკიცებენ ხალხთა მეგობრობას — სოციალისტური რევოლუციის დიად მონაპოვარს, მრავალრიცხოვანი საბჭოთა სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების წყაროს. მეიდრო ერთიანობა, ერთმანეთისათვის უხანარო

დახმარების გაწევა — აი ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოში ყველა ხალხის წარმატებათა საწინდარი, ხალხებისა, რომლებიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ერთიან ოჯახად აშენებენ კომუნისზმის ნათელ შინობას.

პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების, დიდი რუსი ხალხის დახმარების მიზნებით საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი საბჭოთა ხელისუფლების წლებში აყვავებული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები გახდნენ.

ამიერკავკასიის რესპუბლიკებს აქვთ პარტიის მიერ გამოწოდებული პროლეტარული ინტერნაციონალიზმის შესანიშნავი ტრადიციები, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ინიციატივით შექმნილ ამიერკავკასიის ფედერაციის სისტემაში ერთობლივი ნაყოფიერი მუშაობის დიდი გამოცდილება. საკართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მოძრა ხალხთა მეგობრობა, რომელმაც ახალი მძლავრი ძალა და ქვედითობა შეიძინა დიდი ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ, ჩვენს ქვეყანაში კომუნისზმის მშენებლობის პერიოდში ახალ, უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

სამი რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობის შემდგომ განმტკიცებაზე კეთილმყოფელ ზეგავლენას ახდენენ პარტიის ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მათი შემოქმედებითი ღონისძიებების კოორდინაცია ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ამოცანების გადასატრედად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროს შექმნა. უზრუნველყოფილია ურთიერთობის, უხევედრების, კომუნისზმის აშენებისათვის ბრძოლაში ღონისძიებათა გაერთიანების კიდევ უფრო დიდი შესაძლებლობანი.

დღითიდღე მტკიცდება და ვითარდება ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიური, კულტურული კავშირურობა, ჩადდება ქალაქებისა და რაიონების, საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, წარმოების მუშაკების სოციალისტური შევიზრება. ათ წელიწადზე მეტა ეყრბრებიან ერთმანეთს სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს მთელი ინდუსტრიული და კულტურული ცენტრების — ლენინაკანის, კიროვანადის, ქუთაისის მშრომლები ისინი ხშირად ხედებიან და უზიარებენ

ერთმანეთს მოწინავე გამოცდილებას.

— ლენინის დღეებისათვის მეგობრობის განსაღდენის ტრასა, რომელიც აზერბაიჯანში იწყება, ლენინაკანში მოვიდა. ჩვენი ქალაქის მშრომელებმა მიიღეს ზუნებრივი გაზი, — თქვა სომხეთის კომპარტიის ლენინაკანის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდიანამ ვ. ზ. ღარბუჯიანმა... ამ დღეებში მეგობრობის ცისფერი ჩირაღდანი ანთა ლენინის მოღდანზე დიდი ზეღადის ძეღთან. ყარაღდის გაზი არა მარტო ენერჯიას აწღდის ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებს, საცხოვრებელ სახლებს, არამედ ჩვენი მოძმე აზერბაიჯანელების გულის სითბოც მოაქვს.

ვასული წლის დამღვეს ლენინაკანის მაგისტრალზე ტროლეიბუსის კომფორტული ვაგონები გაჩნდა. ჩვენი ქალაქის მცხოვრებლებმა აქაც იგრძნეს ჩვენი ქართველი ძმების მეგობრული დახმარება. სწორედ მათ გაიყვენეს ტროლეიბუსების ხაზები, ჩვენი თბონენი მათ გაატარეს ტროლეიბუსის პირველი ვაგონები ლენინაკანის ობსოლექტებზე.

იმ დღეებში, როცა თბილისში ამიერკავკასიის იდეოლოგიურ მუშაკთა თათბირი მიმდინარეობდა, ქუთაისში შეიკრიბა ლენინაკანის, ქუთაისისა და კიროვანადის პედაგოგიური ინსტიტუტების უმაღლეს სასწავლებელთა შორისი სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენცია მიმდინარეობდა სკკპ XXII ყრიღობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პროპაგანდისა და განხორციელების ნიშნით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპების ნიშნით.

აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მშრომელები მჭიდროდ დუკავშირა ერთმანეთს მრავალი წლის ერთობლივმა ბრძოლამ თვითმყარობეღობისა და კაპიტალიზმის წინაღმდეგ, თანამეგობრობამ სოციალიზმის აშენების ამოცანების განხორციელებაში. ეს თანამეგობრობა შექმნეს და სიყვარულით გამოზარდეს ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა.

სრული ნი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შეიქმნა რსდმპ კავკასიის საკავშირო კომიტეტი, თქვა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა ფ. ა. აზიზბეყოვმა. სასიხარუ-





ლოა, რომ იგი ლენინური იდეების ღრმადი მქადაგებელი იყო კავკასიაში, რადმი კავკასიის საკავშირო კომიტეტი აქტიურად იბრძოდა ამიერკავკასიის შრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის, საუფლებოდ ჩაუყარა უძლედი საფუძვლებების მუშაობას ამიერკავკასიის შრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის, და ამიტომ მაღალი შეფასება დაიმსახურა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მხრივ.

დიდა ისტორიკოსების როლი ამიერკავკასიის ხალხთა სახელგანთქმულ მებრძოლის მატჩიანს შექმნა. მათ დაწერეს ხალხთა მებრძოლის ისტორიისადმი მიძღვნილი ბევრი მონოგრაფია, წიგნი, ბროშურა. მაგრამ 1954 წლამდე გამოქვეყნებული ბევრი ნაშრომი, მიუხედავად იმისა, რომ სასარგებლო იყო, არ იღვანე მცენარეების თანამედროვე მოთხოვნების დონეზე. პიროვნების კულტის დაღს ატარებდა. პარტიის X XII ყრილობის შემდეგ გადაიდა პირველი ნაბიჯები განმახრავებელი შრომების შესაქმნელად, მთელი რიგი ნაშრომები დაიწერა ამიერკავკასიის ხალხთა ეკონომიკურ, კულტურულ თანამშრომლობაზე, ზერბაიჯანელი და რუსი ხალხების ლიტერატურულ ურთიერთობაზე. უნდა მივესალმოთ ისეთი შრომების გამოცემას, როგორც არის „მებრძოლის მატჩიან“, რომელიც საქართველს და სომხეთის მეცნიერება წამოიწყო, საჭიროა გამოიყოს ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთდახმარების ამსახველი დოკუმენტების კრებოლი.

თათბირის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ საჭიროა დღითიდღე განვამტკიცოთ ძმური კავშირი, ურთიერთ განვადიროთ ხალხთა სულიერი კულტურა. უნდა განვავარძლოთ კონცერტების გამართვა სამი მომეც რესპუბლიკის ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით, ყოველი ღონისძიებით გაავადართოთ თეატრების, აგრეთვე ხელოვნების ოსტატებისა და მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების გასტროლებს გაცვლა.

მიზანშეწონილია მოეწყოს ზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის კინოტელევიზიის შეჯამება, რეკულარულად გაიმართოს თბილისის, ბაქოს და ერევნის სტუდიათა კინოფილმების ფესტივალები, ქართული, ზერბაიჯანული და სომხური ლიტერატურის საღამოები, მოეწყოს მხატვრების ნამუშევართა გაცვლითი გამოვენები.

ეტიოდ, ამ საკითხზე მიუდგნა თავისი გამოცხვლა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა თ. ბ. ზუაჩიძემ. მან ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა სამი რესპუბლიკის შემოქმედებითი კავშირების მუშაობა და კულტურის სამინისტროების საქმიანობის კოორდინაცია. უნდა დავამყაროთ კავშირი გამოცემლობებს შორის, ისე დავაყენოთ საქმე, რომ მივინ ერთმეორეს არ იმეორებდნენ. ზოგიერთი წიგნი შეიძლება ერთ-ერთ რესპუბლიკაში გამოიყოს დიდი ტირაჟით იმ ვარუდით, რომ გავრცელდეს ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკაში.

საქართველოს, ზერბაიჯანისა და სომხეთის შრომელნი ეზხადებიან იმისათვის, რომ ღირსეულად აღნიშონს იუბილუ მთელი ამიერკავკასიის დიდი მოეტისა და მგოსნის საიათ-ნოვასი, რომელიც თანაბარი შთაბეჭებითა და ოსტატობით თხზავდა ლექსებსა და სიმღერებს სომხურ,

ზერბაიჯანულ და ქართულ ენებზე, განსახიერებდა რა სამი ხალხის ერთგული კულტურების ერთიანობასა და ნათესაობას.

დიდ ლენინს, თქვეს თათბირზე ორატორებმა, არაერთგზის დაუსახეს მისაბამ მაგალითად ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციები, როგორც პროლეტარული ინტერნაციონალისტებისა და მებრძოლურობის ნიმუში. ამიერკავკასიის ბოლშევიკებისათვის, როგორც ქვეშაირტი ლენინელი ინტერნაციონალისტებისათვის, ყოველთვის უცხო იყო ეროვნული შეზღუდულობა და შოიინიზმი.

ამჟამად, კომუნისზმის გაშლილ მშენებლობის პერიოდში, ამიერკავკასიის ხალხთა მებრძოლობა და ძმობა უფრო მტკიცე და ურღვევია, ვიდრე ოდესმე წინათ, და ჩვენი წმინდა მოვალეობაა განვამტკიცოთ ეს მგობრობა, გამოვიყენოთ ეს მძლავრი ბერკეტი კომუნისტური მშენებლობის ინტერესებისათვის.

სამუთა კავშირი მიმდინარეობს სოციალისტური ერების შემდგომი განვითარების აქტიური პროცესი, მათი ურთიერთავლეენისა და ურთიერთგამდირდების გაძლიერების, კიდევ უფრო მეორედ დაახლოების პროცესი.

თითოეული ერის სწრაფი და ყოველმხრივი განვითარება და ამავე დროს სოციალისტური ერების სულ უფრო დაახლოება კომუნისზმისაკენ ჩვენი წინაშის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კანონზომიერებაა.

ყოველდღიურ იდეოლოგიურ მუშაობაში ჩვენ მუდამ უნდა განვამტკიცავდეთ, რომ ერების დაახლოების პროცესი ხდება ეროვნული კულტურების აყვავებისა და ურთიერთგამდირდების საფუძვლებზე.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებმა თავიანთ თათბირზე ვაზუარეს ერთმანის გამოცდილება, გამოაშკარავეს ხალგაენათვის, დასახეს შრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფის, პარტიის იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე სკკ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პუნქტებისათვის ყოველმხრივ მომზადების ჯგუხი.

თათბირმა ერთსულელებად მოიწონა პარტიის ღონისძიებანი იდეური ცხოვრების აქტიუოზაციისათვის, დავეანახვა, რომ პარტიის მებრძოლები, იდეოლოგიური მუშაკები ბოლშევიკურ შეურიგებლობას იჩენენ მტრული ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლენისადმი, არაჯანსაღი მოვლენებისა და მცდარი ტენდენციებისადმი, რომლებიც გამოაშკარაბებულ იქნა ხელოვნებისა და ლიტერატურაში.

თათბირის მონაწილეებმა გამოიჩინეს კომუნისტური საზოგადოების გაშლილ მშენებლობის პერიოდში იდეოლოგიური მუშაობის ამოცანების მკაფიო და სწორი გავება და ერთსულელებად მიღებულ წერილში სკკ ცენტრალური კომიტეტისადმი განაცხადეს, რომ მზად არიან იმეორი კომუნისტური მშენებლობის იმ დიდებული ამოცანების წარმატებით განსახორციელებლად, რომლებიც პარტიამ დასახა.

ა. ზააკიანი, ბ. ქორელი, ა. ტახასევიძი, ა. შაპიკიანი,

საქტესის კორესპონდენტები.



გიგო გამაშვილი

ბაზარი სამარყანდში



გოლნისის რელიეფური სტელა და მისი კვითის ტექნოლოგია

ჯუანშერ ამირანაშვილი

ქვევლებთან ერთად აღმოჩნდა მომწიწი ფერის ქვის სტელა, დიდებული მამაკაცის რელიეფური გამოსახულებით.

სტელა აღმოჩნდა „ლაშაში გორის“ სამონასტრო კომპლექსის № 2 ოთახის (სათავსოს) ჩრდილო-დასავლეთით, კედლის ნიშში. აქვე იყო ნაპოვნი ათეულზე მეტი სტელა და ქვში ნაკვეთი ჯვრების ნატეხები².

სტელა დაახლოებით კვადრატულია. მისი სიგრძე უდრის 25 სმ. სიმაღლე 26 სმ და სიგანე 9 სმ. მასალა ღია მწვანე ფერის ტუფია. იგი საკმაოდ კარგად არის შემონახული. რელიეფს ქვედა ნაწილი მომტკრეული აქვს. მამაკაცის გამოსახულებას დაზიანებული აქვს ცხვირისა და ყბის ნაწილები. სტელის ზურგზე ამოკვეთილია ჯვარის გამოსახულება, რომელიც

ლიც შედარებით უკეთესად არის შემონახული.

სტელის წინამხარეს ამოკვეთილია ახალგაზრდა მამაკაცის გამოსახულება (en face, პირდაპირ) რომელსაც მარჯვენა ხელში უკავია სატევარი, ხოლო მარცხენაში — ქარქაში.

სანამ უშუალოდ სტელის ანალიზზე გადავიდოდეთ, უნდა აღვნიშნოთ რელიეფის ცალკეული დეტალები.

დიდებული მამაკაცი საკმაოდ ახალგაზრდა ჩანს, მის გამოსახულებას არ ემჩნევა წვერ-უღვაში. წვერი რომ ჰქონოდა, მაშინ მანიაკის (ყელსაბამის) გამოსახულების ნაწილს დაფარავდა და ამ შემთხვევაში ოსტატი მანიაკს უფრო ქვემოთ, საყულისთან ახლოს ამოკვეთავდა (იხ. ფოტო). ის ვარეშობა, რომ რელიეფს ყბა დაზიანებული აქვს, ზემოთ მოყვანილ ვითარებას არ სცვლის.

ყურადღებას იპყრობს გამოსახულების გრძელი თმის ვარცხნილობა. თავზე თმა სქელ პარალელურ კულულებად არის გაყოფილი. თმის შუა ნაწილი ბირთვისებურად, მრგვალად არის შეკრული და შემკულია ასევე მრგვალი, ბრტყელი, ალბათ ოქროს, პატარა ღილაკებით. თმის პილი ნაწილი სამ გრძელ ნაწნავად არის გაყოფილი და გაღამებულია რელიეფის მარცხენა მხარეს. თვითული ნაწნავი შემკულია ასეთივე ოქროს ღილაკებით, ხოლო მათი ბოლოები, შესაძლოა, შეკრული იყოს აბრეშუმის ბაბით. საფიქრებელია, რომ გამოახსულების თმა უნდა იყოს აბრეშუმის წერილი ბადით დამაგრებული.

სტელის გამოსახულებას კისერზე ჰკილია ასეთივე ფორმის ღილაკებისაგან აცმული მანიაკი. ტანსაცმლის ზევით, გულმკერდზე რელიეფს ჯვარდინად ჰკილია ვიწრო, შესაძლოა ტყავის, ღუნტა, რომელზედაც დაკრულია იგივე ოქროს ღილაკები. ეს სათლად ჩანს იქიდან, რომ გულმკერდის ღილაკები ერთმანეთთან ორი პარალელური ხაზით არის შეერთებული, ხოლო მანიაკი — ერთით, ორივე სახელოზე გამოსახულებას ორ რიგად და-

1

ოლნისის რაიონში არქეოლოგიური ექსპედიციის დროს, ბოლნისის სიონის ახლოს მდებარე „ლაშაში გორის“ ვახტანგის სხვა

¹ 1959 წელს ბოლნისის რაიონში არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სხ. ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიცია უფროსი მეცნიერ მემკვიდრის ი. გველიშვილის ხელმძღვანელობით.

² ი. გველიშვილი, ბოლნისის რაიონში 1959 წ. ჩატარებულ არქეოლოგიურ გათხრების ანგარიში, თბილისი, 1960 წ. გვ. 40-41.

მაგრეული ზუსტ იგივე ილაკები³. რელიეფი ორივე ყურზე ჰკიდა რვიანის მაგვარი საყურეები. რელიეფის ქვედა ნაწილში ჩანს ტარის, შესაძლებელია აწმისის გამოსახულება, რაც ამავე დროს გულისხმობს სარტყლის გამოსახულებას (რადგანც დაწნას ქამარში იკეთებდნენ), რაც სამწერაროდ მოტივბოდა. გამოსახულებას აცვია წყორი უსყავლო ტანსაცმელი.

გამოსახულების ფონი ვაწრობეზულია და მასზე რაიმე წარწერის კვალი არ ჩანს.

სტელის ზურგზე ამოკვეთილი აქვს მელალიონი ე. წ. „ბოლნური“ ტიპის ჯვრის გამოსახულებით. თანასწორმკლავიანი ჯვარი ბუნჯა დადგმული. ჯვრის ქიმები ორმაგი კონტურით არის ამოკვეთილი, ხოლო ქიმების ცენტრში — ბურთულეზია ამოჭრილი, ჯვარი გარშემო ორნამენტირებულია ორ მწკრივად და წრიულად განლაგებული პატარა სამკუთხედებით, მელალიონის შიდა ფონი ამოკვეთილია, ხოლო გარეთ კი სტელის სისქეზეა დატყვებული.

საერთოდ, არსებობს ჯვარის ორგვარი კონფიგურაცია: თანასწორმკლავიანი და „წამების“ ანუ რვა ბოლიანი. ცნობილია, რომ თანასწორმკლავიანი ჯვარი აღრინდელ ეპოქაში იყო შიხის განსახიერების სიმბოლო. ამგვარი ჯვარი გვხვდება საქართველოში და აღმოსავლეთის ქვეყნებში ენოლოგიითადა, უფრო განსვრულ კი ბრინჯაოს ხანიდან⁴. ქრისტიანულმა მოძღვრებამ და ხელოვნებამ აივსეს ჯვრის გამოსახულება და მოვიცა ორი განსხვავებული განმარტება: ჯვარი „ძლევისა“ და ჯვარი „მეწყალო“⁵. თანახმაა ქრისტიანული აპოკრიფისა, კონსტანტინე დიდმა 312 წ. ჩვენს წელთაღრიცხვით დაყენებულ მაქსენციანთან ბრძოლის წინ, იხილა დროსაზე გამოსახული ტოლმკლავიანი ჯვარი წარწერით: „Hoc signo

vicis“ (ამ ნიშნით გაიმარჯვებ). ამ დღევანდის ვაგლენით ტოლმკლავიანი ჯვარის უკეთობა ბუნი და იღვებს სტანდარტის სახეს, ხოლო ჯვარს ეწოდა „ძლევის ჯვარი“. რეაზობიანი ანუ „წამების“ „მეწყალოს“ ჯვარს ეწოდა ეს სახელწოდება იმის შემდეგ, როდესაც იესო ქრისტე ჯვარს აცვეს.

აღრე ქრისტიანულ ხანაში თანასწორმკლავიანი ჯვარი პირველად ვეხვდება საქართველოში ბოლნისის სიონის ტაძარში, რის შემდეგაც ამ ტიპის ჯვრებს ჩვენს მეცნიერებაში „ბოლნური ჯვრები“ ეწოდა⁶.

„ღამაში გორის“ გათარბებისს აღმოჩნდა რამდენიმე ათეული „ბოლნური“ ტიპის ჯვარი⁷.

სტელის ჯვარის ქიმზე ამოკვეთილი ბურთულეზია და მოცულობითი კონტურები, აგრეთვე ბუნის გამოსახულება შესაძლებლობას იძლევა დავასკვნათ, რომ გამოსახული ის როგორც სტანდარტია.

უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იმართოს ის გარემოება, რომ რელიეფზე გამოსახულ პიროვნებას ახასიათებს მაღალი საზოგადოებრივი რანგის მატარის დამახასიათებელი ნიშნები. სასებით ცხადია ის გარემოება, რომ რელიეფზე არ არის გამოსახული მეფე, ვინაიდან სამეფო გვირგვინი, რომელიც დამახასიათებელი ნიშანია ამ შემთხვევაში, გამოსახული არ არის. ყურადღებას იმართოს ზემოთ აღწერილი თმის სამ ნაწევად გაყოფის წესი და თავის ზემოთ მრგვალად შეკრული თმა, რომელიც შეწყულია ოქროს ღილაკებით.

შედარებით მასალა ქართულ ძეგლებში და არც ადრინდელი ხანის მონეტებზე არ მოიპოვება, მხოლოდ ბართული, სასანური ხელოვნების ძეგლებზე, პირველ რიგში მონეტებზე, მოიპოვება ისეთი მასალა, რომლის შესწავლას შეუძლია გამოარკვიოს ჩვენს მიერ დაყენებული საკითხი. ამ

და მისი განვითარების ყველა მონუმენტალური მომგებელი Kurt Erdmann-ის მიერ⁸.

სასანურიანი გვირგვინის ყველაზე უფრო დამახასიათებელ ნიშნად ითვლება დიდი ზომის სფერული ფორმის ოქროს სამკაული, რომელიც შეადგენს გვირგვინის შივარს ნაწილს. ამ სამკაულში მოთავსებული იყო მრგვალად შეკრული თხემის თმა, ხოლო დანაწილი თმა ნაწილების სახით გადაშლილი იყო ზურგის უკან. ეს კარგად ჩანს თალი-ბოსთანის რელიეფზე, სადაც გამოსახულია არდაშირ II (379—383 წ. წ. წ. აღრ.).

ცნობილია, რომ ვარპარან V მეფობამდე თავის თხემზე მოთავსებული ყოფილა მრგვალად დახვეული თმა, რომელიც ზოგჯერ დაფარულია ყოფილა მტკად მჭიდროდ აბრეშუმის ქსოვილით. გვიან სასანურ ხანაში გვირგვინის მრგვალ ბირთვზე მოთავსებულია ქვეს ქიმისი ვარკკელია⁹.

ბოლნისის რელიეფზე თმა შეკრულია სასანური წესის მიხედვით, მაგრამ გვირგვინის ვაგიერობა თმის მართებლობა და შეკრულობა არ ასრულებს. უთუოდ აქ გამოსახული ყოფილა მაღალი თანამდებობის პირი, ჩვენი შეხედულებით, პიტახხი.

როგორც აღნიშნული იყო, გამოსახული პიროვნების გულმკერდზე შემკულია ოქროს ღილაკებით, რომელთა წყობა ჯვარედინი სახე აქვს. მარჯვენა ხელში მას სატყვარი უჭირავს, ხოლო მარცხენაში ქარქაში. ზემოთ აღნიშნული ტიპის სატყვარი ნაპოვინა არ მართის გათარბების დროს, სახელდობრ ასანურ პიტახხის № 1 სასარნი¹⁰. მისი სატყვარის რკინის, რომელსაც აქვს ოქროს ტარი მჭირფალი ქვევით შეწყული და ასვე შეწყული ოქროს გარსაკრავინი ქარქაში. ეს გარემოება დასტურებს იმ აუციონებულ ფაქტს, რომ საქართველო და თვლებით შემოსილი სატყვარი, უმე-

³ ა. ალქიძე, გ. ვიხეჯიშვილი, ა. კლარდზე, გ. ლობთაძე, მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიებებს შედეგები, ტომი 1, თბილისი, 1955 წ., გვ. № 23, 64, 73, 189 და სხვ.

⁴ В. А. Кухтин, Археологические раскопки в Тривалети, т. 1, Тбилиси, 1941, стр. 86.

⁵ Чубинашвили Г. Н. Болнисский сион, акад. Е. შარის სახ. ენის, ისტორიისა და მატრიარული კულტ. ინსტ. № 1940.

⁶ მცხეთა, დასას. ნაწირობი, გვ. № 28, გ. 50.

⁷ მცხეთელი, დასას. ნაწირობი, გვ. 30-50.

⁸ Kurt Erdmann, Die Entwicklung der sassanidischen Krone, Ars islamica, vol XV—XVI 1951, გვ. 87—123.

⁹ Fissarre, E. Herzfeld, Iranische Felsrelief, Berlin 1910, გვ. 68; E. Herzfeld, Am Tor von Assien, Berlin, 1920, გვ. 60.

¹⁰ მცხეთა, დასას. ნაწირობი, გვ. № 28—29, ტაბა: 1, III, XI.

ველია, ინსიგნიას, საზეიმო იარაღს წარმოადგენდა. საყურადღებოა ის გარემოება, რომ სამარხში სატკვარი და მისი ქარტაში ცალკე იყო მოთავსებული¹⁰. მამასადამე, ძვირფასად შემკული სატკვარი წარმოადგენდა ბიტიახში საზეიმო იარაღს, ინსიგნიას. აქვე ნაპოვნი გემმის ბერძნული წარწერა აღსატურებს, რომ ის წარმოადგენს ასპარუგ ბიტიახში ბრატრეს¹¹. უკანასკნელი გამოსახულია პროფილიში, რომლის გულმკერდი, თანამად ანტიკური ხელოვნების ტრადიციისა, შიშველია. პირისახე, განსაკუთრებით კეხიანი ცხვირი, კისერი და თვალები დამუშავებულია არა განზოგადებულად, არამედ უთუოდ პორტრეტული მსგავსებით. იმ დროს, როდესაც აღმოსავლეთის ხელოვნების ტრადიციის მიხედვით დიდი თანამდებობის პირი, თვით მეფე, როგორც წესი, განზოგადებული ნიშნით არის გამოსახული და მხოლოდ ატრიბუტით განსხვავდება სხვა ანალოგიური გამოსახულებისაგან (მაგ. გვირგვინის ფორმის მიხედვით, სამკაულებით და სხვ.), ასპარუგის გამოსახულება ატარებს ინდივიდუალურ, პორტრეტულ სახეს. იგი თარიღდება ჩვ. წ. აღ. II საუკუნით. რა თქმა უნდა, ამ დროისათვის გვიან ანტიკური ხანის მხატვრული ტრადიციის ჩვენში ჯერ კიდევ ძალაში იქნებოდა. სასანიანთა ხანის მეფეთა გამოსახულება შეტრიალად გამოიყენება გვირგვინის თავისებურებით, ვინაიდან ცნობილია, რომ ყოველ მეფეს გარკვეული ცვილები შეჰქონდა გვირგვინის მოყვანილობაში და წარწერებითაც, ხოლო მეფის გამოსახულებას ჰქონდა განზოგადებული ხასიათი.

ის გარემოება, რომ ბოლნისის რელიეფზე ბიტიახში გამოსახულია ბირადაირი, საზეიმო ვითარებაში, ტანსაცმელში, რომელიც სავანგებოდ მორთულია, ვგვაფიქრებინებს, რომ რელიეფი შესრულებულია ვაცილებით უფ-

რო გვიან, ვიდრე ასპარუგის პორტრეტული გემა. ბოლნური ჯვარი, რომელიც ამოჭრილია რელიეფის ზურგზე, ვეაძლევს საშუალებას დავაზუსტოთ ძეგლის თარიღი.


პირისახის მომრგვალებული რელიეფი, თმის ვარცხნილობა მოკვებითა IV საუკუნის ძეგლებს, როდესაც ანტიკური პორტრეტული ხელოვნების ტრადიცია ჯერ კიდევ განავლობდა არსებობას. ბიზანტიურ ხელოვნებაში მებდა გავრცელებული იყო კონსულების დიბტიეზზე საზეიმო ვითარებაში კონსულების გამოსახვა შესაფერისი ინსიგნიებით. ეს წესი მომდინარეობს გვიან ანტიკური ხანიდან.

ერთი სიტყვით, ბოლნისის რელიეფზე საზეიმო ვითარებაში გამოსახულია ქართლის, ამ შემთხვევაში გუგარქის ბიტიახში, რომელსაც აქვს ინსიგნიის სახით სატკვარი ხელში. არმაზის გათხრებში ნაპოვნი ბიტიახში ასპარუგის მდიდარი სამარხის ინვენტარი; თვლებით შემკული ოქროს ტარიანი და ქარტაშიანი სატკვარი, ტანისამოსის შემკულობა ოქროს დილაკების სახით აღსატურებს იმ გარემოებას, რომ ბოლნისის რელიეფზე გამოსახულია ბიტიახში, ალბათ გუგარქისა.

ძეგლის თარიღის დასადგენად ჩვენ უნდა მივმართოთ შედარებით მასალას. ასპარუგ ბიტიახში სამარხში აღმოჩენილია გემა ბერძნული წარწერით, რომელიც თანდათან იცვლება, მისი გამოსახულება უფრო განზოგადებული და აბსტრაქტულ სახეს იღებლობს. ჩვენი შეხედულებით ბოლნისის რელიეფი უნდა დათარიღდეს IV-V ს. ს. ფარგლებით, უფრო ზუსტად კი V ს. პირველ ნახევრით.

სტელა არის არა საფლავის ძეგლი, არამედ საზეიმო დანიშნულებისა. სტელა უთუოდ გამოქანდაკებულია ზუსტად იმ დროს, როდესაც აქ გამოსახულმა ბირამ ჯერ კიდევ ჰქონდა კომპლას მიიღო ბიტიახში საპატრიოწოდება, ამ შემთხვევაში კი გუგარქის ბიტიახში.

განვიხილოთ დაბალი რელიეფის შქმის ტექნოლოგია, კერძოდ ბოლნისის სტელის მავალითზე.



სტელა წარმოადგენს დაბალ რელიეფს, რომლის არც ერთი დეტალის სიმაღლე არ აღემატება სტელის საერთო ღონეს. სტელაზე რელიეფური გამოსახულება ამოკვეთილია ორ ობერაკივად. თავდაპირველად ქვაზე ისტატმა შემოავლო გამოსახულების კონტური. შემდეგ ამოკვეთა ფონი და დაიყვანა ის ერთ ღონეზე. ამის შემდეგ ოსტატმა კონტურის შემდგომი ჩარგვების მეთოდით ამოქერვა მამაკაცის გამოსახულება.

ზურგზე ჯვრის მედალიონი კი ბირით არის ამოჭრილი სტელაზე. ისტატმა ბირდაპირ ამოკვეთა ჯვრის გამოსახულება, ხოლო გარშემო ფონის დატოვა ერთი ღონის სიმაღლეზე.


ამ სტელის კვეთის პრინციპი იგივეა, როგორც იხმარებოდა ბოლნისის სიონის სტელის კანკელების, ჯვრების და სხვა ფიგურების დამზადებისას.

მუშაობის დროს ოსტატი ხმარობდა სხვადასხვა ზომის და სხვადასხვა ბირანი სატეხებს, სხვადასხვა ზომის და წონის ჩაქურებს, რომლებიც ძირითადად რკინისაგან უნდა ყოფილიყო დამზადებული.

ბოლნისის სტელის მამაკაცის გამოსახულებას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ხელოვნების ისტორიისათვის, რადგანაც ის ამაყად ცნობილ ქართულ ქანდაკებებს შორის ერთ-ერთი უძველესთაგანია.

¹⁰ მეტეო, ტ. I, დსახ. ნაშრა. გვ. 28.

¹¹ მეტეო, ტ. I, დსახ. ნაშრა. გვ. 23-27, ტაბ. I, ნახ. 4.



80
წ
ე
წ
0
65

ნუსკა ჩხეიძე

ნინო შენგელიაძე



ილი სიყვარულითა და უღრმესი პატივისცემით აღნიშნა ჩვენმა ხალხმა ტრაგიკულია და დრამის ქართულ სცენაზე დამაპყიდებელის, ვლადიმერ მესხიშვილის რომანტიკული სკოლის უნიჭიერესი წარმომადგენლის, ნინო ჩხეიძის მოღვაწეობა. ამ დღიმა მსახიობმა მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე მოაწოდო მშობლიური ქვეყნის ეროვნული კულტურის წინსვლას და ბრძოლას უკეთესი მომავლისათვის.

ნინო ჩხეიძისაგან სამუდამოდაა დავალებული ქართული თეატრის ისტორია და მისი განვითარების საბაჲო გზა.

ეს შესანიშნავი შემოქმედი დღესაც სამაგალითოა ქართული საბჭოთა თეატრისათვის როგორც სამსახიობო ხელოვნების დიდი ოსტატი, მოქალაქე და თავისი ხალხის ქემშარიტი პატრიოტი.

ქართულ თეატრში ნინო ჩხეიძის მსახიობად მოსვლას ჩვენი ხალხი უმაღლესი კოტე მესხსა და ვლადიმერ მესხიშვილს, რომლებმაც მრავალმხრივი ამაგი დასდეს აღდგენილი ქართული პროფესიული თეატრის ურყევე საფუძველზე დამკვიდრებას. ნინო ჩხეიძე 1894 წლიდან ჯერ კიდევ ცამეტწი წლის იყო, ჩვენი თეატრების სცენებზე ასახიერებდა როლებს ქართულ, რუსულ და დასავლეთ ევროპულ რეპერტუარიდან, ნინო ჩხეიძეს თავისი შემოქმედება მიჰქონდა ხალხთან, იგი ყოველთვის ცდილობდა ეგასუხა ფართო მასების პროგრესული მოთხოვნილებებისათვის. ისეთი როლები, როგორცაა ივლითი, ნორა, ლაურენსია, კრუჩინინა და მრავალი სხვა ნინო ჩხეიძეს აძლევდა საშუალებას თავისი დემოკრატიული აზრები ამაღლებულად და ამაღლებვებელი პათეტიკურობით გაეზიარებია მაყურებლისათვის.

ნახევარი საუკუნის მანძილზე იბეჭდებოდა გადაუჭარბებელი შეფასებები, სადაც იგი იყო ქართული მხატვრული სიტყვის, ქართული სასცენო გრაჲის, კეთილშობილებების, მწუხარების, ჩაგრული და ტანჯული ქალის ბედის საუკეთესო გამსახიერებელი ოსტატი.

იგი ნახევარი საუკუნის მანძილზე ქმნიდა ხან საგმირო ხან სედიან სახეებს, რომლებშიც ხან უსაზღვრო სიყვარული გამოსჭვივოდა თავისუფლებისადმი და ხანაც ვაჲყაცური შემართება ბოროტების წინააღმდეგ.

მისი, როგორც მსახიობის ღრმა განცდა და მიმოხიდეული ხმა, დიდბუნებოვნება და უღრმესი სული, მუდმივე მთლიანობაში იყო, ნინო ჩხეიძის შემოქმედების ძალა ცხოვრებასა და სულიერი ინტერესების სიფართოვეში იყო. ნინო ჩხეიძის ტემპერამენტისა და ბუნებრივი პლასტიკურობის უშუალო შემოქმედებით ტჲყვედებოდა მაყურებელი. მის მიერ წარმოდგენილი ნამდილიად ქართული ფრაზა ცხოვლებად აღწედა აუღტიორიამდე, გულში ჩამწვლიმად ქედრდა ყოველი სიტყვა, რომლის მართლაც უზალო ოსტატი იყო მადლოსილი მსახიობი.

იქ, სადაც მტკიცე, ქედურდრეკი, ჭირში გაუტეხელი, ქალის სახე იყო წარმოსადგენი, ნინო ჩხეიძეს ვერაინ შეედრებოდა ჩვენი სცენაზე. ასეთი იყო მისი ზეინაბი, მისი მედეა.

ნინო ჩხეიძეს უყვარდა ქართულ სახეებზე მუშაობა, როგორებიცაა შაღვა დადიანის ცენივა ჩიტრუნი და სიღლ („გავეჭკორი“), დ. ერისთავი—ქეთევანი („სამშობლო“), ყაზბეგის—ნინო („არსენა“), შალიაშვილის—კატო („გადაჭრილი მუხა“), ა. ცაგარლის—ლიზა („რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“) და გულჯაგარი („ლეკის ქალი გულჯაგარი“), დ. კლიაშვილის—ირინე და მრავალი სხვა.

განსაკუთრებთ მსახიობის შემოქმედების მშეენებად იქცა ი. შატავაჲის დედა, ა. წერეთლის თამარი და ტურფა.

ნინო ჩხეიძის მიერ შექმნილ შესანიშნავ სახეთა გალერეაში ზეინაბთან ერთად საპატიო ადგილი დაიკავა ქუთუცის დედოფალმა, განსახიერებულმა დიდი შინაგანი სიძლიერით ძუნწი, მაგრამ გამომსახველი შტრიხებით, ნუცა ჩხეიძის მიერ შპა აბასის წინაშე წარმდგარი ქვეყნის დედოფლის სიდაღესა და ყრმა შვილთან განშორების ტრაგედიას მსახველი ვერ დაივიწყებს.

შემოქმედის უძლიერესი გზნებით იყო გაცოცხლებული ნინო ჩხეიძის მიერ კარევის ვარვარა პეჩორინა, რომელიც აღსაყვამ იყო მებრძოლი სულითა და სათნოებით, უდრეკი ნებისყოფითა და თავგანწირვის უჩვეულო ძალით. ნინო ჩხეიძის ვარვარა ერთხმადაა აღიარებული, რომ იგი იყო ნათელი და მხატვრულად დასრულებული სახე გაბედული, უკვიანი და თავმოყვარე ქალისა. ვარვარას ისტორია პეჩორიკულ პოემად გაუზიარებია ცხრამეტი წლის მსახიობს.

ნინო ჩხეიძის შემოქმედებაში საინტერესო ადგილი უჭირავს რუსულ რეპერტუარს, რომლის გვირგვინიც ოსტროვსკის კრუჩინინაა. ამ როლის ბრწყინვალედ დაძლევა მოვლენად უნდა ჩაითვალოს მსახიობის ცხოვრებაში, ქართველი მასურებელი იცნობდა რუსული თეატრების საუკეთესო

ნუცა ჩხეიძე მელდას როლში



ნუცა ჩხეიძე და მიხეილ ქორელი თავის შვილებთან ერთად

თესო კრუჩინინებს, მაგრამ იმ დღიდან ქართულ სცენას თავისი საამაყო კრუჩინინაც გატარნდა.

ნინო ჩხეიძემ ქართული თეატრის ამ ერთ-ერთმა ღვაწლმოსილმა კორიუმემ რევოლუციამდელი თეატრის სცენაზე სამსახამდე როლი შეასრულა. მან დიდი მოქალაქის სინდისით მოიტანა ჩვენამდე ძველი თეატრის საუკეთესო ტრადიციები და ჩინებულად დაუცვა შირა იგი საბჭოთა თეატრის მიღწევებს.

ნუცა ჩხეიძე
გიმნაზიელი





სცენა სპეტაკლდან
„უღანაშაულო დამნა-
შვენი“ კროჩინინა —
ნუცა ჩხეიძე, ნეზნამო-
ვი — გიორგი დავითა-
შვილი

ქართულ საბჭოთა თეატრში ნინო ჩხეიძე მოვიდა რო-
გორც დიდი საიმედო ძალა. 1921 წელს ნინო ჩხეიძე მე-
შაობს კიათურის თეატრში. ხოლო 1922 წლიდან იგი
რუსთაველის თეატრშია.

რუსთაველის სახელობის თეატრისათვის, კოტე მარჯა-
ნიშვილისათვის დიდი პატივი იყო ნინო ჩხეიძის მისვლა
თეატრში. ამ დღიდან მოყოლებული იგი გარდა რუსთა-
ველის თეატრისა მოღვაწეობდა ქუთაისის, თბილისის მე-
შათა და სანიტარული კულტურის თეატრებში, სადაც შექ-
მნა ლაურენსია, მეპრუ (ე. კალაძის „ხატიჯე“), კრუჩინი-
ნა, ზეინაზი, ზაალის დედა (ს. შანშიაშვილის „არსენა“)
და სხვა სახეები...

არა ერთი საინტერესო სახე შექმნა ნ. ჩხეიძემ ქართულ
კინემატოგრაფიაში. მისი მონაწილეობა ფილმებში, რო-
გორითაც „საკანი № 79“, „უქმური“, „ღარიკო“, „არსენა“,
„მალე ნახვამდის“, „ღიაღი განთიადი“ მაყურებელს ადაფ-
როთოვანებდა ხოლმე.

1937 წელს ნინო ჩხეიძეს თბილისის სანიტარული
კულტურის თეატრმა დიდი მოკრძალებით სთხოვა, რომ
მას ემუშავა ამ პატარა სპეციფიკური თეატრის სცენაზე.
თეატრი მაშინ დასადგმელად ამზადებდა იბსენის—„მოჩ-
ვენებას“, რომელშიც მას ფრუ ალვინგის როლის შესრუ-
ლება სთხოვეს.

თორმეტი წლის სიჩუმის შემდეგ ალვინგით ნინო ჩხეი-
ძე დაუბრუნდა თეატრს. საზოგადოება და პრესა აღფრთო-
ვანებული იყო ამ ამბით. აღნიშნავდნენ მსახიობის უზადო
შესრულებას, წერდნენ, რომ წლები არ შეგებია მსახიობის
საუცხოო ნიჭს, რომ ქართული თეატრის შესანიშნავმა ოს-
ტატმა ღრმა განცდით განახორციელა ალვინგის ტრაგე-
დია, რომ ეს როლი მსახიობის მეორე სასცენო დაბადებაა.
მაყურებელი ადრატეკებაში მოვიდა ნინო ჩხეიძის არა მარ-
ტო აქტიორული მონახაზის ნათელი ფერებით, არამედ იმ
ახალგაზრდული სცენური მომზინებულობითაც, რომე-
ლიც შერჩა ქართული სცენის შესანიშნავ მსახიობს მოხუ-
ცებულობის წლებშიც.

ეს ფაქტი იქცა დიდი პედაგოგიური მნიშვნელობისა და
აქტიორული სკოლის ტრადიციის ნიმუშად, რამაც გარკვე-
ული წვლილი შეიტანა თეატრის ახალგაზრდა აქტიორუ-
ლი კადრების აღზრდაში.

ნინო ჩხეიძე მთელი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის
მანძილზე იყო და არის საპაგალითო აქტიორთა მთელი
თაობებისათვის. შეუდარებელი მსახიობი და მოქალაქე
თავისი განუმოკრებელი შემოქმედებით თეატრის ახალ-
გაზრდობას ყოველთვის სერიოზულობისაკენ, თავდადებუ-
ლი შრომისაკენ მოუწოდებდა. მისმა მოღვაწეობამ მთელ
თაობებს ხელი შეუწყო გაზრდილიყენენ არა მარტო პრო-
ფესიულად, არამედ ეთიკურადიც.

ნინო ჩხეიძის მაღალი პროფესიულობა, მოქალაქეობ-
რივი ვალდებულება დღესაც აამყებს ქართველ ხალხს,
რომელმაც უსაზღვრო სიყვარულით აღნიშნა დიდი მსახი-
ობის დაბადების თხზილიც წლისთავი.

კადრი ფილმიდან „გოგა რატიანი“



კ რ ე ს ა ღ ა ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

ჩვენი შერჩეული რამდენიმე თხოვნით მიმართა ჩასაუბლარის
გაზეთების რედაქციებს მოთხოვნით „საბავთო ხალხთაგან“
გაითხვალა ჩვენთან, თუ როგორ აუწყებენ ისინი ხალხთაგან
საკითხებს. ვხვდებით მათ სპეციალურად.

თავის არსებობის ერთი წლის მანძილზე გაუთვამა „გამარჯვებამ“ საკმაოდ ბოლომდე მოიხილა და მკითხველთა დიდი სიყვარული დაიმსახურა.

თავისი ძირითადი პროფილის — სოფლის მეურნეობის გარდა, გაზეთი მრავალმხრივად აშუქებს თანამედროვე სოფლის ცხოვრებას, ვალში არ ჩრება ხელოვნებას.

„გამარჯვების“ ფურცლებზე სისტემატურად იხეველება რეცენზიები და წერილები გ. ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო თეატრის დადგმებზე. თეატრის სხვა საკვირბორბოთო საკითხებზე.

1962-63 წლის თეატრალური სეზონის გასსნას მიუძღვნა გაზეთმა 14 სექტემბრის ნომრის ერთი გვერდი საერთო სათაურით „ფარდის ახლის წინ“. გვერდში მოთავსებული იყო თეატრის ღირებულების გედონ ნავროშვილის, მთავარი რეჟისორის გიორგი აბრამიშვილის, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტების რუსუდან ლორთქიფანიძისა და შალვა ხერხეულიძის, სცენის უფროსი მემანქანის ოთარ ცერცვაძის, თეატრის მთავარი მხატვრის შოთა ხუციშვილის, მაცურებლების და სხვათა წერილები, სადაც ლაპარაკი იყო თეატრის შემოქმედებითს გეგმებსა და ამოცანებზე.

შემდგომ ამისა, გაზეთმა თითქმის ყველა სექტაკლის შესახებ გამოაქვეყნა რეცენზია ან წერილი თავის ფურცლებზე.

გაზეთმა „გამარჯვებამ“ გამოაქვეყნა მწერალ ოთარ ჩხეიძის „ღია ბარათები თეატრის ღირებულის“, რომ-

„გამარჯვების“ ფურცლებზე


ლებშიც საინტერესო საკითხებია დაყენებული.

გაზეთში საკითხის დასმის წესით გამოქვეყნდა გორის რაიონის განათლების განყოფილების ვაშლის ავთანდილ ჩხეიძის წერილი „დავიცვათ ქართული ცეკვის თვითმყოფობა“, რედაქციამ სთხოვა საწარმოო სამმართველოს თვითმომქმედი კოლექტივების, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლების ხელმძღვანელებს, ქორეოგრაფებს, გაზეთის ყველა მკითხველს გამოეთქათ თავიანთი აზრი ა. ჩხეიძის წერილში აღძრული საკითხების ირგვლივ.

გავიდა რამდენიმე დღე და გაზეთის

რედაქციაში მოვიდა ექიმ იოსებ სრესელის, მოცეკვის, რესპუბლიკის ფესტივალის დაურეაგტის ანზორ კუპრაძის, მეჯერისების საშუალო სკოლის მასწავლებლის ლუარსაბ ვარდანაშვილის, გორის ბაბუელის კომბინატთან არსებული ქართული ხალხური ცეკვების ანსამბლის ხელმძღვანელის, ქორეოგრაფ მარტენ ნინოშვილის, კასპის ცემენტის ქარხნის კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელის, ქორეოგრაფ გ.ჯუხარძისა და სხვათა წერილები, რომლებშიც ავტორთა ერთი ნაწილი იზარებს ავთანდილ ჩხეიძის წერილში დაყენებულ საკითხებს, ხოლო მეორე ნაწილი უარყოფს წამოყენებულ შენიშვნებს.

გაზეთის რედაქციას განზრახული აქვს უახლოეს დღეებში გამოაქვეყნ-



გაზეთ „გამარჯვების“
რედაქტორი შოთა
მახარბიშვილი



ნოს სპეციალისტის დასკვნითი წერილი.

ამას წინათ საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურმა სახელმწიფოში მოაწყო თვითმოქმედ მხატვართა მობრავი გამოფენა. გაზეთმა ცალკეულ მხატვართა ნამუშევრების შესახებ ფართოდ აღნიშნა სტატიაში „პროფესიული ხელოვნების დონეები“.

სხვადასხვა დროს გაზეთმა დაბეჭდა წერილები ია კარგარეთლისა და კოტე მარჯანიშვილის შესახებ, ფილოლოგიურ მცენიერებათა კანდიდატის ი. ლუკინის სტატია „რა არის აბსტრაქციონიზმი ხელოვნებაში“, გო-

რლი მოქანდაკის — სიმონ ზაზაშვილის წერილი თავისი მუშაობის შესახებ და ა. შ.

გაზეთი ფართო ადგილს უთმობს მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერებებს, ხელს უწყობს ნიჭიერ შემსრულებელთა გამოვლინებას და სხვ.

გაზეთი „გამარჯვება“ იმიტომაც აშუქებს ხელოვნების საკითხებს ასე ფართოდ და სრულყოფილად, რომ მისი რედაქტორი შოთა მახარაძემ ბიძადად დაინტერესებული თეატრალური ხელოვნებით. მას შალვა ჭულუხაძესთან ერთად დაწერილი აქვს რამდენიმე ბეისა. მათი კომედია „ჩემი

უცნობი მეგობარი“ („კრუპენტელა“ დასადგმელად მიღებული აქვს გერმანიისთვის სახელობის გორის სახელმწიფო თეატრისა და მახარაძის სახელმწიფო თეატრის, ხოლო შოთა მახარაძისა და შალვა ჭულუხაძის თანამოქმედებიანი დრამის „კიდევაც დაიზრდებიან“ დადგმა აქვს დადგენილი თელავის სახელმწიფო თეატრის კოლექტივის).


„გამარჯვებას“, მის კოლექტივის გადაწყვეტილი აქვს შემდგომში კიდევ უფრო ფართო ადგილი დაუთმოს გაზეთის ფურცლებზე ხელოვნების საკითხებს.

ივანი ცაჩაძე

უკვე 14 წელიწადია, რაც ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრება არსებობს ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის მეორე სამრეწველო ქალაქებს — ქუთაისს, კიროვანდასა და ლენინაკანს შორის.

ფეკრების მიერ წამოწყებული ეს შეჯიბრება გადაიზარდა ქალაქების ყველა კოლექტივებში, დღეს კი მთელ მშრომლებში.

გაზეთ „ქუთაისკაია პრადეს“ რედაქტორი ვ. ლალიაშვილი



გაზეთი

ყველა წამოწყების

ინიციატორი

ამიერკავკასიის რესპუბლიკების მშრომელთა შორის სოციალისტური შეჯიბრების განვითარების და შემოქმედებითი კავშირის განმტკიცების საქმეში დიდია როგორც რესპუბლიკური, ისე საქალაქო გაზეთების როლი. ისინი სულ უფრო ფართოდ და ღრმად აშუქებენ ამ შეჯიბრების მსვლელობას, ახდენენ მოწინავეთა გამოცდილების გაზიარებას, ხშირად ცვლიან გვერდებს ან უშეგებენ გაერთიანებულ ნომრებს.

მაგალითად, გასულ წელს გაზეთ

„ქუთაისკაია პრადეს“ რედაქციამ, მოამზადა და გამოუშვა გაზეთ „ბანკორიან“ (ლენინაკანი) და „კიროვანდასკი რაბოჩისთან“ (კიროვანდადი) ერთად გაერთიანებული ნომერი და თოხი შემცველი გვერდი, რომელშიც მოთხრობილი იყო საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ისტორიულ კავშირზე, მათი მეორე სამრეწველო ქალაქების ქუთაისის, კიროვანდადის და ლენინაკანის საწარმოთა კოლექტივების შემოქმედებითი კავშირზე, მძურ ურთიერთობაზე, მიღწევებზე.

გაზეთები გამოვიდნენ ორგანიზატორები შეჯიბრების მოწყობისა ქალაქის მეტრანსპორტებსა და მშენებლებს შორის, ხელოვნებისა და კულტურის დაწესებულებებს შორის.

გაზეთმა ითამაშა მნიშვნელოვანი როლი, რათა მომხდარიყო ბეისების გაცვლა-გამოცვლა ამ ქალაქების სცენებზე, ექვეყნებინათ თვითმოქმედი კოლექტივების მიღწევები. გასულ წელს ქუთაისის ესტუმრა ლენინაკანისა და კიროვანდადის მშრომელთა დელეგაცია. მათ შორის იყვნენ კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის წარმომადგენლები. მათ ნახეს ქუთაისის თეატრის დადგმები, გაეცნენ ადგილობრივ დრამატურგებს. ამ ზაფხულზე განზრახულია ქუთაისის სცენაზე განხორციელებული დადგამის ჩვენება ლენინაკანისა და კიროვანდადის სცენაზე.

მრავალკონსახული სამგორის ველი, დიდი ისტორიული ბრძოლების მომსწრე, მტერთაგან ხშირად იავარქმნილი და ისევ აღდგენილი სოფლებით, გავრანებული და კვლავ გაცოცხლებული ზალ-ვენახებით, ვარდასული ბრძოლების მოწვევ ციხე-ბურჯებით.

გაზეთმა „სამგორმა“ ცოტა მუშაობა როლი გასწია ისტორიულ ძეგლთა დასაცავად, ჩვენ მიერ მრავალი ისტორიული ფაქტი იქნა მზის სინათლეზე გამოტანილი.

გარდაბნის რაიონის მშრომელებს მრავალი კულტურის სახლი, კლუბი და ბიბლიოთეკა უწევს მომსახურებას, მათი მუშაობის შესახებ ჩვენი გაზეთი ხშირად ესაუბრება მკითხველებს. „კულტურული ცხოვრების ქრონიკა“, „ხელოვნება“, „სოფლის ხალისიანი დღეები“, „წარსულის ძეგლთა დასაცავად“ — ასეთი რუბრიკებით ხშირად ვაქვეყნებთ კულტურული ცხოვრების საკითხებს. თავიანთ ამოცანებს კარგად ართმევენ თავს მარტყოფის, ლილის, გარდაბნის კულტურის სახლები. გასულ წელს დიღმის სასოფლო კლუბთან არსებულმა დრამატულმა კოლექტივმა რამდენიმე პიესა მოამზადა და უჩვენა საოფლის მშრომელებს. გაზეთი ფართოდ გამოეხმარა კარგ ინიციატივას: დაიწერა რეცენზიები დაღვრებზე. გაზეთ „სამგორის“ რედაქციის ინიციატივით მოხდა რაიონის მშრომელთა შეხვედრა რესპუბლიკის კულტურის დარგის მოწინავე მუშაკებთან, ლილოს კულტსახლში მოეწყო შეხვედრა ა. ხორავასთან, ს. ზაქარაიძესთან, ვ. ანჯაფარიძესთან, მარტყოფის კულტსახლში ე. ვაშისახურდიასთან, რაიონის მექანიზაციის ტექნიკუმში გ. ლეონიძესთან და სხვა პოეტებთან, ბეიანის სკოლა-ინტერნატში — ახალგაზრდა მწერლებთან და სხვ. გაზეთის ამ ინიციატივას რაიონის მშრომელები დიდი აღფრთოვანებით ხვდებიან.

გაზეთის 130 კორესპონდენტთან ერთად თავის ვარშემო შემოკრებილი ჰყავს ჩვენი ერის მოწინავე ადამიანები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი. აკადემიკოსი

გაზეთ „სამგორის“ რედაქტორი სოლოვან ნარიშკინი



კლასიკების

სიყვარული

სი ნ. ხომიზურაშვილი, პროფესორი გ. ცაგარელი, სახალხო პოეტები: გ. ლეონიძე და ი. გრიშაშვილი. სამამყარო ისიც, რომ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოაქვეყნეს თავიანთი პირველი ლექსები ახლა უკვე სამაჟორისონობაში პოეტებმა: ი. ჭელიძემ, გ. გორჩანელმა, მ. მაჭავარიანმა, ი. ბეროშვილმა, თ. ჯანგულაშვილმა, გ. ძნელაძემ, ჯ. ჩარკვიანმა, ე. ქურდიანმა, შ. ნიშნაინიძემ ე. კახიძემ, თ. შალამბერიძემ, ნ. ნარსიაძე, ი. ქვერთელიძემ და სხვ. ჩვენი გაზეთის ფურცლებზე იბეჭდება ხალხური მთქმელების შ. მეზურინიშვილის (ტაბახმელიძე), ზ. ფილაშვილის (სამგორიდან) შ. მეღაქიის (კარწანისონიდან) და სხვათა ლექსები.

ჩვენმა გაზეთმა თავის მკითხველებს გააცნო მწერლების ე. მისურაძის, გ. აბაუაშვილის, ი. ჩაღუნელის, ნ. აღინაშვილის, ბ. მუჯირიშვილის პროზაული ნაწარმოებები. უკანასკნელ წლებში „სამგორში“ მრავალი ლიტერატურული გვერდი და ლიტერატურული განყოფილებები მოვათავსეთ. ჩვენ არ ვივიწყებთ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დიდ კლასიკებს. დროა დრო სპეციალური ნომრები მივეძღვეინით სულხან-საბა ორბელიანს, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, დ. კლდიაშვილის, კ. მარჯანიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის საკითხებს.

გაზეთის რედაქტორად მუშაობის პარალელურად თავისუფალ დროს შემოქმედებით მუშაობას ვანდომებ. ჩემი ლექსების მოავარი თუმა ადამიანია, თავისი ცხოვრებისეული ხედვით, განცდებითა და ფიქრებით. მე მიყვარს ძლიერი ადამიანები, მტკიცენი და რწმენით აღსავსენი, ჩემი ლექსების გმირებიც სწორედ ასეთი ადამიანები არიან.

გამოქვეყნებული მაქვს ლექსების კრებულები: „როცა იღვიძებენ ტყეები“, „კაცი, რომელიც მიყვარს“, „ნისლებზე მალა“. უახლოეს დღეებში მკითხველის სამსჯავროს წინაშე წარსდგება ლექსების ახალი წიგნი „ქვეყანა დიდა“, რომელსაც გამოეცემოდა „საბჭოთა საქართველო“ ამზადებს.



„დროება“
ახალგაზრდობის
ზნეობრივი
ალზრდის შესახებ

ოთარ ქინქლაძე

გ. ი. ლენინი ვასწავლის, რომ მარქსის მოძღვრება კაცობრიული ცოდნის მტკიცე საძირკველს ეყარება და საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერ ისტორიულ შედეგს წარმოადგენს. ამიტომ, ისევე როგორც ცოდნის ყველა სხვა დარგი, ზნეობრივი ალზრდის მეცნიერული საფუძვლებიც მოიხზუნა კაცობრიობის ცოდნის მთელი ჯამის შეთვისების, იქუ შეთვისების, რომ „კომუნისში რაღაც გაზეპირებული რამე კი არ გამოვიდეთ, არამედ ისეთი რამ იყოს, რაც თვითონ თქვენს მიერაა გააზრებული, ის დასვენები იყოს, რომლებიც აუცილებელია თანამედროვე განათლების თვალსაზრისით“¹.

ალზრდის თანამედროვე თვალსაზრისი, რომელიც კომუნისტური მორალის ზნეობრივი პრინციპების სახით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის X XII ყრილობის მიერ მიღებულ პროგრამაშია ჩამოყალიბებული, ეყარება ძირითად ზოგადსაკაცობრიო მორალურ ნორმებს, რომლებიც ხალხის მასებმა შეიმუშავეს მრავალი ათასი წლის მანძილზე სოციალური ჩაგვრისა და ზნეობრივი მანკიერებათა წინააღმდეგ ბრძოლაში. სოციალიზმისა და კომუნისმის მშენებლობის პროცესში კომუნისტური მორალი ახალი პრინციპებით, ახალი შინაარსით გამოდრდა, მაგრამ კომუნისმის მშენებლის მორალური კოდექსის ზნეობრივი პრინციპებში იმ ზოგადსაკაცობრიო ხასიათის დებულებებაც კმევს ასახვა, რომელთა ფართო პროპაგანდას დაბეჯითებით ეწეოდა მე-19 საუკუნის 70-80-იან წლებში ცნობილი ქართული სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი „დროება“².

„დროების“ ფურცლებზე გამოქვეყნებულმა წერილებმა სწავლა-ალზრდის საკითხებზე მნიშვნელოვანი წილი შეუწვეს ხელი საქართველოში ეთიკის ანუ ზნეობის შესახებ მეცნიერების განვითარებას, რადგან, როგორც ცნობილია, პედაგოგიკა, რომელიც მიზნად ისახავს გამოიყვლიოს ალზრდის პრინციპები, ფორმები და მეთოდები ეთიკის თეორიული საფუძვლების პრაქტიკულად განხორციელების საშუალებას წარმოადგენს. „დროებას“ მიზნად არ დაუსახავს ეთიკის მეცნიერული პრინციპებისა და ნორმების დადგენა ან ჩამოყალიბება, ამ სიტყვის მეთოდოლოგიური გაგებით, მაგრამ გაზეთის დაუცხრომელ, სისტემატურ ზრუნვას იმისათვის, რათა ახალგაზრდობა ყოფილიყო ერისა და ქვეყნის ინტერესების ერთგული დამცველი და გამსჭვალულიყო საზოგადოებრივი საქმისათვის უანგარო სამსახურის სულისკვეთებით არა მარტო პრაქტიკული, არამედ სერიოზული თეორიული მნიშვნელობაც ჰქონდა. ამ ზრუნვის შედეგად შეიქმნა ფრიად საგულისხმო და საყურადღებო მოსაზრებებით მდიდარი მეცნიერებობა, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და შეუძლია სასარგებლო სამსახური გაუწიოს ქართული საბჭოთა არქისისა და განათლების დარგის მუშაკებს მოზარდი თათბის ზნეობრივი ალზრდის საქმეში.

² „დროება“ — პიროვნულ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთი 1866—1875 წლებში. იგი კვირაში ერთხელ, 1875—1877 წლებში — სამჯერ, ხოლო 1877—1886 წლებში ყოველდღიურად გამოდიოდა. „დროების“ პირველი ნომერი გამოვიდა 1866 წლის 4 მარტს გ. წერეთლის რედაქტორობით, რომლის შედეგაც, 1869 წლის 17 აპრილიდან გაზეთის რედაქტორი იყო ს. მესხი. 1873—1874 წლებში, ს. მესხის საფრანგეთში ყოფნის გამო, რედაქტორის მოვალეობას ასრულებდა კ. ლორთქიფანიძე, სამშობლოში დაბრუნებისთანავე ს. მესხი კვლავ ჩაუდგა გაზეთის სათავეში და 1883 წლამდე რედაქტორობდა მას. 1880—1881 წლებში „დროება“ გამოდიოდა ს. მესხისა და ი. ჭავჭავაძის რედაქტორობით. 1883 წლის 8 მაისიდან, მძიმე ავადმყოფობის გამო, ს. მესხის გაზეთის რედაქტორობა გადააბარა ი. მაჩაბელის, რომელიც „დროების“ რედაქტორი იყო 1885 წლამდე, როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით გაზეთი დაიხუთა.

1866—1883 წლებში გაზეთის გამომცემელი იყო სტ. მელქიშვილი, ხოლო ორი უკანასკნელი წლის მანძილზე — გ. ბართულოშვილი. „დროებაში“ თანამშრომლობდნენ: გ. წერეთელი, ს. მესხი, ნ. ნიკოლაძე, ი. ჭავჭავაძე, ავ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, დ. მიქელაძე, ალ. ყაზბეგი, პ. მელქიშვილი, გ. პეტრიაშვილი, ივ. მაჩაბელი და სხვ.

¹ გ. ი. ლენინი. თხზულებათა ტ. 31, გვ. 346.



პიროვნება და საზოგადოება

წინორივე აღზრდის საკითხებისადმი მიძღვნილი წერილების ანალიზი ცხადყოფს, რომ პიროვნების წინორივე აღზრდას „დროებას“ საზოგადოებრივი აღზრდის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი მიიჩნად და აქედან გამომდინარე გულმოდგინედ განმარტავდა, რომ პიროვნულ ინტერესებს აზრი, მნიშვნელობა და ღირებულება იმ შემთხვევაში მიეცემა, თუ ისინი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე მისწრაფების მატარებელი შეიქმნებიან. „საზოგადოების ცხოვრებაში ცალკე პირის ბედი იმდევარად არის ჩაწული, — წერდა გაზეთი, — რომ ყველაწერი, რაც საზოგადოების შევება, შევება ცალკე პირსაც: რაც პირველისათვის სასარგებლოა, რაც მას აძლიერებს ან მის მდგომარეობას აუმჯობესებს, ის ცალკე პირის გამძლეობებელ და გამაუმჯობესებელია“³.

ცნობილია, რომ პიროვნული და საზოგადოებრივი ინტერესების ასეთ გაგებაზე ამადლება, მარქსამდელი ეთიკის ისტორიაში მხოლოდ იდნა რუსმა რევოლუციონერმა დემოკრატებმა შეძლეს. „დროება“ მათთან ერთად, მათ მსარდამსარ ასაბუთებდა საქართველოში, რომ „... მარტო კერძო ბედნიერება რადი შეადგენს ხალხის კეთილდღეობას ან ქვეყნის სიკეთეს“⁴. სწორედ ამიტომ ხელდასა „დროება“ წინორივე აღზრდის მიზანს საზოგადოებისათვის სასარგებლო წვერთა და ქვეყნის ღირსეულ მოქალაქეთა აღზრდაში. „პირადობა არ უნდა სწირავდეს კაცი საზოგადო საქმეს. — ქედგებდა გაზეთი. — პირადობა უნდა დაუმონოს საზოგადო კეთილს“⁵.

ადამიანის წინორივე ცხოვრებას „დროება“ განიხილავდა, როგორც საკუთარი ინტერესებთან პიროვნების ბრძოლის მუდმივსა და განუწყვეტელ პროცესს. ამ ბრძოლის მიზანი და მიხი შედეგი ის უნდა ყოფილიყო, რომ ადამიანმა შეძლოს „ჩაახსნის თავისში მიდრეკილება პირადული ინტერესებისაკენ და ზიზლით შევადოს „ყველა წერილმანს, პირადულ ინტერესებს და ანგარიშებს“. მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი იქნებოდა ბრძოლა საკუთარ გონებასთანაც, ამიტომ, როგორც „დროება“ თვლიდა, წინორივე ცხოვრება ადამიანისა, ამავე ღრის, არის პიროვნების ბრძოლა „გონების წინააღმდეგ მსჯელობასთან“⁶, რადგან აღზრდა და სწავლა ან განათლება სხვადასხვა ცნებები და მათი ერთიმეორეში აღრევა არ შეიძლება.

წერილობა „ახალი საზოგადოება ჩვენში“, რომელიც „დროების“ 1871 წლის მე-6 ნომერში დაიბეჭდა, სამართლიანად არის მითითებული, რომ ყოველი ადამიანი ზრუნავს საკუთარი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის და ამაში არაერთი დასაბრძოლია. ამავე ღრის იქვეა ხაზგასმით აღნიშნული, რომ ასეთი ადამიანი ქებისა და საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების თანაგრძობის ღირსი ვერ გახდება. ამის ღირსად მხოლოდ ისეთი ადამიანი იყო მთხვეული, რომელიც თავის თავზე ზრუნვაში სხვას არ დაივიწყებდა და საზოგადოებას ცხოვრებაში გაუმჯობესებაში დახმარებოდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სრულიადაც არ იყო შემთხვევითი ბედნიერების ცნების ის უაღრესად პროგრესული განმარტება, რომელიც „დრო-

ების“ 1867 წლის 25-ე ნომერში დაიბეჭდა: „კაცი მაშინ მოიპოვებს ბედნიერებას, როდესაც ის ებრძვის თავისი განგვერების ძალას. მარტო ბრძოლა და ღვაწლი ადამიანს მას სკვდავების გვიგრვინს“.

„დროება“ თვლიდა, რომ პიროვნების წინორივე სრულყოფა ხორციელდება უშუალოდ ცხოვრების, ე. ი. რეალურად არსებული სინდნელების გადაღების, პირადული ინტერესებისაკენ მიდრეკილების დათრუნვისა და საერთო-სახალხო საქმიანობის ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის პრცესში. პიროვნების წინორივე შევების საზომადაც გაზეთის ხალხისა და ქვეყნის ინტერესებისათვის გაკეთებული საქმე მიიჩნდა და სთვლიდა, რომ პირადი ბედნიერების მიღწევა მხოლოდ საერთო ბედნიერებასთან ერთად არის შესაძლებელი.

ეს პრინციპულად ახალი დებულება დაელო საფუძვლად „დროების“ მიერ ჩამოყალიბებულ წინორივე პრინციპებს, რომლებსაც გაზეთი თავისი არსებობის ორი თეული წლის მანძილზე დაუღალავად თსავდა ქართველ ხალხში. „დროება“ და მის სათავეში მდგომი თუ ირგვლი შემოკრებილი ქართველი მწერლები, პუბლიცისტები და საზოგადო მოღვაწეები კარგად გრძნობდნენ, რომ „...კაცარ ახალი ცხოვრება მოგვადედა, რომლისთვისაც ჩვენ ახალი ჩვეულება და ზნე უნდა დავალოთ“⁷.

შრომა სრულყოფილი აზრდის სასუქველია

ამ „ახალი წინობის“ საფუძვლად, მის ქვეკუთხედად „დროებაში“ აღიარა შრომა და იგი ადამიანის წინორივე კატეგორიის უმაღლეს საფეხურამდე აიყვანა. იმ ღრის, როცა შრომა საერთოდ გამორიცხული იყო არისტოკრატული აღზრდის წინორივე ნორმებიდან, „დროებაში“ იგი ადამიანის ღირსების მთავარ მაჩვენებლად გამოაცხადა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ თუ საზოგადოების ხალხს, თავის სიკეთე უნდა, ის უნდა ცდილობდეს თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებას... იმგვარი საზოგადო მიზნის მიღებით, რომ ყოველ კაცს ქჭონდეს შრომის ნება და შეძლება შრომის დავწლი თვითონ შრომელს ხმარდებოდეს“⁸. ეს სტრატეგიები „დროების“ ფურცლებზე 1870 წლის დაიბეჭდა და ამასთან დაკავშირებით საჭიროა ხაზი გაესვას იმ დიდ დამსახურებას, რომელიც გაზეთმა გასწავა პიროვნების წინორივე სრულყოფის საქმეში შრომის როლის დამაჯერებელი პროპაგანდისტათვის.

უნდა ვივლისხმობთ, რომ „დროების“ ამ თვალსაზრისში გამოიხატა მარქსიზმის ფუძემდებელია შეხვეულება სწავლების შრომასთან, კერძოდ მწარმოებლურ შრომასთან დაკავშირების შესახებ. ცნობილია, მაგალითად, რომ 8. ნიკოლაძე, რომელსაც ზემოთ მოტანილი სიტყვები ეკუთვნის, პირადად იცნობდა „მარქსს და მის შრომებსაც, რასაც არ შეიძლება გავუნდა არ მოხვინა „დროების“ მიმარტებულებას და მის ირგვლივ შემოკრებილ თანამშრომელთა მსოფლმხედველობაზე. მიუთითებდა მწარმოებლური შრომის სწავლებასთან დაკავშირების გადაწყვეტე მნიშვნელოვანე კომუნისტური საზოგადოების ყოველმხრე განვითარებულ ადამიანთა აღზრდის

³ „დროება“, 1870 წ. № 16.

⁴ „დროება“, 1871 წ. № 1.

⁵ „დროება“, 1876 წ. № 55.

⁶ „დროება“, 1870 წ. № 16.



საქმეში, კ. მარქსი აღნიშნავდა: „საფარბიკო სისტემიდან, როგორც ეს დაწვრილებით შეიძლება დავინათო რობერტ ოუენის წარწერები, აღმოცენდა ჩანასახი მომავალი აღზრდისა, რომელიც გარკვეულ ასაკს ზვეით ყველა ბავშვისათვის მწარმოებელურ შრომას სწავლებას და ტრენაჟირების უკავშირებს, და ეს იქნება არა მარტო მეოთხე საზოგადოებრივი წარმოების გასაღებულად, არამედ ერთადერთი მეოთხედი ყოველმხრივ განვითარებულ ადამიანთა შესაქმნელად“⁷.

„დროებას“ თავის საკუთარ და ამავე დროს საესეებში გარკვეული ბოზიცია ჰქონდა ფიზიკური შრომის მნიშვნელობის შეფასებისა და ფიზიკური შრომის ადამიანებთან დამოკიდებულების საკითხში. გაზეით აქტიურად ეჭვობდა ფიზიკური შრომის პროპაგანდას და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მას ახალგაზრდობის სრულყოფილად აღზრდის საქმეში. „ჩვენს დროში ჰგონიათ, — მიუთითებდა „დროებას“, — რომ ფიზიკური მუშაობა კაცს დაამდაბლებს და ამისთვის სრული ყურადღება მიექცეული მხოლოდ გონების გახსნაზედ, თუმცა ამგვარი მოქცევა ყმაწვილის სიმრავლის დამოუღვევლია“. ამავე დროს გაზეის სამარცხენო მოვლენად მიიჩნედა, როცა შობილი ვერ შეთვისებიათ იმ აზრს, რომ იმათი შილი... რომელიმე ქარხანაში ან ფაბრიკაში იმუშავეს უზარალო მუშასთან ერთად. ამაში ისინი რაღაც სათავილოს ხედავენ, — შენიშნავდა „დროება“, — რომელიც კარგი ოჯახის შვილს არ ეკადრება“⁸.

საგანთო პრაქტიკის შესანიშნავად მიგნებულ ხერხს წარმოადგენს ფიზიკური შრომისადმი სიყვარულსა და პატივისცემის სულსიკვებებით ახალგაზრდობის აღზრდის მიზნით გამოჩენილი ადამიანების ანუ „დიდი კაცების“⁹ ცხოვრების ამსახველი მთელი სერია წერილებისა, რომლებშიც მოთხრობილია ახალგაზრდობის წლებში მათი ფიზიკური შრომით გატაცების შესახებ. ამ თვალსაზრისით, ფრიად საინტერესოა აგრეთვე „დროების“ 1967 წლის 21-22-ე ნომერში დაბეჭდილი გ. წერეთლის წერილი „თვითმოქმედება“, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: „იმ შესანიშნავი კაცების რიცხვში, რომელსაც გამოიგონეს ორთქლის მანქანა, ჩვენ მოვიხსენიებთ ნიკოლაუს, უატტს და სტეფენსონს. პირველი ამათგანი იყო მჭედელი, მეორე მათემატიკურს იარაღებს აკავებდა და მესამე კარგების თანამდებობას ასრულებდა... ფარადეი, ღარიბი მჭედლის შვილი, სიყმაწვილში წიგნის ყდის გადაგვერვლს ებრძა და იქ 22 წლამდე მუშაობდა და შემდეგ შესანიშნავ ფილოსოფოსად გახდა... ისაკ ნუტონმა ყმაწვილობაშივე შეიყვაროს სხვადასხვა მექანიკური მუშაობა. მთელი დღე იმის სახლში არ შეწყვედებოდა ჩაქების არახეობა და ხერხეა... უატტი და სტეფენსონი ყმაწვილობაშივე სწავლობდნენ, როგორ იხიან რეზინა სხვადასხვა იარაღები; აი ეს ცნობის მოყვარეობა იყო მიზეზი იმათი უდიდესი გამოგონებებისა“ -- დასკვნითა და წერეთელი და იქვე მიუთითებს: „...ვისაც კარგად უნდა სწავლია, იმან კიდევ უნდა იმუშაოს“. უფრო ადრე, 1870 წლის მე-10 ნომერში „დროებას“--ამცნობდა მეცნიერულა

ფართო საზოგადოებას, რომ „ფრანკლინი ყმაწვილობაში იყო ასეთამწყობი“, ხოლო „ლინკოლნი — მგერსაია“ და ა. შ.

ფიზიკური შრომის პროპაგანდის ამ თავისებურება ხერხმა სასარგებლო სამსახური შეუძლია გაუწიოს ქართული საბჭოთა პრესის კულაკების განსაკუთრებით ახლა, ყურადღების ცენტრში გვსდგას ახალგაზრდობის შრომითი აღზრდის გაუმჯობესებისა და სწავლების მწარმოებელურ შრომასთან შეერთების საკითხი. ამავე დროს, მხედველობაში მისაღწევა ის გარემოება, რომ შრომის პროცესს „დროებას“ განიხილავს როგორც პიროვნების სულიერი, გონებრივი და ფიზიკური ძალების პარნიოული განვითარების უშუალოდ საშუალებას, რაც ხელს უწყობს ადამიანთა სათასიანო და ნებისყოფის სიმტკიცის, სიმძლევების გაღაბასებსა და თვითმოქმედების უნარის გამოუმუშავებას. ამიტომ **შრომითი** ჩვევების დანერგვას საფუძველი უნდა ჩავყაროთ. მომავალი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების საქმეში აღზრდის ამ მხარეს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

იმისთვის, რომ ბავშვს ჰქონდა „თვითმოქმედი, შეუდრკველი ხასიათი და მიდრეკილება ყოვლის კეთილსამართლად“, „დროების“ აზრით, საჭირო იყო წინორევი აღზრდის განხორციელება ორი გზით, რომელთაგანაც ერთს პრაქტიკული, ხოლო მეორეს კი — თეორიული ხასიათი ექნებოდა.

წინორევი აღზრდის პრაქტიკული გზა გულისხმობდა არა ხელნერადა გამოიზიო, ნაძალადევი და, ამდენად, მიუღებელი, ან, როგორც „დროებას“ თვლიდა, „ბარბარული“ მეოთხედის გამოყენებას, არამედ იმ განუსაზღვრელად მიღადარი და ყველასათვის ხელმისაწვდომი საშუალებებისა, რომლებსაც „კვაჭაძეს თვით ბუნება“, ე. ი. — გარესმყარება, და, არსებობდა, თვით ცხოვრება ვეკარხავებს. თამაში, მაგალითად, ბავშვისათვის ჩვეულებრივ და ბუნებრივ მოთხოვნილებას წარმოადგენს. იგი ბავშვს აჩვევს შრომას, უეითარებს აზროვნებას, აცნობს გარე სამყაროს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს მისი გონებრივი და ფიზიკური განვითარების საქმეში. თამაში სკოლამდელი ასაკის ბავშვის ცქვიის მთავარი ფორმაა და ამ ფორმაში ბოულის გამოხატულებას მისი ბუნებისათვის დამასათათებელი მისწრაფება მოქმედებისაკენ. თამაშთან დაკავშირებით ბავშვი ისეთი სახის შრომის საქმიანობას უწევა, როგორცაა სათამაშობის მოვლა, შენახვა და ა. შ. ყველაფერი ეს წინ უღებებს შრომას, წარმოადგენს მის, ასე ვთქვათ, მოსამზადებელ საფეხურს და ამდენად აქვს დიდი აღმზრდელი მნიშვნელობა. საყოველთაოდ ცნობილია, მაგალითად, ის სამართლიანი მოთხოვნა, რომ ბავშვი თავიდანვე უნდა მიევიოს სათამაშობის მიჩენილ ადგილზე და ყოყმან-დაღვლიანად, ისიც ცნობილია, რომ გაკეთების შემთხვევაში მას სჯიან ხოლმე და ამასაც აღმზრდლობითი მნიშვნელობა აქვს. სასურველს ზომას და ფორმაც ბევრად არის დამოკიდებული სასურველი შედეგის ეფექტურობა. მაგალითად, „დროებას“ თვლიდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი გაკეთდებოდა, მისთვის აღარ უნდა მიეცათ სათამაშო, რადგან ასეთი სასურველი შედეგ იგი გაიგებდა, რომ ცხოვრებაში ყოველივე კარგობა მხოლოდ შრომით იშობება. ამ დასკვნა მრავლისმეტყველია. იგი გულისხმობს, რომ მასსადასამე, გათვითის უფლებაც მხოლოდ შრომით

7. კ. მარქსი, კაბიტალი, ტ. I, გვ.611—612. გამოც. 1954 წ.
 8. „დროებას“ 1872 წ. № 26.
 9. „დროებას“, 1875 წ. №19, 20, 21, 31, 32, 83 და სხვ.



მელ ადამიანს აქვს და არა სხვისი შრომით გამდიდრებულ საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც უშუალოდ არ მონაწილეობს შრომაში, საზოგადოებისათვის უკუიღებლად მატერიალურ ფასეულობათა შექმნაში. ამავე დროს უნდა ადამიანი ავითარებს ისეთ ზნეობრივ თვისებებს, როგორცაა სიძულვილი მეტეაზობრობისადმი, უპატიოსნობისადმი, სხვისი შრომის მითვისებისადმი და სხვ.

გართობის უფლების შრომით მოპოვების ამ პრინციპული და დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის დებულებასთან ერთად, „დროებაში“ ბავშვთა ზნეობრივ აღზრდასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკულისხმო მისაზრებანი გამოთქვა. ამ მისაზრებანა შრომის აღსანიშნავი სიკეთისა და ბოროტებისადმი ბავშვის ზნეობრივი დამოკიდებულების საკითხი. გაზეთი მიუთითებდა, რომ აღზრდის პროცესში სავანგებო ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რა მიზნით ჩადის ბავშვი კეთილ საქმეს: იმისათვის, რომ მას ჯილდო მოეღოს, თუ იმიტომ, რომ უყვარს კეთილი და სიკეთისათვის არის მოწოდებული. „დროება“ წერდა: „ჭაბუკი უნდა აკეთებდეს კეთილს იმიტომ, რომ უყვარს კეთილი და არა იმიტომ, რომ ამისათვის მას მოეღოს კილდო. მან არ უნდა ჰქმნას ბოროტება იმიტომ, რომ ძულს ბოროტება და არა იმიტომ, რომ ბოროტების ჩადენისათვის მას მოეღოს სასჯელი. მას უნდა ჩაუუნებოთ რწმუნება, რომ უდიდესი ნეტარება ადამიანისა იმყოფება თვით კეთილში და უდიდესი სასჯელი თვით ბოროტებაში“¹⁰.

ზნეობრივი აღზრდის მეორე, თეორიული ეგზავლის ხსიზდა მცირეწლოვან ბავშვთათვის ისტორიული ხასიათის ისეთი საუბრების ჩატარებას, რომლებშიც მშობნობრივი ექნებოდა ხალხის, და არა, როგორც ხაზგასმით შენიშნავდა „დროება“ — მხოლოდ მეფეების ისტორია. ამ საუბრების ხოლო შემდგომში კი ისტორიის საფუძვლიანი შესწავლის მიზანი უნდა ყოფილიყო მშობელი ხალხის ცხოვრების, მისი მოწინავე ზნევეულებების, ტრადიციების, ეროვნული გმირებისა და გამორჩენილი ადამიანების გაეცნობა, შესწავლა და როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამოსაყენებლად ყოველივე საკეთესოს შეთვისება.

ამ ორი — პრაქტიკული და თეორიული გზის სწორად შესამება ბავშვის აღზრდის პროცესში მიაჩნდა „დროებას“ მალე ზნეობის ადამიანის აღზრდის აუცილებლად პირობად. მაგრამ, ზნეობრივი აღზრდის საკითხების განხილვის დროს გაზეთი მხოლოდ ოჯახითა და სკოლით რძდი. იფარგლებოდა. იგი ამ საკითხებს განიხილავდა საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებთან შეხირობების, ლობთობის, რადგან, რომ როგორც ქურდობა, ცულ-კაცობა, ცრუ-მირწმუნება და სხვა ამგვარი ზნეობის დამამკირებელი თვისებანი ადამიანში, ისე ლობობაც მაშინ გაიშვიათდება, როდესაც ხალხს აუკუ მიადარი შეეკნება და გინების განათლება აგრძნობინებს იმას თავის კაცურ ღირსებას და მოვალეობას“¹¹. ამ თვალსაზრისით არის განხილული ცრუმორწმუნეობის, ლობთობის, ჩადე-დახდურეთი უზომოდ გატაცების, გაზეთადებული სტუმარმოყვარეობის, მივალეობის გლოვის მაზინჯი მხარეების და სხვა უარყოფილი ზნე-ჩვეულებათა გამოვლენებიც. „დროებას“ ფურცლებზე

გამოქვეყნებულ ისეთ წერილებში, ფელეტონებსა და კორესპონდენციებში, როგორცაა, მაგალითად, „ტანსაცმლის უზომოდ ხმარება“ (1868 წ. № 27), „ქართულების სტუმარი“ (1870 წ. № 24), „ლოთობის ჩენი ხალხი თუ არა“ (1875 წ. № 75), „მოთქმით ტრილი“ (1875 წ. № 85) და ა. შ. ამავე თვალსაზრისით განიხილავდა გაზეთი, აგრეთვე, დანაშაულებრივ მოქმედებათა გამოწვევი მიზეზების, ბოროტმოქმედების წინააღმდეგ ბრძოლის, დანაშაულისა და სასჯელის ზნეობრივი მხარეების და მსჯავრდებულთა შორის აღზრდელიობითი მუშაობის მოწყობის საკითხებს.

„საკვრობილეს ბივლიოთება“

დანაშაულებრივ ქმედებათა უმთავრეს გამოწვევ მიზეზად „დროება“ თვლიდა არსებულ ეკონომიური, სოციალური და საზოგადოებრივ პოლიტიკური ცხოვრების პირობებს. „ხენთა დაცემა, — მიუთითებდა იგი, — ავსაკობა, ქურდობა და სხვა... მოვლენათა გავრცელების მიზეზი არის სიღარიბე და ამ უკანასკნელის დასაბამი კი ერის პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობაში უნდა იქნებოდეს“¹². რამდენადაც პიროვნების ზნეობრივი დაცველების, მისი დანაშაულებრივი მოქმედებების გამოწვევი მიზეზებად „დროებას“ გაერ-სამყაროს მავნე გავლენა, იმდრინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების მანკიერება და სიწვალ-აღზრდის საქმის არდამამკაყოფილებლად დაყენება მიაჩნდა, იგი თვით საზოგადოებას თვლიდა პირად ვალდებულიდ უზრუნა ბოროტმოქმედების გზაზე დამდგარი პირთა დახმოსწორების და მათი მოქმედების სასარგებლო ადამიანებად აღზრდისათვის.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მივსართო ერთ კონკრეტულ მაგალითს, რომელიც ადევნავს იმ დროს საცამოდე გამხსურებული პროცესის მთავარ „გმირს“ წულუკიძეს. ხანგრძლივი დროის მანილოლ გაზეთი აქვეყნებდა კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლო სსდომების ვრცელ ანგარიშებს საკუთარი კომენტარებითურთ¹³. 1880 წლის 29 იანვარს, „დროებას“ 23-ე ნომერში დაიბეჭდა ამ გამხსურებული მკვლელობისადმი მიძღვნილი დასკვნითი წერილი „დამნაშავე და სასჯელი“, რომელიც მიზნად ისახავდა გაეცა პასუხი კითხვაზე: „კინ იყო წულუკიძე და რა გარემოებათა მიაღწევინებს ის სანარიბელამდენ“¹⁴. წერილი იწყება დამნაშავეს მშობლების დასახილავით. გაზეთი ყურადღებას მიაქცევდა იმ გარემოებას, რომ ოჯახს არ შეეძლო წულუკიძეზე ცდი გავლენა მიეზდინა, რადგან მისი მშობლები, როგორც პატიოსანი, მშრომელი და მშვიდობიანი ადამიანების „ცულდაცობა თავის დღეში არ გაუცონია კაცს“. სამაგიეროდ, გაზეთი ბრალს დებდა სკოლას, საიდანაც იგი გაიწვია, „რადაც მიზეზების გამო“. გაზეთი საგანგებო ყურადღებას მიაქცევდა პატემრობის პირველად მისეის საკითხს, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხებოდა დანაშაულის ჩადენის დაუსაბუთებლობას. სწორედ ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, როცა ტ. წულუკიძე პირველად დააპატემრეს, რადგან, როგორც გაზეთი შენიშნავდა „კაცმა არ იცის

¹⁰ „დროება“, 1879 წ. № 5.
¹¹ „დროება“, 1875 წ. № 75.

¹² „დროება“, 1881 წ. № 224.
¹³ იხ. „დროება“, 1879 წ. № 106, 108, 240, 241, 242, 243, 244.

მეჯთიად: ერა... ტატო თუ არა" იმ საქმეში, რომელიც მას „დაპარალუს... სტატეს ხელი და რამდენიმე წლით ცისმერ ჩას-ეცეს.“ ამ გარემოებას „დროება“ საგანგებო მნიშვნელობას უფრო იმიტომ ანიჭებდა, რომ დაშინების გამოსწორების ნაკველად ინდროინდელ „საპრობილიდამ შამაზსარეული ავაზაკი, ყოველ ბორბტებაში გაქნილი და განვითარებული“ კაცი გამოდიოდა.

„დროების“ 1874 წლის 415-ე ნომერში დაიბეჭდა მეფე-ლეს წერილი „საპრობილიის გაგონება“, რომელშიც გაზეთი ბრალს სდებს საზოგადოებას იმაში, რომ იგი „რუსალების ბედს სრულიად უზრუნველად სტოვებს“. ამ წერილში „დროე-ბა“ მიუთითებდა, რომ იმ დროისაგან განსხვავებით, როცა დაშინების აბატიმბედნენ შუ რ ი ს ძ ი ე ბ ი ს ა და არა მისი გ ა მ ო ს წ ო რ ე ბ ი ს მიხნით, საპატრიო მოწოდებულია გა-მოსწორის ტუსალი და იგი საზოგადოების სასარგებლო წვე-რად ავიკის. გაზეთის ასეთი ზრუნვის ერთ-ერთ პრაქტიკულ გამოხატულებას წარმოადგენს „დროების“ 1880 წლის 89-ე ნომერში დაბეჭდილი წერილი „კავთმოყვარე საზოგადოებე-სადმი“. წერილის ავტორი, მეტეხის ციხის ეკლესიის მღვდელ-ი ო. ლომიური გაზეთის საშუალებით აცნობდა მცხოვრებებს თავის გადაწყვეტილებას პატიმართათვის მიბლიოთეკის გახს-ნის თაობაზე და სთხოვდა საზოგადოებას „აღმუშურის მიბ-ლიოთეკას თავის შემწეობა თითო-ორილა ზენიბიან წიგნის შემოწირებით“.

ამ შემთხვევაში ყურადღებას იმსახურებს არა მარტო თავის თავად მეტად საინტერესო და საულოცისმო წინადადება სატუსალის მიბლიოთეკის შექმნის შესახებ, მათ უფრო, თუ გავითვალისწინებთ მეფის თვითმკურნალო რევიზის პირობებს, არამედ ისიც, რომ ეს წინადადება გაზეთის საშუალებით გახდა ცნობილი ფართო საზოგადოებრიობისათვის და სწორედ გაზეთმა შესარულ ეთივარო ორგანიზატორის როლი ამ მიბ-ლიოთეკის დარსების საქმეში. შემთხვევით არ არის, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ, იმავე წლის 299-ე ნომერში „დროე-ბამ“ აუწყა მკითხველებს, რომ „...საქმე — შესახებ ტფ. მეტეხ-ის საპრობილი ტუსალისათვის საკითხველ ბიბლიოთეკის გამართვისა — ამჟამად კეთილად დაკორგინდა“.

„დროება“ საჭიროდ თვლიდა საპატრიოტული ტუსალების წინაშეულის სიმძიმისა და ხასიათის გათვალისწინებით განა-წილებას, მათთვის წერა-კითხვისა და ხელნაწის სწავლების, ლექციების ჩატარების, სასაიმონო და ზენიბის ამამალბეუ-ლი წიგნების კითხვა და სხვ. გაზეთმა, ჯერ კიდევ იმ დროს, მკვირვად დააყენა დანაშაულებრივ ქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლისა და დაშინებათა გამოსწორების, მათი აღზრდის საქმეში ფართო საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობის აუცილებლობის საკითხი. ამასთანავე, გაზეთი მიუთითებდა ამ მონაწილეობის კონკრეტულ გზებზე და მაღალი ჰუმანიტუ-რობის პოზიციებიდან მოთხოვნიდა ყველას, რომ „ცოლდას იღებს საზოგადოება თავისთავზე, რომ ტუსალების ბედს სრუ-ლად უზრუნველად სტოვებს“.

ამვე დროს გაზეთი სისტემატურად ბეჭდავდა ვრცელ ინფორმაციებს, რომლებიც ემყარებოდნენ კონკრეტულ ფაქტბ-ლის სათანადო ანალიზს და მიზნად ისახავდნენ დახმარება გა-ეწეათ მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის ბორბტბოქ-

მედეების გამოწვევი მიზეზების შესწავლისა და გამოკვლევის საქმეში, რადგან „დროება“ თვლიდა, რომ „როდესაც ეს მიზე-ზები მოისპობიან, მხოლოდ მაშინ, შესაძლოა, ის ბორბტბეც მოისპოს, რომელიც აქედამ წარმოსდგება“¹⁴.

პირილი და საზოგადო

საზოგადოებრივი ცხოვრების მანიერებისა და მისგან გა-მომდინარე ბორბტების გამოწვევი მიზეზების მოსპობისათვის ბრძოლა საზოგადოების თვითელი წევრისათვ მიითხოვდა მზადყოფნის მიქალაქობრივი მოვალეობის პირნათლად შეს-რულებისათვის, რადგან ზენიბრივი მოვალეობის მიანარსს ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა შეუდგენს. გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებულ მრავალრიცხოვან წერილებში აკ-წერეთელი, ს. მესხი, ნ. ნიკოლაძე და სხვ. მოთმინებით განუ-რატბედნენ ფართო საზოგადოებრიობას იმის აუცილებლობას, რომ „ყოველი საზოგადოების წევრი თავის შექმლების დაგვა-რად უნდა ცდილობდეს რაიმე საგნებლობა და დახმარება უძღვნას თავის საზოგადოებას“¹⁵ და დაბეჯითებით მოუწოდებ-დნენ ამ მაღალი მოვალეობის თავდადებულად შესრულებისა-კენ. „კინ არ იცის, — წერდა აკ. წიფეთელი „დროებაში“, რომ ჩვენში... საზოგადოებისათვის თავგანწირულობის შრომით კაცი თავს ვერ იჩრევს, მაშინ როდესაც ვინმე აფეკუბი ანუ მისამსახურე პირი, რომელსაც თვინიერ გაიჭყობობს და ცუდ-ლუბტ-კლიაუზობის გარდა, არც დიდ სწავლა, არც დიდი ნი-ჭი და არც ზრმობა არ ეჭირებება, პატკედ-ღიდებამთ და კეთილ-დღეობაშია. ამგვარ პირობებში რომ კაცმა მაინც კიდევ გაიმე-ტოს თავი და საზოგადო საქმეზე ფიქროს, პირადობის გა-წირვით, დასტკურ, უნდა რომ ქართველი იყოს!“

„დროების“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ მრავალრიცხოვან წერილებში, რომლებშიც დაპარაკია, მაცალითად, სყოლაზე, სასოფლო ბანჯეზე, საზოგადო მაღალიას თუ სხვა საზოგადოებ-რივი მნიშვნელობის საკითხებზე, მოცემულია თვითელი კონ-კრეტული ფაქტის განზოგადებული შეფასება და მაღალი ზენ-ობრივი მომთხოვნელობის პოზიციებიდან მიითებულია მო-ქალაქობრივი მოვალეობის პირნათლად შესრულების ზემო-რივ დანიშნულებაზე. ს. მესხის წერილი „ერთმანეთის დახ-მარება“, რომელიც „დროების“ 1872 წლის 30-ე ნომერში და-იბეჭდა მკითხველის ყურადღებას მიაქცევს საქართველოს სხვა-დასხვა კუთხეების შრომელი გლეხების მიმზე მდგომარეობას განხილვით სტკიური უზედრებისა და საქონლის დაავე-დების გამო, რაც მძიმე ტვირთად აწეობდა ისედაც გაღატაკ-ებულ მოსახლეობას. გავალა, სტკევა, ცეცხლი და სხვა, ბე-ნების მიერ თუ ადამიანის დუდეგრობის შედეგად თავს დაბე-ხილი უზედრება, წერილის ავტორის აზრით, გაღატაკბებას უქდადა ქვეყნას. ამ მდგომარეობიდან გამოსავლად გზად გა-ზეთის „ერთმანეთის დახმარება“ მიანდა და ასეთი რჩევი მიმართავდა ქართველ გლეხობას: რამდენიმე სოფლის მცხოვ-რებლებს ადვილად შეუძლიათ ერთმანეთს პირი მისცენ და იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მათგანს რაიმე სტკიური უზე-დურება ოაკყდება თავს, დანარჩენი სოფლის ვალდებული

¹⁴ „დროება“, 1876 წ. №106.
¹⁵ „დროება“, 1872 წ. № 7.
¹⁶ „დროება“, 1878 წ. № 107.

უნდა იყენებ მას დახმარება გაუწიონ. მოვალეობის შესრულების წინებორივი არისა გამოხატული ს. მესხის ანალოგიური საციხისხადმი მიძღვნილი კორესპონდენციის „მომილი ქიხიყვი და საზოგადოების დახმარება“ დასყვნილი ნაწილში: „პირდაპირი სარგებლობის მოტანის გარდა, — წერდა „დროება“, — ამგვარ დახმარებას სხვა სიკეთეც მოსდევს; ის ბაღებს საზოგადოების წევრთა შორის ერთმანეთის იმედს, ნდობას და ძმურ სიყვარულს და ეს ისეთი თვისებებია, რომელ ზედაც ყველა კეთილი განწყობითი საზოგადოების ცხოვრება უნდა იყოს დამყარებული.“ (საზოგადოება — ო. ქ.)¹⁷.

„დროება“ ფხიზლად ადევნებდა თვალს საზოგადოებრივი ცხოვრების წინებორივი ასპექტებს და მორიდდებოდა აშკარა ვებად წინებორივი დაქვეითების კონკრეტულ გამოვლინებებს. ამ შემთხვევაში გაუთი შიხნად ისახადა, ჟერ-ერთი, შეეკმნა საზოგადოებრივი აზრი იმ დროს გავრცელებული მაგნე წინე ჩვეულებების და წინებორივი დაცემულობის გამოვლენათა წინააღმდეგ, მეორეც, ასეთი მოვლენების გამოშვეყვი მიზნების ანალიზის საფუძველზე განეზარტა, რომ პირიფების წინებორივი სრულყოფისათვის აუცილებელია საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესება და, დასასრულ, თვით საზოგადოებისავე შეფევილი შეწყუო ხელი წინებორივი დაქვეითების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

კ. ლაფერაძე ვაჩინვენებს ამ ორმხრივობას — ერთი მხრივ გროტესკულად გარმოსახული ეს შესაბამიანი, მეორე მხრივ გმირის უშუალობა.

რასაკვირველია, ყველაფერი არ გავკამყოფილებს ამ საპეტკალში (კერძოდ ვერ არის პირვად დადგმული დახარმოსახიან ხატისა გადარჩენის სცენა, ფსიქოლოგიური სიღრმე აკლია მ. მახვილდის — მამიდას, ი. ტრიპოლსკის — დათიკოს), მაგრამ ის ემოციურობა, ნამდვილი მხატვრული გააზრება, რაც ასე ჩინებულად არის გამოვლენილი აქ, მას აქვეცხდ ფრიად საინტერესო და მნიშვნელოვან მოვლენად ქართულ თეატრალურ სინამდვილეში.



ქანეთ — ე. ყოფშიძე

„კ მ რ კ ი“

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა მაცურებელს უჩვენა ა. კრონინის სამმოქმედებიათი ღრამა „ქერი“.

სპექტაკლი დადგა სსრკ სახალხო არტისტმა ვასო გოძიაშვილმა, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის გ. ცერაძეს, მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა ა. ბალანჩივაძემ.

სპექტაკლში მთავარ როლებს ასრულებდნენ: ვასო გოძიაშვილი — ბროუდი, მ. დავითაშვილი — მარგარეტ, დ. ჭიჭინაძე — მერი, ს. ჭიაურელი — ნენსი, მ. თბილელი — ქანეთი, მ. თაბუკაშვილი — მეტიუ, ლ. შოთაძე — სალი და სხვ.

ინსცენირება ეკუთვნის იოსებ ბეგიაშვილს.

სალი — ლ. შოთაძე





მარგარეტ —
მ. დავითაშვილი
მეტეუ — შ. ქობორაძე



მერი —
მ. სიხარულიძე
მეტეუ —
მ. თაბუკაშვილი

ჯემს ბრაუნი —
ვ. გობიაშვილი



ქართული სცენის სიყვარულით

ოთარ ოთარაშვილი



მსახიობი ევგენია გვაზავა



ოღესაც აფხაზეთის რე-
ვოლუციურ - კულტურ-
რული ცხოვრების ის-
ტორიაზე ჩამოვარდება საუბარი,
უთუოდ გახსენებენ ხოლმე კუხალე-
იშვილების ოჯახსაც. სწორედ ამ
ოჯახში იზრდებოდა მომავალი მსახი-
ობი ევგენია გვაზავა, რომლის დეი-
ლები ეკატერინე და მარო კუხალეი-
შვილები სოხუმის ქართული დრამა-

ტული კოლექტივის ერთ-ერთი ორგა-
ნიზატორები და მისი აქტიური წევ-
რები იყვნენ. აფხაზეთის სცენაზე,
კერძოდ სოხუმში, სხვადასხვა თეატ-
რალურ სეზონის საქტაკლებში ისინი
გამოსულან ლადო მესხიშვილის,
შალვა დადიანის, ელო ანდრონიკა-
შვილის, ვალერიან გუნიასა და ქარ-
თული თეატრის სხვა ამაგდარ მოღვა-
წეებთან ერთად. სწორედ მათი მეშე-
ობით იყო, რომ ჯერ კიდევ სრული-
და პატარა გოგონა 1916 — 1919
წლებში გამოიყავთ სცენაზე ბავშვები-
სა და ფერიების როლებში, ახლა ძნე-
ლი სათქმელია, რით იყო გამოწვეული
ეს — საქტაკლებში მცირეწლოვანის
მონაწილეობის აუცილებლობით თუ
ბავშვის ბუნებრივი ნიჭის წახალისე-
ბით. ასეა თუ ისე, ამ მართლაც ზღა-
პარივით შორეულმა და სიამით მო-
საკონარმა წლებმა ვაალღევა მასში
ქართული თეატრალური ხელოვნები-

სადმი დიდი სიყვარული, აქედან იწ-
ყება მისი ლტოლვა სცენისაკენ.
როდესაც წამოიზარდა, ევგენია სას-
კოლო წარმოდგენების ორგანიზატო-
რად და ხელმძღვანელადაც გვევლინე-
ბა. 1924—1925 წლების სეზონში იგი
სოხუმის ქართული დრამატული კო-
ლექტივის წევრი ხდება და მრავალ
დადგმაში იღებს მონაწილეობას. მა-
ყურებელს კარგად დაამახსოვრდა
მისი კახი — ავ. წერეთლის — „პა-
ტარა კახში“, სონია — აკქსენტი ცა-
გარლის — „ხანუმაში“. იყო სხვა რო-
ლებიც, რომლებმაც გარკვეული
წვლილი შეიტანეს ახალბედა მსახიო-
ბის დამსტატებში, მაგრამ ახლა მათ
ევგენია დიმილთ იგონებს მხოლოდ.
1926 წელს ევ. გვაზავა საშუალო
სასწავლებლის დამთავრების შემდეგ,
თბილისში ჩამოიდა და სწავლას აგრ-
ძელებს სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიურ ფაკულტეტზე, რომელსაც



1931 წელს ამთავრებს. და სრულიად ახალგაზრდად ოჯახს ეკიდება და თავის მომავალს უკავშირებს ცნობილი ქართველი მსახიობის მკაცრ ქართველი-შვილის ანგას რომერტ ქართველი-შვილის (ამჟამად საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი, ფოთის სახელმწიფო თეატრის მთავარი რეჟისორი). ამ შემთხვევაში თითქმის კიდევ უფრო მჭიდროდ დააკავშირა ევ. გვაზავა ქართულ სცენას. 1934 წლიდან მოყოლებული, ევ. გვაზავა ჩვენი თეატრალური ხელოვნების ნამდვილად უანგარო მოღვაწეა. მისი გულმხურვალე მოქმედებები:

ამ ოთხი ათეული წლის მანძილზე ევგენია გვაზავას მიერ შექმნილ მრავალრიცხოვან მხატვრულ სახეთა შორის, აღსანიშნავია ნიჭიერი გოგონა მაყვალა (ან. აღმაძის „ნათლია გვა“), მამუღ დაქაბათო (ავტ. ცაგარელის „ციმბირელსა“ და „ხანუშაში“). ნამდვილი სამჭოთა პატრონიტ ქალი

მერი ალაღაშვილი (ა. კერესელიძის „მეგობრობა“), პატარა ბიჭის დეურეზყარი სახე (კ. გოგიაშვილის „ბაღ-ნარი“), თავმომწონე, თვინება, ძვილა ყოფის ფსიქიკით გამსჭვალული ქალიშვილი მარინე, რომლის მსგავსად სამწუხაროდ დღესაც ვხვდებით ჩვენს თანამედროვე ფუქსავატ ახალგაზრდებში, (ივ. ჯავახიშვილის „ჩრდილი ყვივილზე“). ტიპური ვაჭრული ანგარებისა და ბინძური თვისებების მატარებელი ვარვარა ლეიოტიკინა (ა. ოსტროვსკის „გვიან სიყვარული“). მსახიობმა განსაკუთრებული სინატფიფი და სინარაფიფი განასახიერა შვილის უზომოდ მოსიყვარულედ დედის სახე როზოვის ბიესაში — „ხალისიანი მეგობრები“.

თავმდაბალსა და გულისხმიერ თეატრალურ მუშაკს ევ. გვაზავას საქართველოს მრავალი ქალაქისა და რაიონის (თბილისი, ქუთაისი, ტყიბულო, ლანჩხუთი, ლაგოდეხი და სხვ.)

სცენაზე უმუშავია და ყველგან მხოლოდ სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურებია.

დიდი სამამულო ომის მიმე წლებში ევ. გვაზავა მთელი თავისი დაუცხროვილი ენერჯიფი და სიყვარული მუშაობდა ერთ-ერთ აგიტ-მხატვრულ ბრიგადაში, რომელიც მომსახურებას უწევდა ჩვენს სახელეთან სამჭოთა არმიელებს. ამ უანგარო და ნამდვილად პატივითული მოღვაწეობისთვის მას მრავალი მადლობა, სიყვარული თუ მედალი აქვს მიღებული. ეს კი მისი, როგორც მოღვაწისა და მოქალაქის, უძვირფასესი მონახეტი ჯილდოა.

ამჟამად, ფოთის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი ევგ. გვაზავა ჩვეული ენერჯიფობითა და გაცტყვით ემსახურება ქართული თეატრალური ხელოვნების წინსვლასა და მაყურებელთა საყოველოთი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს.

კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის კლასში თელავში

ორ დღეს გრძელდებოდა ქ. თელავის ს. ორჯონიძის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობაში საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის გასვლითი პლენუმი.

პირველ საღამოს საქართველოს სსრ რადიოსა და ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრის მიერ შესრულებულ იქნა ქართველი კომპოზიტორების ა. ბალანჩიშვილის, ა. მაჭავარიანის, შ. შველიძის, გ. კალაძის, თ. თაქთაქიშვილის, ა. კერესელიძის, ბ. კვერნიძის, რ. ლალიძის, შ. დავითიძის, რ. ქარუნშიშვილის ნაწარმოებები.

მაყურებელთა დიდი მოწონება ხვდა ა. ბალანჩიშვილის საფორტეპიანო კონცერტის პირველ ნაწილს (ფორტეპიანოს პარტიას ასრულებდა ცენტრალური მუსიკალური სკოლის მოსწავლე ა. თორაძე). აგრეთვე — ვალსს გრ. კალაძის ბალეტინად „სინაილი“, თურქულ მარშს ა. მაჭავარიანის ბალეტინად „ოტლო“ და სხვ. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს სსრკ სახალხო არტისტმა პ. ამირანაშვილმა და ვ. გულენაძემ.

მეორე დღეს მოისმინეს დასავლეთ ევროპისა და რუსეთი კლასიკური მუსიკის კონცერტები. შესრულებულ იქნა ვივალდის, ბერლიოზის, ჩაიკოვსკის ნაწარმოებები. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ჰაიდნის „ოქსფორდის სიმფონიამ“ და მოცარტის ოპერის „ფიგაროს ქორწინების“ უკრატურამ. ორკესტრს ხელმძღვანელობდნენ დირიჟორები: ხელოვ-

ნების დამსახურებული მოღვაწე ა. ნასიძე და ლილე კობლაძე.

პლენუმი მიჰყავდა პროფესორ პ. ხუტუას. კონცერტ-მეისტერი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ს. შანიძე.

კონცერტის შემდეგ გაიმართა დისკუსია, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა კომპოზიტორმა ა. მაჭავარიანმა. სიტყვებით გათვლიდნენ ნ. სულხანიშვილის სახელობის მუსიკალური სკოლის დირექტორი შ. კიკვიძე, თელავის მუსიკალური სასწავლებლის დირექტორი რ. ქარუნშიშვილი, საქართველოს კმ თელავის კოლმეურნეობებისა და სამჭოთა მუერნეობის საწარმო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი თ. ბაღურაშვილი.

კომპოზიტორმა დ. თორაძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ მომავალში ის და მისი კოლლეგები თავიანთ შემოქმედებაში ფართო ადგილს დაუთმობენ თელავს, მის შესანიშნავ ისტორიულ წარსულსა და აწმყის. აგრეთვე კომპოზიტორთა კავშირი მუსიკალურ მომსახურებას გაუწევს თელავის სახელმწიფო თეატრს.

დისკუსია შვაჯამა კომპოზიტორმა ა. მაჭავარიანმა. კოლლეგების სახელით მან დიდი მადლობა გადაუხადა თელავის ხელმძღვანელობას რუსპირში იმ შესანიშნავი ბინის გადაცემისათვის, რომელიც მალე კომპოზიტორთა შემოქმედებით სახლად იქცევა.

ამ გასვლითი პლენუმის შესახებ ფართო ანგარიში დაიბეჭდება ჩვენი ჟურნალის უახლოეს ნომერში.



ანა ფერაძე

ივანეს სამი ვაჟი და ერთი ქალი ჰყავდა. ირ. ევდოშვილის მეუღლე პატარა ანა ვერ ქართულ გიმნაზიაში მიხატა, ხოლო გიმნაზიის უნივერსიტეტად გადაკეთების შემდეგ ახლანდელ მე-9 საშუალო სკოლაში.

ამ სკოლაში ასწავლიდა ხატვის ცნობილი მხატვარი მოსე თოიძე, ქართული ენასა და ლიტერატურას — ლავრენტეიძე დიმიტრი და სხვები. კარგ სწავლასთან ერთად პატარა ანა დიდ სიყვარულს იჩენდა ხატვისადმი, პოეზიისადმი.

მოსე თოიძემ გონსა საბავშვო კლუბის სამხატვრო წრეში მოაწყო. როცა მ. თოიძემ სამხატვრო სტუდია გახსნა, ანაც ამ სტუდიაში დადიოდა საღამოობით. მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენებზე ანას ნატურმორტები, ესკიზები, პორტრეტები მოწონებას იმსახურებდნენ.

ანა ნადირაშვილმა 1927 წელს დამთავრა სამხატვრო სტუდია და სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტზე შევიდა.

1930 წლიდან, ოჯახის შექმნასთან დაკავშირებით ანა ნადირაშვილი-ფერაძე გორში გადადის საცხოვრებლად და პედაგოგიურ ტექნიკუმში იწყებს მუშაობას ხატვისა და მეთოდის მასწავლებლად. ახალბედა მასწავლებლის ხელთ არ პქონდა პროგრამა და არც სახელმძღვანელო მოიპოვებოდა, მაგრამ საქმის ენთუზიასტი არ შედრკა, პროგრამა თვითონ შეადგინა. სახელმძღვანელოდ კი სამხატვრო სტუდიაში მიღებული გამოცდილება მოიშველია... იგი ასწავლიდა ბავშვებს ნატურიდან ხატვას და ამასთან კითხულობდა ხატვის მეთოდებს. პედაგოგულ ტექნიკუმში ხატვის მასწავლებლის გამოჩენა მალე ცნობილი გახდა დანარჩენი სკოლებისათვის. იმხანად გორში სულ ხუთთოდე სკოლა იყო და ყველა სკოლამ მიიწვია იგი სამუშაოდ. ენერგიულმა ქალმა უკან როდი დაიხია. მისი ხელმძღვანელობით ყველა სკოლაში შეიქმნა სამხატვრო წრეები.

პირველი წლის ბოლოს, ერთ მთლიან შემოქმედებით ბირთვად გააერთიანა ყველა წრის მუშაობა და გორის რაიბიურის სამხატვრო წრე ჩამოაყალიბა.

მოწვევა გამოფენები. დამთავლიერებლები და ნორჩ შემოქმედთა მშობლები ღრმა მადლიერებას გამოთქვამდნენ ასეთი სასარგებლო საქმიანათვის.

ანა ფერაძის ინიციატივით, კომკავშირის ყრილობასთან დაკავშირებით, ნორჩ მხატვართა გამოფენა თბილისში იქნა გადმოტანილი. გამოფენა განხილული იყო სამხატვრო გალერეაში. განხილვაში მონაწილეობა მიიღეს მოსე თოიძემ, დავით კაკაბაძემ, ლადო გუდიაშვილმა და სხვებმა. გამოიყო კომისია კორნელი ჩანდა, სვერიან მისისშვილისა და მირზოყვის შემადგენლობით. აღიძრა შუამდგომლობა, რათა გორში გახსნილიყო სამხატვრო სტუდია. წარმოდგენილი ნამუშევრების მიხედვით ჩანდა, რომ კადრი უზრუნველყოფდა კონტივენტს.

ანა ფერაძისათვის დიდი სიხარული იყო ეს დადგენილება, ერთ-ერთ სკოლაში დროებით გამოიყო ბინა. გორში დაარსდა სამხატვრო სტუდია. ანას ოცნებამ ფრთები შეისხა. მან დიდი პასუხისმგებლობით მოკიდა ხელი საქმეს. აქ მიმდინარეობდა ნატურიდან ხატვა, ძერწვა, კერამიკულ და დეკორატიულ ხელოვნებაში მუშაობა. ბავშვები წერდნენ პეიზაჟებსა და ეტიუდებს.

გორი ცნობილია კერამიკული ხელოვნებით, ამ მხრივაც

მხატვარი, კელაგოზი

თამარ გომართელი



როცა ივანე ნადირაშვილმა მშობლიური კახეთის ველები მიატოვა და თბილისის ერთ-ერთ ქარხანაში დაიწყო მუშაობა, მღელვარე რევოლუციურ ატმოსფეროში მოხვდა. მალე ფარული ორგანიზაციის სული და გული გახდა. დაუმეგობრდა თავის თანასოფელს, ცნობილ რევოლუციონერ პოეტს იროდიონ ევდოშვილს.

ირ. ევდოშვილისა და ი. ნადირაშვილის ოჯახებზე დამებობდნენ. იროდიონის გადასახლების შემდეგ მისი ოჯახისადმი მიზრუნულობა ი. ნადირაშვილმა ითავა. მალე ივანეც ვერ გადაურჩა გადასახლებას. ახლა მის ოჯახს თავს იროდიონის მეუღლე დასტრიალებდა...

ახლად დარსებულმა სტუდიამ ბევრი რამ გააკეთა. მოკლე დროის მანძილზე მოსწავლეებმა უამრავი კერამიკული ნაკეთობის შექმნეს.

სტუდიელები ქმნიდნენ ფორმებს, რომელზეც ადგილობრივი კერამიკოსები ასრულებდნენ ამოტივფარს, ხოლო მოხატულთა კვლავ სტუდიელთა საქმე იყო.

ჩქევდა სტუდიის შემოქმედებითი ცხოვრება, მაგრამ ბინა, სადაც სტუდია იყო მოთავსებული, სკოლის დასტორდა.

ანა ფერაძე თავებოდებით იბძირდა ახალი ბინის მოსატენად. ამ საქმეში მას ეხმარებოდა მოსე თოიძეც, რომელიც აუცილებლად თვლიდა სტუდიისათვის შესაფერი პირობების შექმნას.

ანა ფერაძე ჯერ კიდევ სტუდიის ხელმძღვანელი იყო, როცა უმაღლესი განათლების მიღების სურვილით, თბილისის დაუსრულებელი სწავლების პედაგოგიურ ინსტიტუტში დაიწყო მცადინეობა. სტუდიის დასრულის შემდეგ კვლავ მასწავლებლობა დაიწყო. ასწავლიდა არა მარტო ხატვას, არამედ პედაგოგიას, ისტორიასა და ფსიქოლოგიას.

შემდგომ წლებში ა. ფერაძემ სამხატვრო აკადემიაშიც განაგრძო სწავლა და დამთავრა კიდევ.

1957 წელს გორში გაიხსნა სამხატვრო სასწავლებელი, სადაც პირველ წელს მხოლოდ 8 მოსწავლე ითვლებოდა, მაგრამ მალე მოსწავლეთა რაოდენობა ერთობიარად გაიზარდა. ამჟამად იგი 80 მოსწავლეს ითვლის. სწავლა მიმდინარეობს დილითა და საღამოთი, იმის და მიხედვით, თუ მოსწავლე რომელ ცვლაში სწავლობს სკოლაში.

სამოთახიან სახელოსნოში მუშაობს მარტო ძერწვაში მიმდინარეობს. სკოლა უზრუნველყოფილია საჭირო მასალებით. მოწაფეები ვარჯიშობენ დეკორატიულ, თემატურ, კერამიკულ კომპოზიციანი. მათი ნამუშევრები კერამიკაში მოიწონა პროფ. ა. ფიცხელაურმა, რომელმაც გამოთქვა აზრი, რომ კარგი იქ-

ნება სპეციალური სახელოსნოს მოწყობა კერამიკის დარგში, ბავშვთა შემოქმედების გაყოფებია.

ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სასწავლებლის ოთხივე კლასი ბუნებაში გადის სამშაოდ, პლენერზე ნატურიდან ჩანახატებისათვის.

ნორჩი შემოქმედნი სერავან თვალწარბაც მიდამოებს. ზოგი უძველეს ძეგლებს, ისტორიულ ღირსშესანიშნაობებს აღბეჭდავს, ზოგი საკოლმეურნეო მიწოდრზე გალილ შრომის, პეიზაჟებს...

შემოდგომაზე, სწავლის დაწყებისას, ზაფხულში დაგროვილი ჩანახატებისა და ესკიზების საფუძველზე ეწყობა გამოფენა „საზაფხულო პრაქტიკა“.

გორის სამხატვრო სასწავლებელმა ნაყოფიერად წარმართა მუშაობა. ბათუმისა და სოხუმის სამხატვრო სკოლებთან ერთად, გორის სკოლაც ტექნიკურად კარგი ბაზის მქონე და მოსწავლეთა აკადემიური ცოდნით მაღალ დონეზე დგას.

ალსანიშნავია, რომ ამ სასწავლებლის პედაგოგთა შორის ზოგს პირველი წრითაა მხატვრობაში გორის სამხატვრო სტუდიაში აქვს გაეული. ასე, რომ ანა ფერაძის ღვაწლი ამ სტუდიაში საფუძვლად დაედო ახლანდელ სამხატვრო სასწავლებელს. დღეს აქ მოწინავე მასწავლებლად ითვლება კლ. არჩვაძე, რომელიც ამავე დროს თეატრის მხატვარია, გამოსაშვებ კლასს ხელმძღვანელობს სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულთა შორის ახლამდე, კერამიკის სინთეზისა და სტუდია და დამთავრების შემდეგ თინა ოქროპირიძემ დაიწყო დისერტიანი ხელოვნებათმცოდნეობის დარგში, ირაკლი უკვე ცნობილი მოქანდაკეა.

სკოლაში არიან ისეთი მასწავლებლებიც, რომლებმაც მხოლოდ გორის სამხატვრო სტუდია დაამთავრეს, მაგრამ ნაყოფიერად უძღვებიან საყავრულ საქმეს. ესენი არიან ლ. ხადური, თ. მცხეთაძე, ლ. იმერლიშვილი, ლ. წიკრიძე და გ. კუპრაშვილი.

სასწავლებელს ჯერ მხოლოდ ორი გამოშვება ჰქონდა, პირველ გამოშვებაში, რომლის ხელმძღვანელი ალ. ვეფხვაძე იყო, წარმატებები გამოიჩინეს შ. ცხადაძემ, გ. ვანიშვილმა, გ. გიგინიშვილმა, გ. კუსრამიშვილმა და პოპონდოპოლომ. მეორე გამოშვებაში (ხელმძღვანელი მ. ასობაძე) გამოირჩეოდნენ ძ. ნოზაძე, გ. ვერიტიშვილი, ა. ტერეშოვა, ს. შამუგი, თ. გაბარაშვილი, გ. კოშორიძე, ს. რვეიშვილი. გორის რაიონის სასოფლო სკოლებში ხატვის მასწავლებლებში არიან. სამხატვრო სასწავლებელში აღზრდილები ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან გორის ყრუ-მუნჯთა გაერთიანების არტელში.

ანა ფერაძემ შეადგინა ხატვის სახელმძღვანელო, რომელიც 1959 წელს გამოიცა. სახელმძღვანელომ ხატვის მასწავლებლების მაღალი შეფასება დამსახურა და იმდენად პრაქტიკული გამოდგა, რომ სულ მოკლე დროში გავრცელდა. ამ სახელმძღვანელოს გამოსვლასთან დაკავშირებით ა. ფერაძეს მინიჭა დამსახურებული მასწავლებლის წოდება. გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების საფუძველზე ავტორმა მოამზადა მეორე შეესებულ სახელმძღვანელო, რომლის გამოცემა განზრახული აქვს კულტურის სამინისტროს.

გორის სამხატვრო სასწავლებელი





ქაჯფარიძე

იმერელი



კონსტანტინე გამსახურდიას რჩეული თხზულებანი

გიორგი ჩიქობავა

ამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ უკვე გამოსცა დიდი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას ოთხი წიგნი, რაც გამოსაცემად გათვალისწინებულ რჩეულ თხზულებათა რეატიმულის ნაწილს წარმოადგენს.

პირველ ტომში მოექცა ქართველი მკითხველის საყვარელი რომანი-ტრილოგია „მთვარის მოტაცება“, რომელიც პირველად 1936 წელს გამოიცა სამ წიგნად, მეორედ — 1947 წელს. მეორე გამოცემაში მწერალმა ზოგი

რამ ცვლილებანი შეიტანა, უფრო მკაფიოდ გამოკვეთა ახალი ეპოქის ადამიანთა სახეები (როსტომ ლიჩული, ჩალნაში) და სოციალ-სტურე რეალიზმის მეთოდზე დაყრდნობით გააძლიერა სოფლის მეურნეობაში კომუნისტური პარტიის ხაზის ამსახველი მომენტები. უფრო სრულად გვიჩვენა საკოლმეურნეო სოფლის წინსვლა და განვითარება. ამ ცვლილებებით გამოქვეყნდა 1958 წელს პირველ ტომში დასახელებული ტრილოგია. რომანის ტრანსფორმაციამ გაამდიდრა ერთერთი მთავარი პერსონაჟის არზაყანის

სახეც. ეს პერსონაჟი ახლა უკვე გვიჩვენება ახალი საზოგადოების მოწინავეთა რიგებში, ახალი ცხოვრების განმტკიცებისათვის თავდადებულ მებრძოლად და ამით სრულად ფარავს თავის პირადულ ნაკლოვანებებს... ნაწარმოებში ჩვენ თვალწინ ჩაივლიან გზადაკარგული ნევრასტენიკის თარაშ ემხვარისა და ახალ ცხოვრებას შეუგუებელი და ჩამორჩენილი კაც ზეამბაიას სახეები. აფხაზეთისა და სვანეთის ეთნოგრაფიული სურათები, შავ-ბნელი წარსულის მიოთურ-რელიგიური კულტები: ცხენის

მოდღეათ შერსრულეული თედრობის ლოცვა, ტყვეების უფალი მიზიტუ, ამშაპის დღე, სამეფო მუხა, ოღი-შურ-აფხაზური დუღის ნაშთი — ხინტკარია, ნაყოფებების ღმერთი ჯჯე, ცხოველთა სიმბოლოური მაცე-ტები ქირუ-ქარუ, ძაღლთა უფალი — ალიშინტრი, მესეფენი, აფხაზური ქირწილი, ქელეხი, ათასნაირი სალო-ცაგები, ტაბუ და სხვ. ყველაფერი ეს მეზუემის ექსანატრებითი მოჩანს ახალი სოციალისტური სოფლის მქე-უფარე ფონზე, მშრომობელთა აყვავებუ-ლი ქვეყნის უშორესი პორიზონტის ნისლეში ჩაიძრება ნაჯატარების ფი-გურები — ვაანჯე, ლუკაია და სხვ.

„მთვარის მოტაცებას“ დართული აქვს მინარდა გამასახურდაის მიერ შედგენილი ლექსიკონი, რომელშიც ნათლად განმარტებული რომანში ხმარებული მველი ქართულიდან გა-ნახალბული, გარკვეული კოლორიტი-ბის შესაქმნელად დიალექტებიდან ნასესხება და უცხო ენებიდან აღებუ-ლი სიტყვა-ვაშოტყმები.

I ტომი გამოცემულია 1958 წ. და 750-მდე გვერდს შეიცავს.

მეორე ტომში თავმოყრილია ნოვე-ლები, რომლებიც იმპრესიონისტული მანერითაა შესრულებული და მწერ-ლის შემოქმედების იმ ადრინდელი პერიოდის მკაფიო გამოსახულებას წარმოადგენს, როდესაც პრიმიტივიზ-მისა და სქემატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება კრიტიკული რეა-ლიზმის ტრადიციებიდან გამომდინარ-ეობდა ჯგუფი ექსპრესიონისტების სახით. „საათები“, „დამსხვრეული ჩინკურები“, „ზარები გრიკაში“, „პორცელანი“, „ლილ“ და სხვა ნოვე-ლებში კ. გამასახურდაის მხატვრული სიტყვის ნოტივად გამოყვანილი ჰყავს ის აღმაიანები, რომლებიც რე-ვიოლუციის მიერ განადგურებულ კლასებს ეკუთვნოდნენ.

განსაკუთრებული ადგილი უნდა მივაკუთვნოთ რეალისტურად შესრუ-ლებულ ნოველებს „ამაჰი ხეთისი მონღისკლისა“ და „ხოკაის მინდია“. ჩვენი თანამედროვე მკითხველისათ-ვის, ვგონებთ, ეს ორი ნოველი უფრო სინტრეტისა, როგორც საკვირთო ხა-სიათის ნაწარმოებნი, რომელიც რო-

მანტიკულ-ლეგენდარული ხასიათით ესოდენ ეხმაურებიან ჩვენს აწერეს.

კ. გამასახურდაის ამ წიგნისათვის განსრეული ნოველებით მკითხველის წინაშე წაეთლი ნაგებ მწერლის შე-მოქმედების ის პერიოდი, როდესაც ის ნაწარმოებებში განსაკუთრებული ყურძალბა ექცევა მხატვრული სა-ხეებით აზროვნებას, სიტყვის მუსიკა-ლობასა და ფერწერულობას. გარდა ამისა, კ. გამასახურდაის სწორად ეს დეკადენტური ნოველები წარმოად-გენდა ერთგვარ ხილს ჩვენი საუყუნის ყურძალბაში წლებში გაბატონებულ მო-დერნიზმსა და რეალიზმს შორის. ტყვილად როდი წერდა თავისი შე-მოქმედების ამ პერიოდის შესახებ კ. გამასახურდაი: „მე ისეთი უკიდურესი ესთეტიკური ჰედონისტური იდეებით ვიყავი გატაცებული, საბჭოთა სა-ქართველის ფარგლებს გარეთ რომ დავრეგულიყავე. ჩემთვის უფოთ-ლიწვადობდა იქნებოდა დიდ შემოქ-მედებასთან წილდაყარობა“. უცხოე-მიდან ჩამოსულმა ახალგაზრდა მწე-რალმა იმთავითვე მიაყურა ახალი ქვეყნის მაჯისცემას.

ამვე წიგნში შედის „გოეთეს ცხოვრების რომანი“ და „დიდოსტა-ტის კონსტანტინეს მარჯვება“...

კ. გამასახურდაის სხვა რთულ პრო-ბლემებთან ერთად იტაცება შემოქ-მედისა და ცხოვრების მიმართების პრობლემა — ამის მშვენიერ განსა-ხიერებას წარმოადგენს მისი წიგნი გენიალური გერმანელი პოეტის შე-სახება. „გოეთეს ცხოვრების რომანი“ პირველად 1934 წ. გამოვიდა. იმ დროს ქართულ ლიტერატურაში ასე-თი თემა უცხო და უჩვეულო იყო. დღეს, რამდენიმე ათეულწლის შემ-დეგ, როდესაც ქართველ მკითხველს აქვს უამრავი შესაძლებლობა კარ-გად გაეცნოს უცხოეთის კლასიკოსებს, ეს რომანი უფრო მეტ ცოდნასა და წარმოდგენას იძლევა დიდი გოეთეს ცხოვრება-შემოქმედებაზე, ვიდრე ლოცხემ. ამ წიგნის ხელმოთრედ გამო-ცემა მეტად დროული და საჭირო იყო.

რაც შეეხება სარაინლო რომანს „დიდოსტატის კონსტანტინეს მარ-ჯვება“ — კ. გამასახურდაის შემოქმე-

დების ამ ნამდვილ შედევრში ასახუ-ლია ჩვენი ქვეყნის გვირგვინი წარსუ-ლი, ქართველი ხალხის გაყვარული ბაძოლა დამპყრობთა წინააღმდეგ. შესანიშნავად არის გააზრებული კონ-სტანტინე არსაკიძის სახე. ამ შემოქ-მედებითი ცეცხლით ანთებული უკუ-კის ვვერდით სანტრეტესო სახეების მთელი გაღერვა ჩაივლის: გიორგი პირველი, ფარსმან სპარსი, შირვან, კათალიკოსი დედქიქიძე, მამამზე, ჭიბაბერი, გირშელი, შავლევა... და ეს გვირგები ბოხოქრობენ, იბრძვიან, ლხინობენ და გლოვობენ XI საუკუ-ნის შინა-ფეოდალური ომებით ცე-ცხლმიღებული საქართველოს ფონზე. ზღბინობენ და გლოვობენ X I საუკუ-ნის შინა-ფეოდალური ომებით ცე-ცხლმიღებული საქართველოს ფონზე. ზღბინობენ და გლოვობენ X I საუკუ-ნის შინა-ფეოდალური ომებით ცე-ცხლმიღებული საქართველოს ფონზე.

პატივისცემის ღირსია ის დიდი ნისწრაფება, რომელზე ჩანს მწერლის სიტყვებით: „ეს დიდი ხნის ოცნება ჩემი: ქართულ ქრონიკების კრებულს ვვერდი ამოვუყვანი რომანების სე-რია, რომელშიც თავის დროზე ვეწო-დებ „ქართლის ცხოვრებას“. სწორედ ამ ციკლის თვალს წარმოადგენს „დიდოსტატი“, სადაც მარალმოე-ტური საღბავებითაა ამღერებული საუკუნეთა მუნჯე ქრონიკებიდან გა-ცხლებული ომებში შერეულად ჩა-ინდოთა სახეები. აქ, X საუკუნის ქარ-თული რენესანსის სათავეში, „ვეფ-რესტყაისაჲს“ საუკუნის წინდლის უეტიტიურაში იპაღება სვეტიცხოვ-ლის შესანიშნავი ტაძარი, რომელიც რელიგიური დოგმატიზმისა და სქო-ლასტიკის წინააღმდეგ ამხედრებულ-და არსაკიძემ ააგო. თვით ეს გვირგ-ვი, როგორც თავის საუკუნეზე გამოი-მდგომი, ამქვეყნად ნაადრევად მოვ-ლენილი დიდი ხუროთმოძღვარი, ტრავკულად იღუპება ზნელოების დოგმატურად მოაზროვნე სასახლისე-ული ინტერვანების სტუმრი გამოძლე-ვა. მაგარი მიწერილი ინტერესების მონე-მენტური ემბლემა, ადამიანური იდე-

ალგობის ქვაში განსახიერებელი სიმ-
ფონია — სვეტიცხოველი — ხელოვ-
ნების ისეთი ქმნილებაა, რომლის
წინაშე ქედს იხრის დროისა და სიერ-
ისის მარადიული კანონებიც კი.

„დიდოსტატის“ ლექსმოტივია სამ-
შობლოს სიყვარული და მაღალი ხე-
ლოვნების კეთილშობილური იდეალე-
ბი. ამ რომანით კ. გამსახურდიამ რე-
ალისტურად ასახა ის ტიტანური ბრე-
კინება, რომელიც უხდებოდა რელა-
გიური ბანკით შეპყრობილი ქვეყნის
მსვეტერების წინააღმდეგ ფრთოსანი
ოცნების ისეთ ხუროთმოძღვრებს, რო-
გორც არსაკიძე იყო.

მეორე ტომს დართული აქვს შე-
ნიშვნა და განმარტება ი. აგაროვი
მწერლის მიერ საციალურად ამ ტო-
მისათვის დაწერილი ბოლოსიტყვა.

რეკომპოზიციის 750 გვერდიანი III
და IV წიგნები მთლიანად შეიცავენ
ცნობილ ისტორიულ რომანს „დავით
აღმაშენებელი“ (ტეტრალიოგია).

ტიტანური შრომის შედეგად შეი-
წავლა კ. გამსახურდიამ შუა საუკუ-
ნეთა საქართველოს და მისი მეზობე-
ლი ქვეყნების ისტორია, ეთნოგრაფია,
სამართალი, რელიგიები, სამეურნეო
და სამხედრო ცხოვრება და კანონ-
სიტყვების მშვენიერ ნიმუშში აი-
ღურა დავით მეფის საინტერესო ბე-
ოგრაფია. უბადლო სარდალი, ბრძენი
და პოეტი, ვახელებული მიჯნური
და მდებოთა გამკითხავი — ასეთია
დავით აღმაშენებელი, რომლის ხელით
გაერთიანდა იმ დროინდელი საქარ-
თელი და მეტოქეობა გაუწვია მასზე
ღონიერ მეზობელ სახელმწიფოებს.

ამ რომანის დიდი ნაწილი პირვე-
ლად დიდი სამამულო ომის წლებში
გამოქვეყნდა. მისი ფურცლებიდან
მოსიხება ქართველთა წინაპრების
აზარის ელარუნი, მოჩანდა ხნლების
ნათელი ელევა, ელექტროდენივით
გაღმობილდა მკითხველში პატრიო-
ლი საუკუნეების ვაჟაკთა საბატო-
ტული შემართება... დღეს კი მწვილო-
ბა სუფევს და „დავით აღმაშენებე-
ლი“ ამეტყველებული ბრძოლის პან-
გები გულს ისე ეფონება, როგორც
მოსაკონიანი იმ გარდასული დღეთა,
როდესაც ხელოვნაკიდებული ებრ-
ძოდნენ ფაშისტურ ურჩხულს საბჭო-

თა ჯარისკაცი და მისი სულიერი
საზრდო — წიგნი.

ჩრეული თხზულებების ამ ტომებს
თანაბლავს „დავით აღმაშენებლის“
მთელი რომანის შენიშვნანი და გან-
მარტებანი, არქივშემებისა და უცხო
სიტყვა-გამოთქმების ამხნელი ლექ-
სიკონი, რაც ერთობ აადვილებს მკითხ-
ველისათვის ტეტრალიოგიაში ფართოდ
გამუშეებული ისტორიული მონაცემთის
გაგება-ათვისებას. შენიშვნებსა და
განმარტებებში დაწვრილებით არის
მოცემული ისტორიულ პირთა ბიოგ-
რაფიები, გეოგრაფიულ სახელწოდებ-
ბათა ვრცელი განმარტებანი, ეტიმო-
ლოგიური მითოლოგიები, რელიგიური,
საკარი და სხვა ცერემონიალები, რი-
ტუალები (ეს აპარატი 50-მდე გვერ-
დილი).

რომანებს „ვაზის ყვავილობა“ და
„დიონისოს ღიმილი“ V ტომი მოიცავს.

„ვაზის ყვავილობა“ აშკარად უკე-
თისდაა გამოცემული (ვიღებ ად-
რე — ცალკე წიგნად). რომანი მაქსი-
მალურადაა გასუფთავებული იმ კო-
რექტურული შეცდომებისაგან, რაც
მის პირველ გამოცემას ახლდა. ახალი
ადაინაწები, სოციალისტური ყოფის
გმირები, საბჭოთა ქვეყნის ღირსეული
შვილები — აი, ვინ დააყენა წინა
ბლანზე ამ თხზულებაში კ. გამსახუ-
რდიამ. საკოლმეურნეო მშენებლობის
აუანგარდში ჩამდგარი, დიდი სამამუ-
ლო ომის ქარ-ცეცხლში ნაწრთობი
გოლდრაში, თანამედროვე გმირი ქალი
ნუნუ, ჩვენი ეპოქის ახალთაობის მხა-
რიმხარ მშრომელი, რეოლუციამდელი
ინტელიგენციის საინტერესო წარ-
მომადგენელი, პროფესორი კორინთე-
ლი — აი, ახარული სია სოციალის-
ტური საქართველოსათვის თავდადებ-
ული პერსონაჟებისა, რომლებიც
ესოდნენ სიყვარულით ასახა მწერალმა
„ვაზის ყვავილობაში“.

რომანის მთავარ გმირად ხალხი
გვეჩვენება და სწორედ ეს არის ახა-
ლი ჰუმანიზმის ის დიდი ნიშანი, რაც
სოციალისტური რეალიზმის მეთოდით
მომუშავე მწერლების შემოქმედების
ამტყვებს.

თითქმის კონტრასტისათვის ამავე
ტომში შეტანილია „დიონისოს ღი-

მილი“, რომანი, რომლითაც კ. ვამსა-
ხურდიამ, ჯერ კიდევ რეალიზმისა და
მოღონიზმის ნაადრულ დაკავშირე-
ბის ცდისას ექსპერიმენტულად შექმნილი
ნაიფორმების სურათების ციცი-
ცხოვლად წარმოგვიდგინა პირველი
მსოფლიო ომის შემდეგდროინდელი
ბურჟუაზიული ევროპის ყოფა. აქ
ისევ ვხვდებმა (როგორც ნოველებში)
ბურჟუაზიული საშენარის ამრეზით
მაცქრალი, მაგრამ აზნაურად სა-
ქართველოზე მოცნებე პერსონაჟ-
კონსტანტინე სავარსამიძე. ეს მანძი-
დელი ევროპის სინამდვილით მოწამ-
ლული კაცია, ხელმოცარული, გუდა-
დამზიერი და კუდადმზიკა აზნაური, რომელიც
მყუდრობისა და ეგზოტიკის მონახველის
მანტიით ბრუნდება უცხოეთიდან საქართველოში და თუ-
ცა თავის მიწას ერთხელ მოწყვეტილი
აშკარად უცხოელად გრძობს თავს
სამშობლოში, მაინც ერთგვარად ენუ-
გემება საქართველოს ვა და მიწა,
რომელსაც უცხოეთში დანისმული
თავისი სულის გაჯანსაღებას ემუდა-
რება.

მეშუდე ტომი 970 გვერდს შეიცავს.
„დიონისოს ღიმილი“ დართული აქვს
ბოლოსიტყვა და სვე.

კონსტანტინე გამსახურდიას ზე-
მთი მოზაზული წიგნების ტექსტებზე
დიდი მუშაობა გაუწევიათ სარდაქ-
ციო კოლეგიის წევრებს ი. აბაშიძეს,
ს. ჭილაისს, გ. ნატროშელს. პირვე-
ლი ტომის დასაწყისში ვხვდებით
მხატვარ ქეთევან მაიალაშვილის მიერ
მშვენიერად შესრულებულ კ. გამსა-
ხურდიას პორტრეტს. სიყვარულით
უწერილობით მხატვარ ვლ. გრიგოლისა,
მხატ. რედაქტორ გ. გორდელაძეს,
ტექნიკალტორ ვ. ხუციშვილს. ტომე-
ლუები კარგი ხარისხის ყდებშია ჩას-
მული და დამშენებელია მკაცრი
წარწერით. კ. გამსახურდიას ჩრეული
თხზულებების გამოცემის რედაქტო-
რი ალ. ბებია.

სახელმწიფო გამოცემლობა „საბ-
ჭოთა საქართველომ“ კ. გამსა-
ხურდიას ნაწარმოებთა ამ გამოცე-
მით საშეღიერებელი საშუალო მიძე-
ღნა ფართო მკითხველ საზოგადოე-
ბას.



„მე, ბეზია, ილიკო და ილარიონი“

გიორგი ხუბაშვილი



იდი ხანი არ არის, რაც ფილმი გამოვიდა კვრანებზე. კამათი უკვე დაიწყო. არარაობაზე არასოდეს კამათობენ ხელოვნებაში. სერიოზული დავის საგნად უმთავრესად ნიჭიერებით აღბეჭდილი ნაწარმოები იქცევა ხოლმე. ძნელია, ძალიან ძნელი რეჟისორის ერთიანი ნებისყოფის, თავის გემოვნებაზე და სტილიურ არჩევანზე, როგორც იტყვიან „ნაპოენ გასაღებზე“ დაყრდნობით მოხდეს კონცენტრაცია მთლიანი, პარმონიული ფორმისა. სინთეზური ხელოვნების პრინციპი თავისთავად ემყარება მრავალკომპონენტს, რომელიც არ ზის არც მხოლოდ სცენარისტის,

არც რეჟისორის, არც მხატვრის ან კომპოზიტორის ბუნებაში. ამავე დროს საძიებელია ყოველ მათგანში. ისინი ისეა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ არ იგრძნობა მკვეთრი ზღვარი მათ შორის, სრულიად სხვადასხვა სფეროს მუშებში პარმონიულად გაერთიანდნენ კვრანზე და ორგანულ, დაუნაწევრებელ მთლიანობად ჩამოყალიბდნენ. ეს ურთულესი ამოცანა მაშინ დგას მთელი სირთული მხატვრის წინაშე, როცა იგი დიდ ხელოვნებას მიელტვის. ამიტომ ძიებები ფორმისა, მანერისა, არა თვითმიზნური, არამედ აუცილებელი, წინ უძღოდა ფილმის „მე, ბეზია, ილიკო და ილარიონის“ შექმნას და ეს სრულიადაც არ იყო იოლი პროცესი, ან მხოლოდ რეჟისორული კაპრიზების შედეგი, როცა დაიწყებულია ჩვენი ხელოვნების მთავარი მიზანი — მაყურებელი და წინა პლანზეა წამოწეული ორიგინალობით თავმოწონება პროფესიონალების წინაშე.


აზრთა სხვადასხვაობა მრავალგვარია და როგორც გემოვნების, ისე გარკვეულ ინტელექტურ დონეს გულისხმობს. ერთი შეიძლება თავის უშუალო ემოციას ემყარებოდეს მეორე, პირიქით ხელოვნების გამოცდილებებს ემყარებოდეს. მაგრამ დღევანდელი მაყურებელი შორს არის „პირველყოფილი მიაზიტობისაგან“. მას ბევრი უნაბავს კარგად და ცუდიც. და თუ მას ზოგი რამ არ ჯერა, ან სწორად არ ესმის, ყველაფრის მიღება უპედაციოდ არა მგონია გამართლებული იყოს. მაყურებელი ის სასინჯია, რომელზედაც მოწოდება ხელოვნების სი-

მართლაც, მაგრამ არიან ახირებულნიც, რომელთა მოთხოვნებს ხშირად ესთეტიკური კულტურის გაუზარალოებისაკენ მივყავართ. თავიდანვე დასაგმობია ზოგიერთი პროფესიონალი რეჟისორისა თუ ლიტერატურათმცოდნის კატეგორიული ტინიც და უტაქტო მაყურებლის განცხადებანიც. ტაქსის ერთი მძღოლი ამასწინათ საუბარში ფილმზე „მე, ძებია, ილიკო და ილარიონი“ ასეთი არგუმენტით ცდილობდა ნაწარმოების დაწუნებას: იმ წლებში (ცხრას ორმოცდახუთში) „ეკოლგის“ მარკის მანქანები როდის იყო. ასე ხომ არქიტექტორს შეუძლია თქვას: სპორტის სასახლე ან ახალი შენობები სანაპიროზე „იმ დროს“ არ არსებობდაო. გურული იმაზე გაკაჟრდება, რატომ გურია არ გადაიღეს და რაჭა-ლეჩხუმში ან მანგლისში გადაიტანეს ფილმის მოქმედებაო. უფრო მეტიც: რატომ არ არის ბევრი რამ ისეთი ფილმში, რაც იყო წინაში ან სპექტაკლში? ამ შენიშვნების დიდი ნაწილი ზოგიერთ აუცილებელ განმარტებას მოითხოვს.

კინო, როგორც სინთეზური ხელოვნება თავიდანვე ეძიებდა პლასტიკურ ფორმებს. ამ მხრივ ყველაზე მეტად დაესხებოდა ხოლმე ფერწერას, გრაფიკას, ფრესკულ მხატვრობას და სკულპტურას. დაფიქრებული რეჟისორის ხელში გრაფიკოსის ფანქარს ხშირად გადამწყვეტი მინიშნელობა მინიჭებია და ქალაღზე გავლებულ ხაზებში პირველად გაჩენილ მომავალი ფილმის გამიზნული კადრების კომპოზიციები. კინოსელოვნება თავისი გაჩენის დღიდან ლიტერატურაზე არა ნაკლებ დაუმეგობრდა სახვით ხელოვნებას და ამ ორი მუშის პარმონიულ დაწყვილებაში იქმნებოდა და იხვეწებოდა მისი უკვდავი ფორმები. ჩაპლინს, რენე კლერს, ეიზენშტეინს ხატვის ნიჭიც საკმაოდ ჰქონდათ მომადლებული. მას შემდეგ, რაც ფილმის კადრების პირველი მონახაზები დალაგებებოდა ქალაღზე თუ რეჟისორის ონებამი, რენე კლერი იტყოდა: ფილმი უკვე მზად მაქვს, ახლა საჭიროა მისი გადაღებაო. ფილმის გამომსახველობითი გასახლების პოვნა სცენარის შემდეგ პირველი საზრუნავი ყოფილა მუდამ. მხოლოდ გულუბრყვილოთ ჰგონიათ, თითქოს კინოობიექტივი ყველაფერს „აითვისებს“, მთავარია ფოტოგრაფიული გულწრფელობა. რაც შეხება კონტრასტებს, შუქრდილობებს განაწილებას, ხაზების პარმონიას, ფონისა და ფიგურის მიმართების დაცვას, ეს ზედმეტი თავის შეწუნებააო. ამნაირი „ხელოვნება“ ხშირად აღმოჩნდება ხოლმე პროინციული ფოტოგრაფის სტენდზე გამოკრული სურათების „მხატვრულ დონეზე“.

აჩუ „ელისო“, არც „დაკარგული სამოსხე“, „მაგდანას ლურჯა“ თუ „სხვისი შვილი“ არ შექმნილა სახვითი ამოცანების მკაცრად გათვალისწინება-გამიზნულობის გარეშე. დაეთი კაკაბაძის ტალანტი მკაფიოდ დაეტყო დავით რონდელის ცნობილ კომედიას, პარმონიამი აღმოჩნდა დ კლდიაშვილის გმირების სამყაროსთან. რაც კარგი რამ შექმნილა ჩვენს კინოხელოვნებაში, უდავოდ ქართული ფერწერის თუ გრაფიკის გამოცდილებებზე, მის კულტურაზე დაყრდნობილი. იმ ფილმებში, სადაც პლასტიკური ფორმის ძიება მეორე ხარისხოვან ამაღლ ყოფილა მიჩნეული, უადრესად გაღარბებულადა გამოიყურება კინოს ენა. ამიტომ ჩვენს კინოსელოვნებაშიც ყოველ საინტერესო ნიმუშს თან ახლდა მხატვრობის მადლი. ამ გზას ვერცერთი თანამედროვე რეჟისორი ვერ აუღლის გვერდს. პეი-

რეჟისორი თენგიზ აბულაძე



ოპერატორი ვიორჯი კალატოზი-შვილი




ზაფის, ფაქტურის, რეკვიზიტის, ჩამტვირთის შერჩევა ყოველ-თვის ემყარება გარკვეულ სახეთ პრინციპებს, პლასტიკის მოთხოვნებს. აქ ვლინდება რეჟისორის კულტურა, მისი სტი-ლისტიკის თავისებურებანი.

ს. ვიუნსტეინის შედგენილი „ვაგნერისანი პოტიომკინი“, „ოიგანე მრისხანე“, „ალექსანდრე ნეველი“ „მაგაფოდ იგრ-მნობა არამატრე რუსული, არამედ მსოფლიო მხატვრობის მო-მარკვებაც. აქ არის რენესანსის მხატვრების დიდებულ ტი-ლოებთან კინოგადრების მიმგვანების გენიალური ნიმუშები. მათში აშკარად ჩანს ლონზარდო და ვინისი, დიუერის მხატვრობის კვალთ, გამოყვებულთა ბრევიგლის გრაფიკული ნიშნითვისებანი, ხაზების სიმკაცრე, სიძუნწე, კონტრასტების შექმნის მკაფიო მანერა. უფრო აქეთ ეიუნსტეინი ეყრდნობა ელვარკოს, რომელთანაც თვითონ სწავლობდა ხატვას. პორ-ტრეტების შექმნისას მას ველასკესის ტილოები უდგას თვალ-წინ. არის შემხატურება რეიხის ადრინდელ სურათებთანაც, თუნდაც „ოიგანე მრისხანეში“.

თანამედროვეობის ყველა დიდი მხატვარი კინოელოვნე-ბაში ეყრდნობა ეროვნულსა თუ საკაცობრიო სახეთ კულტუ-რას. ფრედერიკო ფელინის თავის საყვარელ მხატვრად მიანიჩა ბოტიჩელი. მრავალი კადრი „ტაბილი ცხოვრებისა“ შექმნილია მიქელანჯელოს „სამწინელი სასმჯავროს“ ანალოგიით. ფელინი და ოპერატორი მარტელი ყოველთაგან ისწავლავან კადრების კომპოზიციებში მიაღწიონ ბაროკოს სტილისთვის დამახასია-თებელ დინამიურობას, სიმძაფრეს. ეს ამოცანა კინის გაჩენის დღიდან იდგინდა და დღესაც დგას ყოველი რეჟისორის წინაშე. ეს ამოცანა იდგა თენგზ აბულაისთვისაც, როდესაც იგი ფიქ-რობდა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ გადაღებაზე. ზო-გიერთ „პარტიკულარულ“ გრანობებს აყოლილ კაცს ჰკონია, გურიის პეიზაჟზე უარის თქმა და მაღალ მთიან რაჭა-ლერ-სუბში, მანგლისში თუ ბაკურინაში გადატანა ფილმის მოქმე-დების, რეჟისორის უზრუნო კაპრიზი ყოფილიყოს თითქოს. ამაზე ბევრი, ძალიან ბევრი იფიქრა რეჟისორმაც, მხატვრებ-

მაც (გ. გიგაური, კ. ხუციშვილი, დ. ერისთავი). დიდხანს არ-ჩვედნენ ადგილს, ეძებდნენ, კამათობდნენ, ყოყმანობდნენ. გადასაღები ადგილის განსაზღვრა ხშირად ნახევრად მინც წყვეტს ფილმის ბედს. საქმე რომ ასე იოლი იყოს, რა ჯობია ერთხელ ამაიგე, მიიღი გავიცი, მანქანები, აპარატურა დააწყით რომელიმე ერთ სივრცეში და ატრიალოთ კამერა. ისეც ხდება, რომ რჩევა-რჩევაში ზოგჯერ ყველაზე ცუდი არ-ჩევანი შერჩებათ ხელთ შედგმულ დაშკვებულ რეჟისორებს. ამ შემთხვევაში მხოლოდ ის გვინდა ვთქვათ, რომ „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ ფაქტურის ძიება, გეოლოგიის შრო-მის თუ არა, საკმაოდ თადარიგისანი ენოფორაფული ექსპედი-ციის დონეზე მაინც იდგა. და მე ვერ დავთონებები იმათ, ვინც ხელალებით იწუნებს ამ ფილმში „ბუნებას“, ავტორებს ნეო-რეალისტურ ტენდენციებს მიაწერს და ცოტა არ იყოს პოეტე-ციოზულად სცილდება: ლამაზი მხარე დავთმობინჯესო. ჯერ ერთი რა შუაშია აქ „ნეორეალიზმი“, ეს სიტყვა პირვე ავე-რიათ დილტანტებს, რომელთაც ალბათ პიეტრო ჯერმისი, დე სანტისის ან დე სეტას ორიოდ სურათი უნახავთ და თუ ხროიკის დაინახავენ უმალ „ნეორეალიზმი“ ესმანებათ. ნეორე-ალისტურ პეიზაჟში ხაზგასმულია ადამიანის ტრაგიკული ბე-დი, მისი სოციალური უბედურება. ეს მწირი, უნაკლო ბუნე-ბის ფონი სასებთით შეეფერება მწვეს ფრანცესკოს („არ არის სიმშვიდე ზუთის ხილის ბაღებში“), ორგეზოლოლი მწყემსების („ორგეზოლოლი ბანდიტები“), თუ სოციალური მეფეზუცების („მიწა ზანზანების“) ტრაგიკულ ყოფას, ქმნის ამ ფილმების ტონალობას. თუ მხედველობაში არ მივიღებთ შედგმულ რე-ტიტლებულ გარემოს ფილმის დასაწყისში (ზარის რჩევა, სკოლაში მიმავალი ბავშვების გათორება), ამ ფილმის შუა ნა-წილში ისევე და ისევე ხელების უსიამოვნო პეიზაჟს“ (ილიკოს, ილარიონის და ზურდიკვლას საუბარი ომზე, სიყვარულზე). „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ ესთეტიკა ლამაზი ხალხის ლამაზი ბუნების გამოსატყვას ემყარება და არავითარი „ნეო-რეალისტური ამოცანა“ ქართული პეიზაჟის გაუდაბნოებისა აქ არ დგას. დაკვირვებული თვალთ იოლად მიხვდება, რომ ფილმის სახეითი გასაღები ხაზების, ფიგურისა და ფონის განლაგებაში გრაფიკულ პრინციპს ემყარება. ეს პრინციპი თა-ვიდან ბოლომდე დაცული ნაწარმოებში და რამდენადმე გან-საზღვრავს ფილმის ესთეტიკას. გრაფიკისთვის ნიშანდობლივი ლაკონიურობა ვერ იტანს კომპოზიციის სირთულეს, დეტალე-ბის მოჭარბებას, ამიტომ კადრი განტეორთული უნდა ყოფი-ლიყო საგნების, ნივთების, ფიგურების უთავროზო სიუჟეტისაგან. ამიტომ, დე მხოლოდ ამიტომ ფილმის მხატვრები განზრახ ირჩევდნ ისეთ ადგილებს, სადაც გრაფიკული ხაზები ქმნიან კომპოზიციას, სადაც ფონი და ფიგურა მკვეთრ კონტრასტს ქმნის, სადაც ადამიანი არ თქვიფება ფლორაში. ფილმის ავ-ტორებმა პრინციპის სიმძალეზე აიყვანეს სახეობის მო-თხოვნა. გრაფიკული სიმარტივე აქ უშთავრესად მიღწეულია პირველი და მეორე პლანის მიმართებაშიც. ფიგურების გან-ლაგებაშიც. რა თქმა უნდა ადამიანს, რომელსაც ბოტანიკური ბაღის სილამაზე ედგენების სილამაზედ მიანიჩა, აქ ბევრი რამ შეიძლება ეტოროროს. სხვისი არ ვიცი და მე სულ ცოტა ათჯერ მაინც მინახავს ეს ფილმი და ყოველთვის დიდ ესთე-



კადრი ფილმიდან
ილიკო — ა. როსტო-
ლიანი, ილარიონი —
გ. ცუხლაძე

ტიკურ სიამოვნებას მგერის ახლებურად „წაიჭიხული“ ქართული პეიზაჟი. თუნდაც გავსხვით ზედები ნადირბობის სცენაში, როინის ხეობის პანორამა ბუბიას მსხვილი პლანის უკან, იმეოათი მხატვრული თვალით შერჩეული ფონი, რომელიც იწყებს დ. კაკაბაძის იმერული პეიზაჟის ასოციაციას, მაკურაინის თოვლიანი მიდამო, შავი ხაზებით შემოსაზღვრული კანდრატეობით თუ სწორკუთხებით შექმნილი საოცრად ლამაზი ხანახანობა. ეს ყველაფერი მართლაც რომ გრაფიკული ჩანახატების შთაბეჭდილებას ტოვებს და ჩვენი თანამედროვე მხატვრობის საერთო კულტურის დონეზე დგას.

გვეტყვიან: რა არის ეს გრაფიკული პრინციპი? თქვენ რაც გინდათ ის დაარქვით, ოღონდაც ფილმი მომწოდონთ! ასეთი განცხადებაც მართებულია. თუ მართლაც ამ პრინციპით შექმნილი პეიზაჟი მაინც არ აკმაყოფილებს მაყურებელს, ერთიორება, ამას უნდა ჩაუფიქრდეს რეჟისორი. მაგრამ არც ასეთ მაყურებელს აწყენდა ჩაფიქრება საკუთარი გემოვნების დონეზე? მართალია, „თეორიებით“ აღტურვილი არავინ შედის კინოდარბაზში ფილმის საყურებლად, მაგრამ არც ყოველი გულუბრყვილო კრიტიკოსის მოსაზრებებთა მიჩნევა შეიძლება „ხმად ერისა“. დიდი ლენინი უსაყვედურებდა პროლეტარულ მწერალს ღემიან ბედნიის ის მკითხველს კუდში მისდევს, მაშინ, როდესაც საჭიროა ცოტა წინ მიამიჯებდესო. სერიოზული მაყურებელი ყოველთვის ძაბავს გონებას სწორი აზრის გამოსატანად ხელოვნების ამა თუ იმ ნიმუშზე. ნამდვილ შემოქმედებას აქვს თავისი ართიმეტიკაც და ინტეგრალბიც. და იმან, ვინც ართიმეტიკა იცის, არ უნდა უარყოს რთული მათემატიკური ფორმულები იმ მიზეზით, რომ აქაოდა მე ვერაფერი გავიგეო.

დავებურუნდეთ ისევ „გრაფიკულ პრინციპს“. ეს არა მარტო მეორე პლანს, არამედ პირველ პლანს — ადამიანთა ფიგურების განლაგებასაც შეეხება. აქაც თანმიმდევრული არიან ფილმის შემქმნელები თეთრისა და შავის კონტრასტულ დაწყვილებებაში. ძნელად რომ ვისმეს დაავიწყდეს ომის დაწყების ეპიზოდში გზაზე დარჩენილ ადამიანთა ფიგურები.

უკმაღ დაჩრდილი მუსიკალური ინსტრუმენტებიდან აპარატი ნელ-ნელა გადადის ადამიანებზე. ისინი გაფანტულად, თითო-ოროლად ჩნდებიან კადრში. მათი პოზა, მდგომარეობა ისეა დანახული, იმდენი დინამიკაა ამ გარინდებული ფიგურების უძრაობაში, თითქმის გაცოცხლებულ ტილოებს შეჰყურებთ. სახეები ხან სულ ახლოს მოდიან, ხან გარკვეული მანძილით გვეშორდებიან, შორს, ძალიან შორს უსასრულო გზაზე პატარავდებიან. ამ სურათებში ომისაგან დაზარალებული ხალხის დიდი სევდა იკითხება: და ეს ნამდვილი ხელოვნება!

ალბათ ბევრი დაკვირვებია და შეუნიშნავს ამ ფილმის კადრებში გზების, როგორც კომპოზიციკაში მთავარი ხაზების, წმინდა გრაფიკული ფუნქცია. გზები, ჩვენი სამშობლოს მრავალნაირი გზები! ისინი ხან ირიბად კვეთენ კადრს, ხან დიაგონალურად გასდევენ მეორე პლანს, ხან პერპენდიკულარულად გრძელდებიან, ხან პერსპექტივას, თავისებურ რეტროსპექტივას ქმნიან.

არის ასეთი გამოთქმა: რეჟისორი „კვდება“ მსახიობში. არანაკლებ საჭიროა მხატვარი „მოკვდეს“ ფილმის კომპოზიციკებში. რეჟისორის მანერაც და მხატვრობის სტილიც აქ გულისხმობს ნაწარმოების სტრუქტურაში ისეთ „გათქვეფას“, როცა არ იგრძნობა თვით ესთეტიკური მიზანი, მხატვრული ამოცანა. აპარატის უუფექტო მოძრაობა, როცა თითქმის ვერ „გრძნობთ“ ოპერატორს, წერტილებების მიგნება ისე, რომ თვით მაყურებელი იმყოფებოდეს ფილმის კადრებთან ბუნებრივ ფოკუსში, არსად დავალოთ იგი რაკურსების უჩვეულობით და კამერის განუწყვეტელი ტრიალით. ასეთი იყო ამოცანა გადაღების პროცესში.

ნ. დუმბაძის ნაწარმოების ხასიათი მოითხოვდა ისეთი პლასტიკური საშუალებების პოვნას, რომელიც გააძლიერებდა სიმართლის, სინათლის და სისადავის შერწყმებას. აქ ყოველი დეტალი კრისტალიზებას საჭიროებდა. იმავე დროს სისადავისაკენ სწრაფვა უზარალებასა და პრიმიტიულობაში არ უნდა გადაზრდილიყო. ხალხური მასალა თანაბრად ვერ შეიგე-

კალრი ფილმიდან



ებდა ვერც სტილიზაციას, ვერ ესთეტიკობას. ფორმის უბრალო-
ება და იმავე დროს ფორმის მკაცრი მთლიანობა, თანმიმდევ-
რული სახეითი პრინციპი და ამასთანავე მხატვრული ამოცა-
ნის შეუმჩნეველობა, ხაზგასუქებლობა, რელიეფურისა და იმავე
დროს უფუჭტო, ზომიერი ქვრეალობა სახეებისა ქმნიდა იმ
შინაგან დაილექტიკას, რომელიც როულ სინქლეტებს აყენებდა
ფილმის გადაღების პროცესში. ეს ამოცანა მიღწეულად ჩაით-
ვლება, თუ არ გავაზვიადებთ ზოგიერთ ხარვეზს.

ზოგიერთი ფიქრობს, რომ დეტალების გრაფიკული სიმ-
კაცითი შემჭიდროვებისა და კადრის კომპოზიციის შეგნებული
განტვირთვის გამო ფილმში დაიკარგა კონკრეტობა და კოლო-
რიტი, დაიკარგა უფაცხოვრების შეგრძნება. ამას თან ერთვის
ზოგიერთი ეთნოგრაფიული მონაცემების შეგნებული იგნორი-
რება, რაც თითქოს ფილმიდან თიშავდეს ნაწარმოებიდან მომ-
დინარე ეროვნულ სურნელებას. მართალია თუ არა ყოველივე
ეს? შეიძლება სადაც, ნაწილობრივ, ფილმში მიღწეული არ
იყოს ცხოვრების საცხოვრების შეგრძნება. ერთგვარი ფრაგმენტა-
ლობის გამო დაკარგულიც იყოს ერთი პატარა სოფლის ყოფა-
ცხოვრების მთლიანი აღქმა, მაგრამ თუ წინასწარ გამიზნულ
პრინციპს სწორად მივიჩნევთ, ეს საყვედურიც უმართებლო იქ-
ნება. არ შეიძლება გრაფიკულ ნახატს ფერწერული ტილის
მოთხოვნები წაუყენო.

კი, მაგრამ რამდენად ბოლომდე დაიცვა ფილმის დამ-
დგეგმელმა თავისი პრინციპი? ან რამდენად სწორად, ორგანიუ-
ლად შეეთვისა იგი ხალხური ყოფის მასალას? ხომ არ არის აქ
რამე სტილიური აღმევა? ეს კითხვები პასუხს მოითხოვს.
პასუხი კი შეიძლება მრავალგვარი იყოს. ჩემი აზრით, ფილმის
სახეითი სტილის ამნაირი ჩამოყალიბება ერთადერთი და
ჭეშმარიტი თუ არა, ერთ-ერთი მაინც არის და მას დასაგმობი
არაფერი ჭირს. სადა, მაგრამ მკაცრ გრაფიკულ ფორმას სწო-
რად მოაქვს მთელი ფილმის ფილოსოფია, მისი მხატვრული
კონცეპცია. განზოგადების სფეროში აპყვს ცხადად ხილული,
ცოცხალი ხასიათები. შეიძლება ეს არ ემთხვეოდეს წიგნის
კაითხისას შექმნილ ჩვენს წარმოდგენებს. ამ შემთხვევაში ყვე-
ლაზე საშუალო მეთიხვეობის წარმისახვა ბევრად მდიდარია
ყველაზე ნიჭიერი რეჟისორის მიერ ფილმში რეალურებულ
ფანტაზიაზე. სხვას იქნებ სრულიად სხვა პრინციპი აერჩია და

მართალიც ყოფილიყო. ამჯერად არა სხვა პრინციპების დამი-
რისპირებაშია საძიებელი ჭეშმარიტება, არამედ არსებული
მხატვრული ამოცანის მთლიანობაში. რამდენად დასრულებუ-
ლია ნაწარმოების გრაფიკული სახეითობა თავის თავში? აქვს
ხომ შეიძლება არააინმომდევრელობა ან უკმონებება? პირველს
ნაწილობრივ ადგილი აქვს ფილმში. საერთოდ კარგად გადა-
ღებული ეპიზოდები სოფლაში, ბებიას ოთახში, ან მატარე-
ბელში თითქოს არ ეთანხმება გარემოს ხილვის საერთო
სტილს. სკოლისა და მატარებლის სცენაში რამდენადმე დომი-
ნირებულია „ნატურალისტური“ ხედვა საგნებისა და მოვლე-
ნის. ამას თან ერთვის დრამატურული მომენტების ზედმეტი
გამარტყევა (ნაწარმოებთან შედარებით). უფრო მეტიც:
ფილმის ავტორები ვერ დარჩნენ ერთგულნი თავიანთი პრინ-
ციპისა ქალაქის ეპიზოდში. მართალია, მათ ძველი თბილისის
სახანებიდან შეგვიყვანეს ახალ თბილისში, რუსთაველის პიოს-
პეტისა და ფუნიკულორის საგმოდ ნაცნობი პანორამის ნაც-
ვლად მეტეხის ხიდის თაღების ჩარჩოში ადგევანამის განახლე-
ბული სანაპირო. არც საბურთალოს ახალი კორპუსები და
სპორტის სასახლე გამორჩნიათ. ისიც უნდა ითქვას, რომ მათ
შემქნეს ჩვენი საყვარელი ქალაქის ქუჩების ერთგვარი „უცხო-
ობის“ შეგრძნებაც. მხატვრის თვალმა თითქოს პირველად
გვაჩვენა ის, რასაც ასე შეჩვეულად და ნაცნობად მივიჩნევდით.
მაგრამ ეს ყველაფერი შინაარსისა კადრებისა. რაც შეეხება მათ
სახეით მხარეს, ეს უფრო ჩვეულებრივ, რამდენადმე ნაცნობი
სტილისტიკის სფეროში მყვს. ამას თან ერთვის ზურციკის
ცხოვრების ქალაქის პერიოდის გაუმართლებელი ხანმოკლეობა,
მხოლოდ ცალკეული სცენების გაომყარა ისევ და ისევ დრა-
მატურული მომენტის გარეშე. რაც შეეხება ფილმის ბატა-
ლურ სცენებს, აქ რეჟისორული კულტურა შესაგნობი სიმალლე-
ზეა. დღეს უკვე კინემატოგრაფი ვერ შეიგუვებს სტიქიურად
თავმოყრილ ბრბოს, რომელსაც მხოლოდ სიმრავლის შთაბეჭ-
დილების შეგნვა კვირდება. შორს რომ არ წავიდეთ, ომში გა-
ცილების სცენა მ. კალატოზოვის „მიფრინავენ წერობში“,
ფორტული ეპიზოდები „პალადაში“ ჩუბარასა და მისსავე
მოწოდნილ ცაში“, ფრონტიდან მომავალ ემელონთან ქალე-
ბის შეხვედრა, აგრძელებს დიდი კინემატოგრაფის ღირსეულ
ტრადიციებს. ამნაირი სცენების ოსტატები იფუნქციონირებენ, პუ-



ფილმის მხატვრები: გ. გიგაური, დ. ერის-
თავი და კ. ხუციშვილი

დოკვინი, ნიკოლოზ შენგელაია მრავალფიგურიანი მონუმენტური ტილოების ფერადობას ანიჭებენ მასობრივ სცენებს. აქ მაკრად გამოხსული კომპოზიციური წესრიგი მოსაწყვეტის მხატვრული განზოგადებისკენ სწრაფვას. აქ ექვიმეტრაფი გვერდით უდგას თავის უფროს ძმას — დაზურ ფერწერას. ტიპაჟის, ერთიან მდგომარეობათა გადმოცემის, დინამიკის მხრივ თითქმის მხატვრობის პლასტიკური საშუალებანია მომწველელი და თითქმის სტატუირი აბმისფერი „უნიარია ექსპრესიოთი“ არის აღსავსე. ასეთი სცენები აქვს თ. აბულაძესაც (ოთში გაცილების სცენები), მაგრამ თუ ბოლომდე მიუდგომელი ვიწინებით ორიოდ ლაფსეს აქაც ვიპოვიო. მთელი სიპაცირით და გამოხსულობით დამუშავებულს არ ჰგავს სცენა სკოლის ეზოში ატესტატების დარიგების დროს. თუ სკოლის დირექტორის მაგიდასთან გაჯემულად მჯდარი „ფრიადისნების მომბოძის“, თვითონ დირექტორისა და ორიოდ მასწავლებლის პოზა ზუსტად ეხამება ფილმის სტილისტიკას, ამას ვერ ვიპყვი საერთო ხედვზე, ადამიანთა „უწყობრივო“ გრეფაზე, სადაც ყველი ფიგურის მდგომარეობა მხატვრულად მოძებნილი და გოთალისწინებული არ არის. აქ კომპოზიციის გრძობა რამდენადმე გაქარწყლებულია და თვით ტიპაჟი გამომსახველობით სიმკვეთრეს მიაკლებულია.

ფილმის გადაღების დღეებში თ. აბულაძემ პირად საუბარში ასეთი რამ მიიხრა ერხებულ: თუ სახვითად არ მომეწონება კადრი, ფილმი „არ შევიტანო“. რეჟისორის მისწრაფება ყოველი ელემენტის ფილოგრაფული დამუშავებისკენ ჩემთვის გასაკვირი ხდებოდა იმთავითვე. ექვს იწყვედა მხოლოდ ერთი გარეგანი თ. აბულაძის შეგნებული უტულებელყოფა მსხვილი პლანისა. მან შეგნებულად შექმნა დიდტანცია ფილმის გმირებსა და მაყურებელს შორის, ეგრანამდე მანძილი შეგნებულად გაზარდა, მთელი სიმიძის ცენტრი საშუალო და შორი პლანებზე გადაიტანა. ამან ერთგვარად გააცივდა მაყურებელი ვკრანზე მომდარე ამბების მიმართ, შეასუსტა კონტაქტი. იმის მაგიერ, რომ ობიექტები მოსახლოებელი დურბინდებით მოეფილებინა, რეჟისორმა ამავე დურბინდის შოკით მხრიდან გაახედა მაყურებელი. ფილმი არის უზადოდ დამუშავებული პორტრეტები ბეპისაი, მერისა, ილიკოსი, ილარიონის და ზურკიელასივს, მაგრამ ისინი მაინც ვერ ავსებენ დაკარგული სიხსლოვის, ინტემის სერიოზულ ხარვეზს. მართალია, ფილმი ლირიული კომედისი ჯანრშია გადაწყვეტილი და ეს გასაღები არ მოითხოვს მკვეთრ „უსიქლოლოგიურ აქცენტებს“, გმირების თვალეში ჩაშტრებას. მაგრამ უკმაყოფილება მაინც ჩნდება, თითქმის რეჟისორმა ჩვენსა და ფილმის გმირებს შორის არასაკჭირო ბარიერი აღმართა და მათთან ახლოს მისვლა დაგვიშალა.

მაგრამ ეს ყველაფერი მაკრად მომთხოვნი ანალიზის დროს თუ ზადებს მსგავს შენიშვნებს და სრულყოფილების მიღწევის კეთილი სურვილებით არის ნაკარანხები. საერთოდ კი ფილმის პლასტიკური კულტურა მაღალ დონეზე დგას.

მაგრამ მართო „პლასტიკური გასაღების“ პოვნა ვერ გადაწყვეტდა ფილმის ბედს. არა ნაკლები სირთულით იდგა რეჟისურის სხვა პრობლემებიც. როგორი ინტონაცია აერჩიათ? ექსცენტრიკული ელემენტებს, გროტესკს დაერნობოდნენ თუ



კომპოზიტიური არჩილ კერესელიძე

ლირიკული თხრობის მანერა აერჩიათ? ხარხარის, სიცილის ატმოსფერის შექმნას ცდილიყვნენ თუ პოეტურ გაწყობილებათა შექმნის გზით წასულიყვნენ? ეს კითხვები არც თუ ისე ილიო პასუხით შეიძლება გადაიტრას. რა თქმა უნდა, გაცილებით მომგებინათ შეუკავებელი სიცილისთვის გამიზნული ფილმი. მით უმეტეს ნ. დუმბაძის მხიარული, ხალხური ეუმორი მოთხრობაში იძლევა აფგარი ტრაქტოვკის საბაბსაც. მაგრამ არის ერთი სიძნელე: ეს ეუმორი ძირითადად „სასაუბრო“ ხასიათს ატარებს და შინაგან მოქმედებას, კომედიურ დრამატურგის რამდენადმე მოკლებულია. ამასთანავე იგი არავის და არაფერს არ დასციინს სატრისთვის ნინამდლობლივი მიუდგომლობით. ილიკოსს და ილარიონის ოინებიც მხოლოდ უბოროტო ხუმრობება და მათზე დაყრდნობით გროტესკულ გადაჭარბებათა შექმნა დიდად ახასრბილოდ არ არის. მით უმეტეს რომ ნაწარმოებში სიცილს დაკარგული აქვს სოციალური აზარი, იგი მხოლოდ თვისება ამ მხიარული, ბევრის ატანია ჰუმანიური ხალხისა. ამიტომ მხოლოდ „სიცილის გზით“ წასვლა არ იქნებოდა სწორი ნ. დუმბაძის მოთხრობის კინოტრანსფორმაციისათვის. რჩებოდა მეორე გზა, გზა პოეტურობის, ლირიკული განწყობილებების შექმნისა. როცა შეუმწნეველად გადადიხარ ღიმლის ატმოსფეროდან სცვიდან განწყობილ-

კომპოზიტიური ნუგზარ ვაჟაძე





ბაში. ამ პირობით, წუთიერ მოწყენილობას უცებ ცვლის ხალი-სიანი იუმორი, გაუტყბელ, იმედთან ადამიანთა კინებამაგიელობა, რომელსაც ჰირსა და ღმინში ფინისაგათ მალუშა ტონისის აწვეა, ადამიანის განმეცხვება-გამაგრება. ეს ხს იძლეოდა არა მარტო ჰუმანიზმის ფილოსოფიის მეტად თავისებური გამოხატვის, არამედ ხალხის ხასიათის, მისი ბუნების გან-ზოგადებული სახის შემქმნის შესაძლებლობას. ამაირი სერიო-ზულობა ერთგვარად ანელებს სიცილის ატმოსფეროს, მას ლი-მილით, ვერითი, ადამიანური სვედისა თუ სისარულის პოე-ზიით ცვლის. აფფასიანი ვოდეგელების მოყვარული იქნებ ეს არც მოწყონდეს. სიცილს დასვენების პარკში საგანგებოდ დადგმული „სიცილის სარკეებიც“ იწვევს, მაგრამ მას ხელოვანებისა არაფერი აქვს საერთო. თ. აბულაძე სერიოზული ხელოვანია და ბანალურ კომედიურობას, სიცილ-ხარხარისთვის გამიზნულ ოინაზობას ვერ გაიხილება მიზნად ფილმის შემქმნისა. პირობით, მას განზრახვა ჰქონდა მოთხრობის ზედმეტი ყოფითობისა და ლოკალიზაციისგან გაეთავისუფლებინა კინოფილმი, დაეწინააღმდეგებინა ნაწარმოების დაბლა ზოგიერთი ანელოტური ელემენტისაგან. მეტი სიმკაცრე, ნამდვილი ხელოვნებისთვის ნინანდობლივი გარკვეულობა შეეცადა ნაწარმოების ჰუმანისტურ კონცეფციას. ეს გზა გაყოფილით სწორი და მწელი იყო. თ. აბულაძე ამ გზას დაადგა. რა თქმა უნდა, აქ არის ლირიული კომედიის ეპიპროზად გასვლის ზოგიერთი ცდაც. ეს შეეცადა სრულიად საპირისპირო ელემენტების შემოტანის ნაწარმოებში. ერთის მხრივ ნადირობის და ატესტატის ხელში სახეობი სვლის ექსცენტრიკული ინტონაცია, მეორეს მხრივ ბეიბის სიკვდილის დრამატული ეპიზოდი, რეალისმილისთვისაც არსად რჩება ადგილი! ან საოცარი, თამაში, „ცვლელისხშია! შეიძლება ზუსტ კიდევ აღინახნებდეს ეს თითქმის შეუთავსებელი სტილიური მრავალნარიობა. რამდენადაც იგი უწყველად, უცვრად არ იქნება აღიარებული ყველასაგან. მაგრამ მის არსებობა ხომ ჯერ კიდევ მოთხრობაში იყო ფაქტურ? სიცილისა და ცრემლის დაწყვილები გაბეჭდული მანერა ფილმში სრულიად ჩამოყალიბებულ სახეს იღებს და მოთხრობის შინაარსობრივი მასალა სრულიად ახალ, რამდენადმე დაწყნებულ თვისობრიობაში აკაცებს. ზურიკელა ვაშალოშიძის ცხოვრების ამავი ერთი ახალგაზრდის და მისიანების თავგანდახალისის თხრობის ჩარჩოებს სიღვემბა. ევრანიაზე მიდის სახლის ნათელი სულიერი ცხოვრების ისეთი შეგრძობა, რაც გამატებს სიამაყეს, რწმუნას, ნიღბის ადამიანისაგან, გაჯერებს მისი სულიერი და ფიზიკური ძალების უტკბარი მშვენიერებაში.

არც მსახიობთა თამაშში, აქვს გარემოს, ყოფცხოვრების დანახვისას რეჟისორი არ მისდევს ეფექტის ცდურებებს. იგი მშვიდ, უპრეტენზიო მანერას იჩენს, თავისი გმირების მიღმა იმალება. მის არსებობას ვერც კადრის გაერთ ვგრძნობთ. პირობით: კადრის ჩარჩოები ფართოვდება, ვრცელი, დამტკვი ხდება, მაყურებელი გრძობას იმასაც, რაც არ შემოღის მხედველობის არეში. ამიტომ მთელ ფილმში მართლაც რომ რეალისტური სისადავე და სინალეა მიღწეული. ✓

მაყურებელს არ ეჩიორება ზოგიერთი ისეთი განსხვავებული ხერხის მომარჯვება, რომელიც თითქმის უნდა ვარდებოდეს ხალხური ხასიათების გასწინასთვის მიგებული ფორმიდან. ჩრდილების სცენა, რაც საკმაოდ ცნობილ ჩინური

„ჩრდილების თეატრის“ პრინციპებზეა შექმნილი, ან უაბტრონიოდ დარჩენილი ინსტრუმენტების ასევე პირობითი ამღერება. ამ უადამიანო ორგესტრიდან წარმომადგირი მოსტაკოვირის „ლენინგრადის სიმფონიის“ რეჟერნული ფრაზები. თავისთავად ეს ადგილები უნალოდ არის შესრულებული. აქ ვერც რეჟისორის მუშაობას დასდებ წუნს, ვერც იპირატორის დაუწუნებ კამერის ულტრასუნობას. არც იმის გამო ტექმის საყვედური, შეიძლება თუ არა ლენის ჭური ერთადერთი ხის ძირში იყოს ჩადგებული. ან გაიგებს თუ არა ევრანზე მომხდარის ისეთი მაყურებელი, რომელმაც ჭურის არსებობა არც იცის საერთოდ. ამაირი ნიუანსების დაუტყბება იქნებ მეტი სიმკაცრითაც ყოფილიყოს საჭირო. მაგრამ ფილმს ერთგვარად დაეცყო „მუშაობის კვლია“, მაშინ როდესაც შესაძლებელი იყო უფრო მსუბუქი ხელწერა.

